საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ს.ა. ხომენკო, ე.ე. ცვეტკოვა, ი.მ. ბასოვეცი

სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტების ინგლისური ენიდან თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები



დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 28.02.2018, ოქმი №1

თბილისი
2018

უაკ 82.03

სახელმძღვანელო „სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტების ინგლისური ენიდან თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები" შედგენილია ბელორუსის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის თანამშრომლების ს.ა. ხომენკოს, ე.ე. ცეეტკოვას, ი.მ. ბასოეცის სახელმძღვანელოს საფუძველზე.

წიგნი შედგება ხუთი ნაწილისგან, განიხილულია თარგმანის ლინგვისტური ასპექტები, მოიცავს საეარჯიშოებს თარგმანის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, აეთენტურ სამეცნიერო და ტექნიკურ ტექსტებს, რომელთა მიზანია შესწავლილი ხერხების კომპლექსური გამოყენება თარგმანზე მუშაობისას.

გამოცემა განკუთვნილია ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრებისათვის, რომელთა დამატებითი სპეციალობაა „ტექნიკური თარგმანი".

სახელმძღვანელო ადაპტირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორების თამარ მებუკის და ნინო ჯანჯღავას მიერ ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანის სწავლებისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი

რეცენზენტები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი ზურაბ ბაიაშვილი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინჟინრო ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის
პროფესორი თინათინ სინჯიაშვილი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2018
ISBN 978-9941-28-061-0

http://www.gtu.ge

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.
საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.
წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.
ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

Verba volant, scripta manent

სარჩევი

შესავალი 7

I ნაწილი

სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანის კურსის საგანი და მიზნები 8

შეკითხვები განმეორებისათვის 12

II ნაწილი 13

თარგმანის ლექსიკური ასპექტები 13

1. სიტყვების თარგმანის საერთო პრინციპები 15

1.1. თარგმანი ტრანსლიტერაციის და ტრანსკრიფციის მეშვეობით 15

1.2. თარგმანი კალკირების მეშვეობით 15

1.3. აღწერილობითი თარგმანი 16

1.4. მიახლოებული თარგმანი 16

1.5. ახსნა-განმარტების და სქოლიოს გამოყენება თარგმანში 16

1.6. ტრანსპლანტაცია (ან უცხო ენაზე სიტყვების ჩართვა) 17

1.7. კონტექსტის როლი 17

შეკითხვები განმეორებისათვის 18

პრაქტიკული დავალება 19

2. ტერმინების თარგმანი 23

2.1. თარგმანი ლექსიკური ეკვივალენტის გამოყენებით 25

2.2. თარგმანი ერთი შესაძლებელი ლექსიკური ვარიანტის შერჩევით 25

საკითხები გამეორებისათვის 28

პრაქტიკული დავალება 28

3.ინტერნაციონალური სიტყვების თარგმანი. „თარჯიმანის ცრუ მეგობრები" 32

3.1. ინტერნაციონალური სიტყვა 32

3.2 ცრუინტერნაციონალური სიტყვები და „თარჯიმანის ცრუ მეგობრები" 32

3.3. ცრუინტერნაციონალური სიტყვების მნიშვნელობის სხვაობის ძირითადი შემთხვევები 33

საკითხები გამეორებისათვის 38

პრაქტიკული დავალება 38

4. წეოლოგიზმები და მათი თარგმანის საშუალებანი 41

4.1. სხვა ენებიდან სესხება 43

4.2. მნიშვნელობის გავრცელება და ახლებურად გააზრება 44

4.3. შესიტყვებათა ვოკაბულარიზაცია 45

4.4. სიტყვების „ჰიბრიდიზაცია" 46

4.5. კონვერსია. სახელების ატრიბუტული გამოყენება 47

4.6. ნაწარმოები სიტყვა 48

4.7. ნეოლოგიზმების თარგმანის ხერხები 48
საკითხები განმეორებისათვის 51
პრაქტიკული დავალება 52
5. შემოკლება და მის თარგმანის მეთოდები 55
5.1. ნასესხები შემოკლება 55
5.2. „წაკვეთილი" სიტყვები 55
5.3. შემოკლებები (აბრევიატურები და აკრონიმები) 55
საკითხები განმეორებისათვის 59
პრაქტიკული დავალება 59
6. შესიტყვების თარგმანი 64
6.1. ატრიბუტული შესიტყვების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი ინგლისურ ენაში 64
6.1.1. შესიტყვების წევრებსშორისი კავშირები 64
6.1.2. მრავალწევრიანი ატრიბუტული ჯგუფების გავრცელება 65
6.1.3. მრავალწევრიანი ატრიბუტული ჯგუფები შიდა პრედიკაციით 66
6.2. ინგლისური ატრიბუტული შესიტყვების თარგმანის ძირითადი ხერხები 66
6.2.1. თარგმანი მსგავსი პრეპოზიციული ატრიბუტული ჯგუფით ქართულ ენაში 66
6.2.2. თანდებულების დახმარებით ატრიბუტული შესიტყვების „ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი" ტიპის თარგმანი 67
6.2.3. ზმნა-ზმნიზედა ჯგუფის დახმარებით თარგმანი 67
6.2.4. ატრიბუტული შესიტყვების ერთი წევრის თარგმანი სიტყვათა ჯგუფის ან აღწერილობითი თარგმანის მეშვეობით 67
6.2.5. თარგმანი შესიტყვების ან წინადადების სტრუქტურის სრული შეცვლით 68
შეკითხვები გამეორებისათვის 68
პრაქტიკული დავალება 68
7. ტრანსფორმაცია თარგმანის დროს. კონტექსტური ჩანაცვლებები 71
7.1. გადაადგილება 72
7.2.დამატება 73
7.3. გამოტოვება 73
7.4. ჩანაცვლება 74
7.4.1. საერთო ტიპის ჩანაცვლება 74
7.4.2. კონკრეტიზაცია 75
7.4.3. გენერალიზაცია 76
7.4.4. ანტონიმური თარგმანი 76
7.4.5. შინაარსობრივი განვითარება 77
7.4.6. კომპენსაცია 78
7.4.7. სრული ახლებურად გააზრება 78
საკითხები გამეორებისათვის 79
პრაქტიკული დავალება 79

III ნაწილი 83
თარგმანის გრამატიკული ასპექტები
8. არტიკლის, ვნებით გვარში ზმნების და ემფატური კონსტრუქციების თარგმანი 83
8.1. არტიკლის თარგმანი 83
8.2. ვნებით გვარში ზმნების თარგმანი 84
8.3. ემფატიკური კონსტრუქციების თარგმანი 87
8.3.1. გამამლიერებელი სიტყვები, შესიტყვებები და კონსტრუქციები 87
8.3.2. ინვერსია 88
8.3.3. ორმაგი უარყოფა 88
საკითხები გასამეორებლად 89
პრაქტიკული დავალება 89
9. ინფინიტივი და ინფინიტივის კონსტრუქცია, მიმღეობა და მიმღეობური 93
კონსტრუქცია, გერუნდივი და გერუნდიული კონსტრუქცია
9.1. ინფინიტივის და ინფინიტივის კონსტრუქციების თარგმანი 93
9.2. მიმღეობის და მიმღეობური კონსტრუქციების თარგმანი 96
9.3. გერუნდივი და გერუნდივის კონსტრუქციის თარგმანი 98
საკითხები გამეორებისათვის 99
პრაქტიკული დავალება 99
10. პირობითი წინადადებების და მოდალური ზმნების თარგმანი 104
10.1. პირობითი წინადადებების თარგმანი 104
10.2. მოდალური ზმნების თარგმანი 106
შეკითხვები გამეორებისათვის 107
პრაქტიკული დავალება 107
11. გარდაქმნა სინტაქსის დონეზე 111
11.1. გრამატიკული გაფორმების მნიშვნელობა თარგმნის დროს 112
11.2. წინადადების სტრუქტურის შეცვლა თარგმნის დროს 112
11.3. წინადადების დაყოფა თარგმნის დროს 113
11.4. წინადადებების გაერთიანება თარგმნის დროს 114
11.5. უარყოფითი წინადადებების გადმოცემა 115
შეკითხვები გამეორებისათვის 116
პრაქტიკული დავალება 116
IV ნაწილი 119
თარგმანის სტილისტური ასპექტები
12. სტილის ნაირსახეობა 119
12.1. საგაზეთო-ჟურნალის ტექსტი 119
12.2. სარეკლამო ტექსტი 121
12.3. საქმიანი წერილი 123
საკითხები გამეორებისათვის 125
პრაქტიკული დავალება 125

13 სამეცნიერო-ტექნიკური სტილი 132
13.1. სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური თავისებურებანი 132
13.2. სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტების თარგმნის თავისებურებანი 133
საკითხები გამეორებისათვის 134
პრაქტიკული დავალება 134
14. სათაურების თარგმანი 138
სათაურების ძირითადი თავისებურებანი და მათი თარგმანის ხერხები 138
შეკითხვები გამეორებისათვის 140
პრაქტიკული დავალება 140
V ნაწილი სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანის პრაქტიკუმი 143
15. სრული წერილობითი თარგმანი, რეფერატული და ანოტაციური თარგმანი 143
15.1. სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის სრული წერილობითი თარგმანი 143
15.2. რეფერატული თარგმანი 145
15.2.1. რეფერატული თარგმანის მაგალითი 146
15.3. ანოტაციური თარგმანი 148
15.3.1. საანოტაციო თარგმანის აღწერილობითი ნაწილის მაგალითი 150
შეკითხვები გამეორებისათვის 151
პრაქტიკული დავალება 151
16. პატენტების და ტექნიკური დოკუმენტაციის თარგმანი 155
16.1 ტექნიკური დოკუმენტაციის თარგმანი 155
16.2. პატენტების თარგმანი 156
საკითხები გამეორებისათვის 159
პრაქტიკული დავალება 159
17. ლექსიკონების და ცნობარების გამოყენება 168
17.1. ლექსიკონების კლასიფიკაცია 168
17.2. საერთო ორენოვანი ლექსიკონები 169
17.3. საერთო ერთენოვანი ლექსიკონები 170
17.4. სპეციალური ორენოვანი პოლიტექნიკური ლექსიკონები 170
17.5. ორენოვანი დარგობრივი ლექსიკონები 171
17.6. ერთენოვანი სპეციალური ლექსიკონები და ცნობარები 171
შეკითხვები გამეორებისათვის 172
დამხმარე ლიტერატურა 173

შესავალი

სახელმძღვანელო "სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტების ინგლისური ენიდან თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები" შედგენილია ტექნიკურ უნივერსიტეტებში ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანის სწავლებისთვის.

სახელმძღვანელო შედგება ხუთი ნაწილისგან. პირველ ნაწილში განიხილულია სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანის კურსის საგანი და მიზნები. მეორე ნაწილში -- თარგმანის ლექსიკური საფუძვლები, მესამე და მეოთხე ნაწილი ეძღვნება თარგმანის გრამატიკულ და სტილისტურ საფუძვლებს. მეხუთე ნაწილი წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის პრაკტიკუმს და მოიცავს პატენტების, ტექნიკური დოკუმენტაციის თარგმანს, და ძირითად მოთხოვნებს რეფერატების, ანოტაციებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის სრული წერილობითი თარგმანისათვის.

თითოეულ ნაწილში შედის შესავალი სალექციო მასალა, სავარჯიშოები და სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტი. ყოველი ნაწილის ბოლოს მოყვანილია სავარჯიშოები განვლილი მასალის გასამეორებლად, მოცემულია ავთენტური სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტი ანალიზის და თარგმნისათვის. შეთავაზებულია კომპლექსური გამოყენება შესწავლილი უნარ-ჩვევების პრაქტიკული მუშაობის დროს.

სახელმძღვანელოში მოცემულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნის ძირითადი ლინგვისტური პრობლემების განხილვა. სალექციო ნაწილში მოყვანილი თეორიული საკითხები წარმოადგენს ინგლისური და ქართული ენების შედარების სისტემატიზაციას. ლექციებსა და სავარჯიშოებში მოყვანილი მაგალითები აღებულია ინგლისური სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურიდან.

სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანის მეთოდური სწავლებისათვის სახელმძღვანელოს თითოეულ ნაწილში განიხილება ენობრივ მოვლენებთან დაკავშირებული ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური ენობრივი მოვლენები. განხილულია თარგმანის სიზუსტისა და ადეკვატურობის პრობლემები. თითოეული ნაწილი თარგმანის კურსის დამოუკიდებელი ნაწილია, რაც იძლევა სწავლების პროცესის მიზნების შესაბამისად ვარირების საშუალებას. მასალის მიზანია სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანის სწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე ტექნიკურ უნივერსიტეტებში. მოყვანილი სავარჯიშოები საშუალებას იძლევა სამეცნიერო ტექნიკური თარგმანისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას და განვლილი მასალის გამეორებას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები
თამარ მებუკე და ნინო ჯანჯღავა

I ნაწილი

სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანის კურსის საგანი და მიზნები

1.თარგმანის ცნების არსი
2. თარგმანის ძირითადი ფორმა, სახეობა და ჟანრი
3. თარგმანის ეკვივალენტობა და ადეკვატურობა
3. ფონის ცოდნის მნიშვნელოვნება თარგმანის დროს
4. სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანის თავისებურებანი

არსებობს თარგმანის მრავალი განსაზღვრა, მაგალითად, „თარგმანი წარმოადგენს სიტყვიერი ნაწარმოების შინაარსის გადაცემას სხვა ენის საშუალებით" (ო.ს.ახმატოვა), „თარგმანი ეწოდება სიტყვიერი ნაწარმოების გარდაქმნის პროცესს ერთი ენიდან მეორეზე შინაარსის შენარჩუნებით" (ლ.ს.ბარხუდაროვი) და მრავალი სხვა. ვინაიდან არსებობს მრავალი სხვადასხვა სახის ტექსტი, მისი თარგმანი უნდა იყოს შესრულებული კონკრეტული ჟანრის გათვალისწინებით. მაგალითად, სამთავრობო საბუთები, საქმიანი საბუთები და მხატვრული ლიტერატურა ითარგმნება განსხვავებულად ვიდრე სამეცნიერო ნაშრომები. რა თქმა უნდა, სამეცნიერო და ტექნიკური ტექსტის თარგმნისას აუცილებელია არა მხოლოდ თარგმანის უნარების ცოდნა, არამედ იმ სფეროს და ტერმინოლოგიის ცოდნაც, რომელიც ეხება ტექსტს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული თარგმანის კლასიფიკაცია ნაწარმოების ფორმების, სახეობებისა და ჟანრების გათვალისწინებით.

წერითი თარგმანი ანუ დაწერილი ტექსტის წერითი თარგმანი არის თარჯიმანთა პრაქტიკაში თარგმანის ყველაზე გავრცელებული ნაირსახეობა. გადასათარგმნი მასალის მიხედვით ამ თარგმანის სახეობაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ჟანრები:

ა) გაზეთის სტატიის თარგმანი

ბ) ოფიციალურ-საქმიანი თარგმანი

გ) სამეცნიერო თარგმანი

დ) სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანი

ე) ორატორული მეტყველების და პუბლიცისტიკის თარგმანი

ვ) მხატვრული ლიტერატურის თარგმანი

თარგმანის ჟანრების ნაირსახეობის დიფერენცირება განპირობებულია იმით, რომ ყოველი ტექსტი თავისი ჟანრიდან და სტილიდან გამომდინარე ხასიათდება განსხვავებული ენობრივი და სტილისტური სპეციფიკით. ეს გამოიხატება ერთსა და იმავე ჟანრის ტექსტებში განსაზღვრული სტრუქტურული კომპონენტების სინტაქსური კონსტრუქციების, გრამატიკული ფორმების, სტილისტური ხერხების

დიდი სიხშირით.

სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტებისათვის სტილისა და ენისათვის დამახასიათებელია სპეციალური ტერმინების გამოყენების დიდი სიხშირე, მასალის გადმოცემის განზოგადებული ხასიათი, ლოგიკურობა, ცალსახა მნიშვნელობა და ინფორმაციის გადაცემის შეკუმშული ხასიათი, მეტყველების ნომინალური ხასიათი და ვნებით გვარში კონსტრუქციების ხშირი გამოყენება.

ზეპირი თარგმანი ანუ ზეპირი გადათარგმნა ზეპირი ტექსტის გამოყენება ორიგინალი ტექსტის ენის და ნათარგმნი ტექსტის ენის ზეპირი ფორმით. ამ სახის თარგმანს აქვს ორი ნაირსახეობა: ა) თანამიმდევრული და ბ) სინქრონული.

თანამიმდევრული თარგმანი სრულდება უკვე გაჟღერებული ორიგინალი ტექსტის შემდეგ, რომელიც ან უკვე გაჟღერდა, ან გაჟღერებულ იქნა ინტერვალებით (ჩვეულებრივ აბზაცებით), რამდენიმე წინადადებისაგან შემდგარი ჯგუფებით, ან უფრო იშვიათად ფრაზებით, ცალკეული წინადადებებით პაუზით ყოველი წინადადების შემდეგ.

სინქრონული თარგმანი ხორციელდება, როგორც წესი, პრაქტიკულად ორიგინალი ტექსტის წაკითხვის დროს. მეტყველების ზოგ ადგილას თარჯიმანი შეიძლება ცოტა ჩამორჩეს მოლაპარაკეს დროში (ჩვეულებრივ რამდენიმე სიტყვით) ან გაასწროს მოლაპარაკეს, რაც შეიძლება მოხდეს პროგნოზირების მექანიზმის ხარჯზე, ანუ თარჯიმანის უნარის ხარჯზე წინასწარ გამოიცნოს ჯერ ართქმული მეტყველების ნაწილი.

თარგმანის ორივე სახის გამოყენება პრაკტიკაში დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ სირთულეებთან. მაგალითად, თანამიმდევრული თარგმანი თარჯიმანისგან მოიღხოვს კარგ მეხსიერებას, საგნის და სიტუაციის ცოდნას, სწრაფ რეაქციას. სინქრონული თარგმნისათვის საჭიროა ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებსაც სჭირდება სპეციალური და ხანგრძლივი მომზადება. ცნობილია, რომ ყველას, ვინც თავისუფლად ფლობს ენას, არ შეუძლია კარგი თარგმნა.

წერით - ზეპირი თარგმანი ანუ ზეპირი თარგმანი წერითი ტექსტის: ორიგინალი ტექსტი გამოყენებულია წერილობითი ფორმით და თარგმანის ტექსტი -- ზეპირით. ამ თარგმანის დროს ასევე შესაძლებელია იყოს ორი ნაირსახეობა: ა) თარგმანი შეიძლება სრულდებოდეს ორიგინალური ტექსტის წაკითხვისას ან ბ) თანამიმდევრულად, სრული ტექსტის წაკითხვის შემდეგ ან აბზაცებად. პირველ წერითი-ზეპირი თარგმანის ნაირსახეობას ჩვეულებრივ უწოდებენ „ფურცლიდან წაკითხვას“, მეორეს კი -- თარგმანს მომზადებით (ტექსტის წინასწარი წაკითხვით და გაცნობიერებით).

ზეპირიდან-წერილობითი თარგმანი ანუ წერილობითი თარგმანი ზეპირი ტექსტის. ამ სახეობის თარგმანი საკმაოდ იშვიათია, ვინაიდან ორიგინალიდან ტექსტის თქმის სიჩქარე გაცილებით დიდია, ვიდრე მისი დაწერის სიჩქარე. ერთადერთი შემთხვევა ზეპირი-წერილობითი თარგმანის პრაქტიკაში წარმოდგენილია კარნახი-თარგმანით — სპეციალური

ვარჯიშით თარჯიმნებისათვის ენის შესწავლის კურსებზე როცა ზეპირ ტექსტს ორიგინალიდან კითხულობენ სპეციალურად ნელი ტემპით, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას შეასრულონ წერითი თარგმანი.

ზოგჯერ გამოყოფენ ავტომატურ (კომპიუტერულ) თარგმანს როგორც თარგმანის ცალკე სახეობას, რომელიც გავრცელდა ბოლო დროს. მაგრამ საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ მსგავსი სახის თარგმანს კიდევ სჭირდება დიდი და სერიოზული კორექტირება, რის გამოც მისი ცალკე გამოყოფა ჯერ ნაადრევია.

სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანის ძირითადი ამოცანაა თარგმანის ეკვივალენტურობა და ადეკვატურობა.

თარგმანის თეორიაში ეკვივალენტურობა განიხილება როგორც ორიგინალის ტექსტში შინაარსობრივი, სემანტიკური, სტილისტური და ფუნქციურ-კომუნიკაციური ინფორმაციის შენარჩუნება. ეკვივალენტურობა გულისხმობს წარმატებულ თარგმანში საწყისი და საბოლოო ტექსტების თანაბრობას. ადეკვატურობის თვალსაზრისიდან, თარგმანი განიხილება, როგორც პროცესი. ადეკვატურობა პასუხს გვაძლევს შეკითხვაზე თუ თარგმანი, როგორც პროცესი შეესაბამება მოცემულ კომუნიკაციურ პირობებს (მაგალითად, სალაპარაკო ჟარგონი მიუღებელია ოფიციალური, საქმიანი საუბრის დროს).

თარგმანის წესების დარღვევას უწოდებენ არა ზუსტ, თავისუფალ თარგმანს. ზუსტ თარგმნად ითვლება თარგმანი, რომელიც შესრულებული იყო უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე ის, რომელიც იყო საჭირო მოცემულ შემთხვევაში. ზუსტი თარგმანი წარმოადგენს არასაკმარისად ტრანსფორმირებულ თარგმანს. მსგავსი შემთხვევები ხდება იმ გამონათქვამების თარგმანის დროს, რომლებისთვის არ არსებობს შესატყვისი კონსტრუქციები მიზნობრივ ენაში. შესაძლებელია შეცდომით ჩაითვალოს, რომ მსგავსი კონსტრუქციები არსებობენ მიზნობრივ ენაში და შეინარჩუნო ისინი ნათარგმნ ტექსტში. მაგალითად: ***He walked with his eyes down.*** *ის მიდიოდა ქვემოთ მიმართული მზერით.* მაშინ როდესაც სწორი თარგმანი იქნებოდა: *ის თვალებდაბრილი მიდიოდა.*

ზოგჯერ ამბობენ: „ყველა სიტყვა ვიცი, მაგრამ გადათარგმნა არ შემიძლია". ამის ერთ-ერთი მიზეზია სიტყვის არასწორი შერჩევა და მიზნობრივი ენის გრამატიკის არცოდნა. ცნობილია ასეთი წინადადების თარგმანი:

A bare conductor ran on the wall.

კედელზე დარბოდა შიშველი კონდუქტორი

ნაცვლად: კედელზე გადიოდა შიშველი სადენი

ზუსტი თარგმანისგან განსხვავდება სიტყვა-სიტყვითი თარგმანი. ამ თარგმანის დროს ინარჩუნებენ წინადადების სტრუქტურას, კონსტრუქციების და სიტყვების თანმიმდევრობის შეცვლის გარეშე. მაგრამ სიტყვა-სიტყვითი თარგმანი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა მიზნობრივი ენის წინადადებას აქვს იგივე სტრუქტურა, რაც ორიგინალის წინადადებას, და მისი გამოყენება შესაძლებელია მიზნობრივ ენაში

ლექსიკური და გრამატიკული დარღვევების გარეშე. ყველაზე ხშირად სიტყვა-სიტყვითი ან მასთან მიახლოებული თარგმანი შესაძლებელია სპეციალური ან სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის დროს, როცა ტექსტში ჭარბობს სპეციალური ლექსიკა და ტერმინები.

What is heavy water like? The water studied best is that containing deuterium. It cannot be distinguished from ordinary water by its colour, smell or taste...

რას წარმოადგენს მძიმე წყალი? ყველაზე კარგად შესწავლილია ის სახეობა, რომელიც მოიცავს დეუტერიუმს. იგი არ განსხვავდება უბრალო წყლისაგან თავისი ფერით, სუნით ან გემოთი ...

სიტყვა-სიტყვით თარგმანში შეიძლება ისეთი სიტყვების ჩამატება, როგორიცაა: როგორც ამბობენ, როგორც თვლიან და ა.შ., რათა ხაზი გაუსვან იმ ფაქტს, რომ უცხო ფრაზა ზუსტადაა გადათარგმნილი.

The game is not worth the candles. -- თამაში სანთლის ღირსი არ არის.

თავისუფალი თარგმანი ზუსტი თარგმანის ანტიპოდს წარმოადგენს. თუ ზუსტი თარგმანი არასაკმარისად ტრანსფორმირებულია, მაშინ თავისუფალი თარგმანი გადაჭარბებით ტრანსფორმირებულია. წყაროსგან არაგამართლებული დაშორება იწვევს იმას, რომ თარჯიმანი ცილდება თავის მოვალეობას და გამოდის მისთვის არადამახასიათებელი ავტორის როლში. ამის ნათელი მაგალითია XIX საუკუნის თარჯიმანი ი.ვედენსკი, რომელზე ჩუკოვსკი წერდა: „თუ დიკენსი ამბობს „მან ტირილი დაიწყო“, ვედენსკი თვლიდა აუცილებლად დაეწერა: „პატარას ლამაზი თვალები აუცრემლიანდა“; თუ შეხვდებოდა სიტყვა „თავშესაფარი“, ვედენსკი აუცილებლად ამატებდა: „“ჩემი ბედნიერი ბავშვობის თავშესაფარი“. თვითონ ი.ვედენსკი ხსნიდა თავის დამოკიდებულებას უცხო მასალის მიმართ ხსნიდა თავისი განწყობით, ავტორის სულით და აზრების გამოხატვის თავისებურებებით.

თარგმანის დროს კონტექსტი ასრულებს როლს არა მხოლოდ ორ ენას შორის, არამედ ორ კულტურას შორის. ის, რაც შეიძლება იყოს ცხადი წყაროს ტექსტის მიმღები პირისთვის, შეიძლება გაუგებარი იყოს თარგმნილი ტექსტის მიმღები პირისთვის. კულტურათა სხვაობა გამოიხატება ფონის ცოდნის სხვაობაშიც. ფონური ცოდნა არაერთფეროვანია. გავრცელების დონიდან გამომდინარე ასხვავებენ სამ სახეობას: ზოგადკაცობრიულ ფონურ ცოდნას, რეგიონალურს და ქვეყანათმცოდნეობის. ქვეყანათმცოდნეობის ფონის ცოდნას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა უცხო ენების შესწავლისას.

ფონური ინფორმაცია წარმოადგენს სოციოკულტურულ ინფორმაციას, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ერთი ერისათვის, რაც ათვისებულია ამ ერის წარმომადგენლების უმეტესობით და ასახულია ამ ერის ენაში. ფონურ ინფორმაციაში პირველ რიგში შედის ისტორიული ფაქტები, ეროვნული სახელმწიფოს წყობა, მისი გეოგრაფიული თავისებურებანი, აწმყო და თანამედროვე მატერიალური კულტურის დამახასიათებელი ნივთები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მცნებები და ა.შ.,

ყველაფერი ის, რასაც თარგმანის თეორიაში ჩვეულებრივ უწოდებენ რეალიებს. ეს მცნებები ატარებს ეროვნულ ხასიათს და მათი მატერიალიზაცია ხდება ეგრეთ წოდებულ არაეკვივალენტურ ლექსიკაში.

თარჯიმანისათვის აუცილებელია ზოგიერთი ფაქტორის გათვალისწინება თარგმანის ბოლო ვარიანტის შერჩევისას. შეუძლებელია ითქვას რომ არსებობს მხოლოდ ერთი ზუსტი ვარიანტი; შეიძლება არსებობდეს რამდენიმე სწორი ვარიანტი, ვინაიდან თარგმანი წარმოადგენს შემოქმედებით პროცესს, რომელშიც თარჯიმანს შემოაქვს თავისი ფერები საკუთარი სტილიდან გამომდინარე.

თარგმნის დროს აუცილებელია ორი ძირითადი ამოცანის გადაჭრა:

1. ორიგინალური ტექსტის ენაზე შინაარსის სწორი გაგება;

2. სრულად და ზუსტად გადმოსცეს შინაარსი თარგმანის ენის საშუალებით. სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის წარმატებული თარგმანისათვის აუცილებელია:

1) ინგლისური ენის (მათ შორის სპეციალური ტერმინოლოგიის ცოდნა) განსაზღვრულ დარგში;

2) ინგლისური ენის გრამატიკის ცოდნა, სხვანაირად სიტყვები ემსგავსება ცალკეულ „აგურებს“, რომლებისგანაც შენობას ვერ ააშენებ;

3) თარგმანის ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური საკითხების ცოდნა;

4) ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევები (ფორმალური ნიშნების მიხედვით სიტყვის მეტყველების ნაწილის დადგენა, ლექსიკონის აგებულების ცოდნა);

5) წარმოდგენა იმ ცოდნის დარგზე, რომელზეც დაწერილია ტექსტი (იდეალში – დარგის კარგი ცოდნა).

შეკითხვები განმეორებისათვის:

1. რა იგულისხმება ტერმინში „თარგმანი“?

2. თარგმანის თეორიის მიზნები და ამოცანები.

3. წერილობითი და ზეპირი თარგმანის განსხვავება მუშაობის პროცესში.

4. რას გულისხმობს თარგმანის „ადეკვატურობა“ და ეკვივალენტურობა“ ?

5. რა სახის თარგმანი უფრო სასურველია : ზუსტი, თავისუფალი თუ ადეკვატური და რატომ?

6. რა დონის ეკვივალენტურობა სავალდებულოა თარგმანისათვის?

7. რატომ არის საჭირო თარჯიმანისთვის ფონური ცოდნა?

8. რა ძირითადი საკითხები უნდა გადაწყვიტოს თარჯიმანმა?

9. რა არის საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმნისთვის?

II ნაწილი

თარგმანის ლექსიკური ასპექტები

სიტყვების თარგმანის საერთო პრინციპები

1.1.სიტყვების სემანტიკური თანაფარდობა (ლექსიკურ ერთეულებს შორის)

1.2. ლექსიკური შესაბამისობის გამოყენება თარგმანის დროს

1.3. არაეკვივალენტური ლექსიკის თარგმანი

1.4. კონტექსტის როლი თარგმანში

როგორც ცნობილია, არ არსებობს უშუალო შესატყვისობა ორი ენის ლექსიკურ შემადგენლობას შორის. თითოეული სიტყვა ნებისმიერ ენაში არის სპეციფიკური და განუმეორებელი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს არაფერი საერთო სხვადასხვა ენებს შორის. სიტყვის თარგმანი იწყება სხვა ენაში სემანტიკურად მსგავსი სიტყვის მოძებნით. თუ ჩვენ გვჭირდება გადავთარგმნოთ ინგლისური სიტყვა *lock*, პირველ რიგში დავადგენთ, რომ ეს სიტყვა შეიძლება ნიშნავდეს „1) *noun* კლიტე, საკეტი; კლიტე (თოფის); რაბი; კაშხალი, საგუბარი; ჭედვა (ქუჩაში მოძრაობისას); ჭილიბი (თვლისა); Yale lock - ამერიკული საკეტი; under lock and key - დაკეტილში; lock, stock and barrel - მთლად, მთლიანად, სავსებით, ერთიანად». იმ სიტყვების სია, რომელთა მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია გადავთარგმნოთ ეს სიტყვა ქართულ ენაზე შეიძლება იყოს გაგრძელებული, მაგრამ ვერავინ ვერასდროს ვერ იტყვის რომ ინგლისური სიტყვა *lock*, ნიშნავს, მაგალითად, გასაღებს.

თარგმანის თეორიაში ქართულ სიტყვას, რომლის მნიშვნელობა ახლოსაა ინგლისური სიტყვის მნიშვნელობასთან, უწოდებენ ლექსიკურ ან სიტყვის შესაბამისობას. მსგავსი შესაბამისობათა ცოდნა აუცილებელია, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ყველაზე ხშირად გამოყენებად ინგლისური სიტყვების მნიშვნელობის გადაცემას ქართულ ენაზე.

ორი ენათაშორისი სემანტიკური შესაბამისობა შეიძლება იყოს დაყვანილი სამ სახეობამდე: I სრული შესაბამისობა; II ნაწილობრივი შესაბამისობა; III შესაბამისობის არარსებობა.

სრული შესაბამისობა. ლექსიკური ერთეულების სრული შესაბამისობა სიტყვის სრული მნიშვნელობის მოცულობით საკმაოდ იშვიათია სხვადასხვა ენებში, როცა ინგლისური სიტყვის მნიშვნელობა სრულად შეესაბამება ინგლისური სიტყვის მნიშვნელობას. მსგავს მუდმივ, ტოლფასიან შესაბამისობას უწოდებენ ეკვივალენტს. როგორც წესი, ეს არის ერთმნიშვნელოვანი სიტყვები, ანუ ორივე ენაში ამ სიტყვებს აქვს თითო მნიშვნელობა; ასეთი სიტყვების რაოდენობა ენაში მცირეა დანარჩენ სიტყვებთან შედარებით. აქ შედის ძირითადად შემდეგი ჯგუფის სიტყვები:

1) საკუთარი სახელები და გეოგრაფიული დასახელებები, რომლებიც შედის ორივე ენის ლექსიკონში: *Hercule Piorot, New Hampshire, Pacific Ocean*;

2) სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინები: *hydrogen, semiconductor*;

3) ზოგიერთი სხვა სიტყვების ჯგუფები, სემანტიკურად მიახლოვებული პირველ ორ ჯგუფთან, მაგალითად თვეების და კვირის დღეების სახელები და რიცხვითი სახელები: *Monday, September, thirty.*

სრული შესატყვისობისა და ეკვივალენტების თარგმანი არ წარმოადგენს სირთულეს, მათი გადმოცემა არ არის დამოკიდებული კონტექსტზე.

ნაწილობრივი შესატყვისობა. ერთი ინგლისური სიტყვის მნიშვნელობას ნაწილობრივ უდრის რამდენიმე ქართული სიტყვის მნიშვნელობა. მაგალითად, *attitude — პოზიცია; ურთიერთობა, ურთიერთდამოკიდებულება; პოზა; ტანადობა, წარმოსადეგობა; actual-- ნამდვილი, რეალური, ხალასი; მიმდინარე, ახლანდელი, თანამედროვე, აწინდელი.*

სიტყვების მნიშვნელობის ნაწილობრივი შესატყვისობა ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა ორი ენის სიტყვების შედარებისას. მსგავსი სიტყვების თარგმანი ხდება მათი ვარიანტული შესატყვისობის მეშვეობით როცა მთავარ მიზანს წარმოადგენს იმ შესატყვისობის მოპოვება, რომელიც უფრო ზუსტად გადმოსცემს სიტყვის მნიშვნელობას მოცემულ კონტექსტში. ერთი თარგმანის ვარიანტის შერჩევა ხშირად ძალზე ძნელია და ამავე დროს საჭიროა პირველ რიგში გაითვალისწინო კონტექსტი.

შესაბამისობის არარსებობა. ლექსიკური ერთეულის სრული შესაბამისობის არარსებობის შემთხვევაში მეორე ენის ლექსიკურ მარაგში საუბრობენ არაეკვივალენტურ ლექსიკაზე. აქ შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სიტყვების ჯგუფები:

1) პირადი სახელები, გეოგრაფიული დასახელებები, დაწესებულებების, ორგანიზაციების, გაზეთების, გემების სახელები და ასე შემდეგ, რომლებსაც არ აქვს მუდმივი შესაბამისობა მეორე ენის ლექსიკაში: ასეთი გვარები, როგორც *უერინ, თჰორნე,* დასახლების სახელები *უოგუე, შიტუატე და ასე შემდეგ.*

2) რეალიები, ანუ ის სიტყვები, რომლებიც ნიშნავს ნივთებსა, მცნებებს და სიტუაციებს რომლებიც არ არსებობს მეორე ენის მატარებელი ხალხის პრაქტიკულ გამოცდილებაში. ამ ჯგუფში შედის სიტყვები, რომლებიც ნიშნავს მატერიალური და სულიერი კულტურის საგნებს, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ერთი ერისათვის. მაგალითად: purist პურისტი, მორალის დაცვის მკაცრი მომხრე, ლიტერატურული ენის გასუფთავების მომხრე, limerick -- სახუმარო ლექსი.

3) სიტყვები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ აქვს სხვა ენის ლექსიკურ მარაგში შესაბამისობა. მაგალითად, paramedical 1) პარამედიცინის (მაგ.: ისეთი მეცნიერება როგორიცაა ფიზიოლოგია , ბიოქიმია , გენეტიკა); 2) უმცროს სამედიცინო პერსონალს მიკუთვნებული.

1. ისეთი სიტყვების თარგმნისათვის, რომლებსაც არა აქვს უშუალო ლექსიკური შესაბამისობა მეორე ენაში, არსებობს მთელი რიგი თარგმანის სპეციალური ხერხები და

მნიშვნელოვანია შეარჩიო ის ხერხი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ნათარგმნ ტექსტს.

1.1. თარგმანი ტრანსლიტერაციის და ტრანსკრიფციის მეშვეობით

როცა საჭიროა იმ ინგლისური სიტყვის გადათარმნა, რომელსაც არა აქვს შესაბამისობა ქართულ ენაში, შეიძლება სცადო თარგმანში აღადგინო ამ ინგლისური სიტყვის ფორმა იმისათვის რომ შემოიღო ქართულ ენაში ლექსიკური ერთეული რომელიც შეესაბამება ინგლისურ სიტყვას. ამ შემთხვევაში ქართულ ენაში გაჩნდება ახალი ნასესხები სიტყვა. უცხო ენის სიტყვის ფორმა შეიძლება იყოს გადმოცემული ტრანსლიტერაციის ან ტრანსკრიფციის საშუალებით.

ტრანსლიტერაციის მეთოდი შეეხება ქართული ასოებით გადმოცემას იმ ასოების, რომლებიც შეადგენენ ინგლისურ სიტყვას და პირიქით; მაგალითად, *Waterloo ვატერლო, robot — რობოტი, boss -- ბოსი და ასე შემდეგ.*

ტრანსლიტერაციას ვრცლად იყენებდნენ თარჯიმნები XIX საუკუნის დასასრულამდე. იმ ხერხის გამოსაყენებლად არ იყო საჭირო ინგლისური სიტყვის გამოთქმის ცოდნა, საკმარისი იყო სიტყვის მხედველობითი აღქმა. მაგრამ ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ ინგლისური სიტყვების გამოთქმა განსხვავდებოდა იმ გამოთქმისაგან, რომელიც იყო მიღებული ინგლისში და ინგლისელები ვერ ცნობდნენ ვილდში თავის მწერალს უაილდს. ზოგ შემთხვევაში კი არაგამართლებული იყო თარგმანში არქაული ინგლისური ორთოგრაფიის რეპროდუცირება.

თანამედროვე ქართულ ენაში თარგმანის დროს უფრო გავრცელებულია ინგლისური სიტყვის ტრანსკრიბირება, ანუ ქართული ასოების მეშვეობით გადმოცემა არა ორთოგრაფიული ფორმის, არამედ ინგლისური სიტყვის ჟღერადობის. ვინაიდან ინგლისური და ქართული ენების ფონეტიკური სისტემები განსხვავდებიან, მსგავს გადმოცემას ყოველთვის აქვს პირობითი ხასიათი და ასახავს მხოლოდ ინგლისური სიტყვის ჟღერადობის მიბაძვას. მაგრამ ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს შევქმნათ მეტ-ნაკლებად ინგლისური ბგერების გადმოცემის ქართული ასოებით გამართული სისტემა: *Internet – ინტერნეტი; impeachment – იმპიჩმენტი; file – ფაილი; interface – ინტერფეისი; business – ბიზნესი.*

თარგმანის გავრცელებული ხერხია წარმოადგენს პარალელური ჩართვა -- ტექსტში ტრანსკრიფციის/ტრანსლიტერაციისა და კალკირების შემოტანა, და ფრჩხილებში ორიგინალის ენაზე სიტყვის დაწერა.

1.2. .თარგმანი კალკირების მეშვეობით

კალკირების დროს ნაწილ-ნაწილ თარგმნიან ინგლისურ სიტყვას (ან შესიტყვებას) და ამატებენ გადათარგმნილ ნაწილებს ცვლილებების გარეშე, მაგალითად, *sky-scraper*-- ცათამბჯენი, *brain drain* --ტვინის გადინება და ასე შემდეგ.

ფართოდაა გავრცელებული მყარი შესიტყვების კალკირება: *the United Nations Organization გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, Third Reich – მესამე რაიხი, House of Commons – თემთა პალატა.*

კალკირების დროს არსებობს არასაჭირო სიზუსტის საფრთხე. ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მეორე ენაში ნამდვილად არ არსებობს შესატყვისი სიტყვა ან გამონათქვამი და მიღებული კალკირებული სიტყვა არ არღვევს სიტყვების შეთავსებას თარგმანის ენაში.

1.3. აღწერილობითი თარგმანი

აღწერილობითი თარგმანი წარმოადგენს სიტყვების მნიშვნელობის გადაცემას ახსნის მეშვეობით.

tracker -- აუდიო ტრეკების დასამუშავებელი პროგრამა
shareware -- პირობითად უფასო პროგრამები (რომლებსაც ავრცელებენ პრინციპით გამოსცადე სანამ იყიდი)
Demo -- პროგრამის სადემონსტრაციო ვერსია

მსგავსი აღწერილობითი თარგმანი შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც ლექსიკონის სიტყვების ახსნა-განმარტებისათვის, ასევე იმ სიტყვების თარგმანის დროს, რომლებსაც არა აქვს უშუალო შესატყვისობა კონკრეტულ ტექსტში.

1.4. მიახლოებული თარგმანი

მიახლოებული თარგმანი ან თარგმანი „ანალოგის" მიხედვით, წარმოადგენს თარგმანის ენაში მნიშვნელობის ახლო შესატყვისობის უცხო ლექსიკური ერთეულის მოძებნას, როცა თარგმანის ენაში არ არსებობს მისი ზუსტი შესატყვისი. ანალოგი წარმოადგენს უცხო კულტურის ელემენტის მიახლოებულ აღნიშვნას, ანალოგი მოსახერხებელია როგორც მიახლოებული ახსნა.

near-field monitor - სტუდიის მონიტორი,
broadcast quality - ბმის უმაღლესი ხარისხი
assistant professor, associate professor –დოცენტი

1.5. ახსნა-განმარტების და სქოლიოს გამოყენება თარგმანში

თუ ორიგინალში არის საავტორო ახსნა-განმარტება და სქოლიოები, აუცილებელია მათი გადატანა ნათარგმნ ტექსტში.

** The GaN epitaxial layers were grown on Si substrates by means of metalorganic chemical-vapor deposition*
** ეტილაქსიალური ფენები გაზრდილი იყო Si* მოსაკრებლებზე ქიმიური ორთქლის დალექვით.

მაგრამ ზოგჯერ თარჯიმანი იძულებულია თვითონ მოიყვანოს ორიგინალის ტექსტში არ არსებული ახსნა-განმარტება და სქოლიოები. ზოგჯერ საჭიროა აუხსნა მკითხველს მის ენაში არარსებული რეალიები. ზოგ შემთხვევაში კი სქოლიო საჭიროა თარგმანის ხასიათიდან გამომდინარე. სიტყვის ტრანსქრიბირების ან ტრანსლიტერაციის დროს

თარჯიმანი შეიძლება არ იყოს დარწმუნებული იმაში, რომ ახალი სიტყვის მნიშვნელობა გასაგები იქნება კონტექსტიდან. მაშინ მას სქოლიოში მოჰყავს ტრანსკრიბირებული სიტყვის მნიშვნელობა, მაგალითად: *You can share useful data, such as bitmaps, icons, fonts, and strings, by adding this data as resources to the file for an application or DLL*

ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ საერთო სარგებლობაში ისეთი მონაცემები, როგორიცაა რასტრული ასახვა, ბატები, შრიფტები და სტრიქონები დანართის ფაილში ან DLL-ში რესურსების სახით დამატებით.*

DLL შემოკლების გამოყენების შემდეგ თარჯიმანმა საჭიროდ ჩათვალა შემდეგი სქოლიოს მოყვანა: *DLL* (Dynamic link library)* დინამიკური შეერთების ბიბლიოთეკა.

მსგავსი სქოლიოები კეთდება სიტყვის პირველადი გამოყენებისას. შემდგომში სიტყვას ხმარობენ ახსნა- განმარტების გარეშე.

1.6. ტრანსპლანტაცია (ან უცხო ენაზე სიტყვების ჩართვა)

ტრანსპლანტაცია (ან უცხო ენაზე სიტყვების ჩართვა) წარმოადგენს ნათარგმნ ტექსტში უცხო სიტყვების და გამონათქვამების ჩართვას უცხო ენაზე რაც აძლევს ტექსტს ავთენტურობას და სამეცნიერო ხასიათს, აგრეთვე სიმოკლეს.

პრაქტიკაში არსებობს ორი მიდგომა უცხო ენაზე სიტყვების ჩართვის მიმართ:

1) სიტყვებს იყენებენ ახსნის გარეშე, მახვილი კეთდება კონტექსტუალურ გააზრებაზე, ან მკითხველის მომზადებაზე, ან საერთოდ ცნობილი ლექსიკური ერთეულების ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემის მიხედვით (მაგალითად, ლათინური *nota bene* – მიაქციე ყურადღება; *post-scriptum* -- დაწერილის შემდეგ). ზოგჯერ მსგავსი ჩართვების საყოველთაო ცოდნის გამო, მათი თარგმანი ზედმეტია.

Windows is a software program that makes your PC easy to use.

Windows-ის პროგრამა აადვილებს თქვენი კომპიუტერის გამოყენებას.

The first IBM PC set a world-wide standard of IBM-compatibility which over the next 10 years was only seriously challenged by one other company.

პირველმა IBM პერსონალურმა კომპიუტერმა დაამყარა IBM-ის შეთავსების საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც მხოლოდ ერთმა კომპანიამ ბოლო 10 წლის განმავლობაში ბრძოლაში გაიწვია.

2) სიტყვებს თან ახლავს ახსნა-განმარტება.

ფართოდ გავრცელებულია სქოლიოების და კომენტარების გამოყენების პრაქტიკა.

Applications generate output for a window using the GDI functions

დანართები ქმნის გამოშვების მონაცემებს GDI-ს ფუნქციის გამოყენებით.*

** GDI (General data interface) -- მონაცემთა ბაზაში შესვლის საერთო ინტერფეისი.*

1.7. კონტექსტის როლი

ტყვის თარგმნისას გამოყოფენ ორ ეტაპს:

ა) სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობის დადგენას;

ბ) ამ მნიშვნელობის გადმოცემას ქართულ ენაზე, ანუ თვით თარგმანს;

ამ შემთხვევაში საუბარია არა ცალკე სიტყვის თარგმანზე, არამედ სიტყვის თარგმანზე ტექსტში. სიტყვის თარგმნის ყველა ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონტექსტის ანალიზს. როგორც ცნობილია, სიტყვების უმეტესობა მრავალმნიშვნელოვანია და იმის დადგენა თუ რა მნიშვნელობითაა სიტყვა გამოყენებული ტექსტში, შეიძლება დავადგინოთ მხოლოდ კონტექსტიდან.

განასხვავებენ ვიწრო კონტექსტს (შესიტყვებას ან წინადადებას) და ვრცელ კონტექსტს (აბზაცი, თავი ან მთლიანი ნაწარმოები). ხშირად სიტყვის მნიშვნელობა გასაგებია ვიწრო კონტექსტიდან. მაგალითად:

water glass — წყლის ჭიქა

sun glasses — მზის სათვალეები

magnifying glass — მადიდა, ლუპა

field glass — საველე დურბინდი

opera glass — თეატრალური დურბინდი

კონტექსტთან შედარებისას ადვილია გამოიცნო რას ნიშნავს სიტყვა *glass* ნებისმიერ შემთხვევაში.

ზოგჯერ შეიძლება რთული იყოს იმის დადგენა თუ რა მნიშვნელობითაა გამოყენებული კონკრეტული სიტყვა, და ამის დადგენა შესაძლებელი ხდება მხოლოდ მისი ვრცელი კონტექსტიდან გამომდინარე, მაგალითად მთელი სტატიის კონტექსტიდან.

შეკითხვები განმეორებისათვის

1. რომელი ორი ენის ლექსიკური ერთეულების სემანტიკური კავშირებია თქვენთვის ცნობილი?
2. რას ნიშნავს ლექსიკური (სიტყვის) შესატყვისობა?
3. რამდენად გავრცელებულია ენებში ეკვივალენტურობა?
4. მოიყვანეთ იმ ინგლისური სიტყვების მაგალითები, რომლებსაც არა აქვს შესატყვისი სხვა ენებში.
5. რას წარმოადგენს ტრანსკრიფციის/ტრანსლიტერაციის ხერხის გამოყენება თარგმანის დროს?
6. რას წარმოადგენს სიტყვის კალკირება თარგმანის დროს?
7. რა განსხვავებაა ლექსიკონში თარგმან-განმარტებას და კონტექსტში სიტყვის აღწერილობით თარგმანს შორის?
8. რა შემთხვევებში უნდა მოიყვანოს თარჯიმანმა ორიგინალურ ტექსტში არარსებული ახსნა და სქოლიოები?
9. რას წარმოადგენს მიახლოებული თარგმანი?

10. რა არის ტრანსპლანტაცია?
11. რა როლს ასრულებს კონტექსტი სიტყვების თარგმნის დროს? რა სახეობების კონტექსტია ცნობილი თქვენთვის?

პრაქტიკული დავალებები

I გადათარგმნეთ შემდეგი შესატყვისები ქართულ ენაზე. ეცადეთ შეარჩიოთ მრავალმნიშვნელოვანი სიტყვის სწორი მნიშვნელობა ვიწრო კონტექსტიდან გამომდინარე.

1. strong forces, strong paper, strong magnetic field
2. solid particles, solid argument, solid book
3. careful observation, careful work
4. fine wire, fine edge, fine sand
5. the performance of a plane, the performance of a task
6. the stroke of a piston, the stroke of a clock
7. the treatment of a problem, the treatment of metal, the treatment of diseases
8. the handling of an instrument, the handling of dangerous fission products

II. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები მრავალმნიშვნელოვანი სიტყვების მნიშვნელობის დადგენით კონტექსტიდან. მიაქციეთ ყურადღება ტერმინების თარგმანს.

1. It was very difficult in the early days of atom-smashing to *deliver* a hit on the nucleus.
2. Storage batteries do not *deliver* their maximum output at extremely low temperature.
3. A simple radiotelescope consists of a directional antenna, which collects incoming radio waves and *delivers* the collected energy to a reservoir.
4. The money is being kept on time *deposit*.
5. Rich mineral *deposits* have been discovered near this river.
6. When no more silver *deposits* on the copper, the operation is completed.
7. With this they may pay the first *deposit* on farms.
8. We were required to pay a security *deposit* of 200 dollars.
9. Radioisotopes constitute a potential danger and we must *handle* them carefully.
10. Using this device, the Geiger counter is able to *handle* signals at a rapid rate.
11. It is much more difficult to *handle* radiation received from reactors in indirect ways.

III.გადათარგმნეთ შემდეგი საკუთარი სახელები, თანამდებობებისა და დაწესებულებების სახელები ტრანსლიტერაციის, ტრანსკრიბირების და კალკირების ხერხების გამოყენებით. შესამოწმებლად გამოიყენეთ ლექსიკონი.

1. M.Rusy, Minister of Agriculture and Food of the Republic of Belarus
2. A.Kuzma. President of the Concern "Belgospishcheprom"
3. V.Lovkis. General Director of the Republican Unitary Enterprise "Belarus Scientific Research Institute of Foodstuffs"
4. V.Khrol, Chairman of the Constant Commission on Housing Policy, Construction, Trade and Privatization of the House of Representatives of the National Assembly of the Republic of Belarus
5. Belarusian Republican Unitary Insurance Enterprise "Belgosstrach"
6. A.Miroshnik, Leading Expert of the Legislation and International Affairs Department of the Supreme Economic Court of the Republic of Belarus
7. F.Dmitrakovich, Head of the Department of the Scientific Research Economic Institute of the Ministry of Economics of the Republic of Belarus, Bachelor of Economic Science
8. G.Manshin, President of the International Academy of Information Technologies, Doctor of Technical Sciences, Professor, Corresponding Member of the National Academy of Sciences of the Republic of Belarus, Laureate of the State Prize of the USSR
9. S.Shmelevsky, Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of France in the Republic of Belarus
10. R.Sayas, Embassy Adviser of Republic Cuba in the Republic of Belarus
11. D.Bulakhov, the first deputy Chairman of the CIS Executive Committee
12. A.Poznjak, Deputy Chairman of Minsk executive committee
13. Republican Transport Unitary Enterprise "Belarus river shipping company "River port Mozyr"
14. Communal Unitary Enterprise "Factory of effective industrial constructions"
15. Republican Unitary Manufacturing Enterprise "Spezszhelezobeton" (Mikashevichi)
16. Manufacturing Republican Unitary Enterprise "Baranovichi combine of reinforced-concrete constructions".

IV. გადათარგმნეთ წინადადებები, მიაქციეთ ყურადღება შემასმენლის მნიშვნელობის ცვლილებებს ქვემდებარის მნიშვნელობის ცვლილების მიხედვით.

1. New methods were developed as a result of this experimental work.
2. Very high speed developed when the jet engines appeared.
3. New power plants without propellers were developed in order to drive airplanes at sonic and supersonic speeds.
4. In this chapter equations are developed for microscopic quantities.
5. Transistor oscillations can be used for the same purposes as vacuum tubes only when frequency and temperature limitations are met.
6. Several general requirements should be met to match transistor stages in an amplifier.

V. თარგმნეთ წინადადებები. მიაქციეთ ყურადღება სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას კონტექსტიდან გამომდინარე.

1. load

The lorries were loaded mechanically. The load weighs a hundred kilograms.

2. oil

Every machine needs oiling. Water is heavier than oil. What sort of oil is there at this service station?

3. fuel

What kind of fuel is used in these lorries? We had to stop to fuel the car. Modern airplanes often have air fuelling.

4. design

The architects are designing a new building. According to its design the future library will have a diamond shape. The icebreaker is designed for operation in Arctic waters.

VI. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები სწორი ვარიანტული შესატყვისობის შერჩევით. მიაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ მრავალმნიშვნელოვანი სიტყვები წარმოადგენს სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს.

1. The use of light metals in industry will amount to a higher and higher per cent.
2. There is a great amount of titanium in the Urals.
3. A square thing does not fit into a round hole.
4. The Earth makes its yearly round in 365 or 366 days.
5. There is a research institute round the corner.
6. Many technical means will be improved in future.
7. This fact means that any change in laboratory conditions will negatively affect the experiment.
8. The obtained result is of great practical importance for the development of these systems.
9. The application of powerful outer space relays results in better communication
10. The total number of power stations in the world is constantly growing.
11. All the devices of this laboratory total about two hundred.
12. Solar batteries provided much energy for this system operation.
13. A cell supplies electric energy provided its electrodes are different materials.
14. It is best to have the value of an alternating current or varying voltage with time according to the sine wave.
15. Large turbines have an economy of three or four times that of steam units in a small plant.
16. The top cover is made of stainless steel.
17. It was necessary to cover the box with a sheet of iron.
18. The instruments record changes in temperature.
19. The model provides an accurate record of the process

VII. შეასრულეთ შემდეგი სტატიის სრული წერითი თარგმანი. ახსენით ტექსტში ნახსენები რეალიები. დაადგინეთ რა შემთხვევაშია გამართლებული ტრანსპლანტაციის გამოყენება.



AT HOME IN THE FUTURE

The home of the future will be a cathedral to the idea of net-worked convenience. PC-style devices will smoothly, automatically control your heating and lighting, while sound and pictures will be streamed into the house via a broadband Internet connection. In the future, few people will buy music on CDs or films on DVD. Why bother when you can access your desired form of entertainment via the menu displayed on your flat, wall-hanging plasma TV screen? Voice-recognition technology will become ubiquitous. People will think nothing of talking to various appliances around their home. Microwave-based vending machines in the kitchen will allow Trekkies (yes, the future will still have Trekkies) to request "Tea, Earl Grey, hot," without any sense of irony.

During 2000, we have learned that hard drive-based personal video services such as TiVo can record specific programs for their owners via a simple "preference engine." In the near future, such preference engines will be integrated into our domestic servers, creating a "smart home" that not only knows which temperature you prefer at a particular time of year, but also which light levels should be provided in certain rooms and which music should be piped to different locales at different times of the day.

It could be commonplace for this smart house to "recognize" its owner through Blue-tooth enabled ID bracelets/tags or coded pocket PCs. Expect your future house to personally greet you with a cheery "Welcome home, Dave," when the front door is opened. This might just as easily be a screamed "Danger, Will Robinson!" warning if an unauthorized intruder breaks in. In such an instance our smart house could not only shut itself down, trapping the interloper, but dial out for police assistance at the same time. Perhaps the hapless intruder would be savaged by a resident robot guard dog!

Certainly, within 10 years average people can count a robot as part of the family. To see what such a creation might offer we need only look to Sony's groundbreaking robo-pooch, AIBO (that's Japanese for friend or companion). Already in its second generation, the AIBO has become more sophisticated and interactive.

Amanda Behrend, public-relations manager for Sony UK, says, "One of the big innovations on our second generation AIBO is voice recognition. When the robot reaches the child stage it requests a name which it will then respond to. It has a vocabulary of 50 words which it can recognize, including sit, dance, play ball. Its ears move around, which adds to the number of expressions it has, and it has more sensors than before. Additional sensors in the head allow it to recognize if it is being stroked or tickled under its chin."

Perhaps the most. significant refinement is the inclusion of a video camera in its eye. This camera can grab low-resolution images that can be saved to a memory stick device, which can then be read by a computer.

This imaging ability will evolve rapidly. Within the next decade your robotic pet could also double as your digital camera. relieving you of the need to take pictures altogether. And there's no real reason your robotic pal should look like a dog. It could just as easily resemble a small, two-legged human: a photo-pal, if you will.

And in the house of the future, don't expect to spend hours sitting at a PC workstation. Much of the functionality of the traditional PC will migrate to handheld computers that will be part PC, part

mobile phone and all secret-agent chic.

Says Roger Kermisch, general manager of Handspring International, "In the very near future, the traditional PDA will evolve from pocket organizer to personal communicator. You will be able to talk to someone and even to see them through your handheld. Soon, there will be more connections to the Internet from handhelds than there will be from PCs.

And when wireless broadband and affordable wireless service arrives you will be able to deliver video on the move, to provide the type of capabilities you only see in James Bond movies today. Welcome home.

2. ტერმინების თარგმანი

2.1. .ტერმინის ცნება
2.2. .ტერმინის კონტექსტთან დაკავშირების თავისებურებანი
2.3. .ტერმინების თარგმანის თავისებურებანი
2.4. .მრავალკომპონენტიანი ტერმინები და მათი თარგმანი
2.5. .ტერმინების-შესიტყვებათა სტრუქტურული თავისებურებანი

ტერმინი არის სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც წარმოადგენს განსაზღვრული ცნების, ცოდნის სფეროს, მეცნიერების, ტექნიკის ან ხელოვნების დასახელებას. ტერმინები შეადგენს ლიტერატურული ენის ლექსიკის ნაწილს და აქვს იგივე ლინგვისტური თავისებურებანი რაც სხვა ლექსიკურ ერთეულებს, მაგრამ ტერმინები წარმოადგენს ემოციურად ნეიტრალურ სიტყვებს. ტერმინების თარგმანი მოითხოვს თარგმანის ტექსტის სფეროს ცოდნას, ტერმინების მნიშვნელობის გაგებას უცხო ენაზე და მშობლიურ ენაზე ტერმინოლოგიის ცოდნას.

გამოყენების სფეროს მიხედვით ტერმინებს ყოფენ საერთო სამეცნიერო, საერთო ტექნიკურ (აქ შედის ის ტერმინები, რომლებსაც იყენებენ მეცნიერების და ტექნიკის რამდენიმე სფეროში), დარგობრივ (ტერმინები, რომლებსაც იყენებენ ცოდნის ერთ დარგში) და ვიწროსპეციალურ (ტერმინები, დამახასიათებელი მოცემული დარგის ერთი სპეციალობისათვის) ტერმინებად.

ტერმინის მიმართ გამოიყენება შემდეგი მოთხოვნები:

ა) სისტემურობა;

ბ) კონტექსტისგან დამოუკიდებლობა (უმეტეს შემთხვევაში);

გ) ერთმნიშვნელოვნება:

დ) სიზუსტე და სიმოკლე.

იდეალში ტერმინს შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს ყველა ეს თვისება. მაგრამ ზოგიერთ ტერმინს აქვს ისეთი ნაკლი, როგორიცაა მრავალმნიშვნელიანობა (ერთ ტერმინს შეიძლება ჰქონდეს ორი და მეტი მნიშვნელობა), სინონიმი (ერთი ცნებისათვის შეიძლება არსებობდეს ორი და უფრო მეტი ტერმინი).

პროფესიული ურთიერთობა მოითხოვს კონკრეტულობას, სიმოკლეს და სიზუსტეს, რაც შეუძლებელია ტერმინების გამოყენების გარეშე. მაგრამ აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში ტერმინი იძენს არაერთ სპეციალურ ცნებას, როგორც მაგალითად, *processor — პროცესორი, graphic equalizer -- გრაფიკული ეკვილაიზერი* და ასე შემდეგ, არამედ რამდენიმეს, რის გამოც ტერმინი ხდება მრავალმნიშვნელოვანი, მაგალითად, *output -- 1) გამოშვება, 2) პროდუქცია, 3) წარმოება, 4) გამომუშავება, 5) მოპოვება, 6) მწარმოებლობა, 7) წარმოების სიმძლავრე.*

ტერმინების თარგმანის ძირითადი ხერხია ეკვივალენტების მეშვეობით თარგმანი (მუდმივი, სრული, ზუსტი ლექსიკური შესაბამისობის თარგმანი ენაში).

magnitude – სიდიდე;

oxygen – ჟანგბადი.

როგორც წესი, შემდეგ ტერმინებს აქვს მუდმივი ეკვივალენტები თარგმანის დროს:

ა) ლათინური და ბერძნული ფუძეებიდან წარმოებული ტერმინები:

stereophonic - სტერეოფონული, *acoustics* -აკუსტიკა.

ბ) ნასესხი ტერმინები, რომელთა გამოჩენა ქართულ (და ბევრ სხვა ენაში) განპირობებულია ინგლისურენოვანი (აშშ, დიდი ბრიტანეთი) ქვეყნების დომინირებული როლით ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და გამოყენებაში: კომპაქტ-დისკი, *MIDI (Musical Instrument Digital Interface) – MIDI სტანდარტი.*

მიიჩნევა, რომ ტერმინების ადეკვატური თარგმანი ადვილად მისაღწევია. ფიქრობენ, რომ ტერმინი ერთმნიშვნელოვანია, კონტექსტისაგან დამოუკიდებელია და მიეკუთვნება იმ ერთეულებს, რომლებიც არ წარმოადგენს სირთულეს თარჯიმანისათვის.

ტერმინისათვის დამახასიათებელია განსაზღვრულ ცნებასთან შეფარდება, ცალსახა მნიშვნელობისაკენ მისწრაფება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტერმინი აბსოლუტურად დამოუკიდებულია კონტექსტზე. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ სიტყვის ტერმინოლოგიური მნიშვნელობა არ ექვემდებარება კონტექსტუალურ ცვლილებას და გამოიხატება პირდაპირ კონტექსტში. არსებობს მრავალი ტერმინი, რომლებიც წარმოადგენს საყოველთაოდ ხმარებული სიტყვების კერძო მნიშვნელობებს. კონტექსტიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ სიტყვა გამოყენებულია თავისი ჩვეულებრივი, თუ ტერმინოლოგიური მნიშვნელობით.

A short circuit can divert current from its natural path
მოკლე ჩართვების რიგმა შეიძლება შეცვალოს დენის სვლა.
A short circuit of mountains stretched behind the forest.
ტყის უკან განლაგებულია მთაგრეხილი.
These riffles are provided with a new type of foresight.
ეს თოფები აღჭურვილია ახალი სახის სამიზნით.
If you had more foresight, you would have saved yourself a lot of trouble.
შენ რომ გქონოდა მეტი წინდახედულება ბევრ უსიამოვნებას თავს აარიდებდი.

ბევრ ტერმინს აქვს არა ერთი, არამედ რამდენიმე მნიშვნელობა და ამის გამო,

კონტექსტი წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომლისგან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ რომელი მნიშვნელობითაა სიტყვა-ტერმინი გამოყენებული კონკრეტულ კონტექსტში.

მაგალითად, ტერმინი *valve შეიძლება ნიშნავდეს:* 1) სარქველი, სახურავი, საფარი; 2) ხელსაწყოს სარქველი.

ტერმინების თარგმნისას იყენებენ ჩვენს მიერ უკვე შესწავლილ ხერხებს.

2.1. თარგმანი ლექსიკური ეკვივალენტის გამოყენებით

ა) ტრანსკრიფცია

computer –კომპიუტერი

electrolyte -- ელექტროლიტი

ბ) ტრანსლიტერაცია

electron – ელექტრონი, *collector* – კოლექტორი

მათ შორის არსებობს საერთაშორისო ტერმინები:

president – პ რე ზი დე ნ ტი

television – ტე ლე ვ ი ზი ა

theorem –თ ე ო რ ე მ ა

გ) კალკირება (სიტყვასიტყვითი თერგმანი)

electromagnetic induction – ელექტრონული ინდუქცია

textile fiber – ტე ქ ს ტი ლური ბ ა ჭი

purchasing power – მსყიდველობითი უნარი

დ) აღწერილობითი თარგმანი

hovercraft – სატრანსპორტო საშუალება ჰაერის ბალიშზე

2.2. თარგმანი ერთი შესაძლებელი ლექსიკური ვარიანტის შერჩევით

ა) ტრანსკრიბირება და შესატყვისი ქართული ტერმინი:

relay – *1) რელე ან 2)* გადმოცემა, ტრანსლაცია

radiation – *1) რადიაცია ან 2)* გამოსხივება

industry – *1) ინდუსტრია ან 2) მრეწველობა*

booster – *1) ბუსტერი ან 2)* გამაძლიერებელი

authentic – *1) ა უთე ნ ტი ური ა ნ 2)* ნამდვილი, ჭეშმარიტი

antidote – *1) ა ნ ტი დოტი ა ნ 2)* შხამსაწინააღმდეგო საშუალება

ბ) *ტრანსკრიბირება და აღწერილობითი თარგმანი:*

tachograph – *1) ტაქოგრაფი; 2)* მანქანის დეტალების ბრუნვის სიხშირის გამზომი ხელსაწყო

terrace – *1) ტერაცო 2) ვენეციური მოზაიკა.*

მაგრამ ტერმინების-შესიტყვების უმეტესობას აქვს იგივე სტრუქტურა, რაც ქართულ ტერმინებს.

natural convection – ბუნებრივი კონვექცია

shortwave ultraviolet radiation – მოკლეტალღოვანი ულტრაიისფერი გამოსხივება

მაგრამ არსებობს მთელი რიგი მოტივირებული ტერმინი-შესიტყვებისა, რომლებიც არ ექვემდებარება ზუსტ თარგმანს, თუმცა მათ ცალკე კომპონენტებს შეიძლება ჰქონდეს ეკვივალენტი ქართულ ენაში. ამ შემთხვევაში ტერმინი-შესიტყვება განიხილება როგორც ერთიანი შინაარსობრივი ერთეული და თარგმნიან არა ცალკე სიტყვებს, არამედ მთელ შესიტყვებას:

control rod – გრაფიტის ღერო

sequence control register – ბრძანებების მრიცხველი

catchment area – რაიონი, რომელსაც ემსახურება სამკურნალო დაწესებულება

ინგლისური სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ლექსიკასთან მუშაობისას ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს მრავალკომპონენტიანი ტერმინები. ისინი წარმოადგენენ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს, რომლებიც შექმნილი იყო ლეკსიკური და სინტაქსური ხერხით, ანუ წარმოადგენს განსაზღვრული მოდელით შექმნილ შესიტყვებებს.

ჯაჭვური პრინციპით ტერმინების წარმოება ხშირად გამოიყენება პრაკტიკაში. ეს ხდება ობიექტური მიზეზების გამო და დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ნებისმიერ ენას აქვს შეზღუდული ლექსიკური რესურსი და ასევე იმ ფაქტთან, რომ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგად ჩვენ გვაქვს ბევრი ახალი აღმოჩენა და მოვლენა რომლებსაც სჭირდება ზუსტი განსაზღვრა და დასახელება. დადასტურებულია, რომ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის დროს ლექსიკის ზრდა ხდება ძირითადად სპეციალური ტერმინოლოგიის ხარჯზე, რომელიც წარმოადგენს ენის სისტემის ყველაზე მოძრავ ლექსიკო-სემანტიკურ ნაწილს; ყოველწლიური ზრდა წარმოადგენს დაახლოებით 1000 ახალ ტერმინს.

ლექსიკო-სინტაქსური მეთოდი ხშირად უმჯობესია ისეთ ტრადიციულ მეთოდებზე როგორიცაა სემანტიკური და მორფოლოგიური. სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებში ეს ყველაზე გავრცელებული კონსტრუქციებია. ტერმინოლოგიური შესიტყვება წარმოადგენს სემანტიკურად ერთი ან ორი და მეტი სიტყვების შესიტყვებას, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული წინდებულებით. ეს შეიძლება იყოს მყარი ან თავისუფალი შესიტყვება.

ტერმინოლოგიური შესიტყვების თარგმნისას აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა თანმიმდევრობითაა საჭირო მოცემული შესიტყვების მნიშვნელობის გადმოცემა. ტერმინოლოგიური შესიტყვება, როგორც წესი, შედგება არსებითი სახელისგან მხოლობით რიცხვში (შესიტყვების ბირთვი) სხვა მეტყველების ნაწილებთან მის წინა ან მომდევნო პოზიციაში.

განსაკუთრებულ სირთულეს თარგმანისათვის წარმოადგენს ტერმინოლოგიური შესიტყვება კავშირების გარეშე, შედგენილი სიტყვების ჯაჭვებისაგან დამხმარე სიტყვების (არტიკლების, წინდებულების და ა.შ.) გარეშე.

უწინდებულო ტერმინოლოგიურ შესიტყვებაში მთავარია ბოლო სიტყვა, ყველა მის წინ განლაგებული სიტყვა ასრულებს მისი განსაზღვრების მეორეულ როლს. უწინდებულო ტერმინოლოგიური შესიტყვების თარგმანი უნდა დაიწყოს მთავარი სიტყვით.

1. *linkage* *editor*
რისი?

კავშირების რედაქტორი

თარგმანი: კავშირების რედაქტორი

2. *vinyl composition tile*
თარგმანი; *ვანილის შემადგენლობის ფილა*

3. *time division* *multiple access* *system*

რ ა ნ ა ი რ ი ? სისტემა

რანაირი? მრავალჯერადი დაშვებით

თარგმანი: დროის განაწილების სისტემა მრავალჯერადი დაშვებით

ჩვეულებრივ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს აქვს თავისი სტრუქტურული თავისებურებანი და მათი კლასიფიკაცია ხდება ლექსიკური შემადგენლობის მიხედვით. არსებობს ტერმინოლოგიური შესიტყვებები შედგენილი მხოლოდ არსებითი სახელებისაგან, ზედსართავი სახელის და არსებითი სახელისაგან, ზმნიზედისა და არსებითი სახელისაგან და ასე შემდეგ. განვიხილოთ მათი წარმოების ძირითადი ფორმები:

1) არსებითი სახელებისაგან შედგენილი ტერმინოლოგიური შესიტყვებები:

shrinkage crack – შეკუმშვის ნაბზარი

data bus – *მონაცემთა სალტე*

freight account – *ტვირთის ანგარიში*

2) ზეთსართავი და არსებითი სახელებისაგან შედგენილი ტერმინოლოგიური შესიტყვებები:

renewable energy – *განახლებადი ენერგია*

remote control system — დისტანციური მართვის სისტემა

allowable power — დასაშვები სიძლიერე

3)მიმღეობების (1,2) და არსებითი სახელებისაგან შედგენილი ტერმინოლოგიური შესიტყვებები

alternating current – ცვლადი დენი

retaining wall – საყრდენი კედელი

sustained loading – ხანგრძლივი დატვირთვა

elevated train – მიწისზედა მატარებელი

4)წინდებულებით შედგენილი ტერმინოლოგიური შესიტყვებები

degree of valve lift – სარქველის აწევის სიმაღლე

supply in bulk – საბითუმო მომარაგება

საკითხები გამეორებისათვის

1. რა მოთხოვნებს აყენებენ ტერმინის მიმართ?
2. რატომ ითვლება რომ ტერმინები არ აფერხებს თარჯიმანის მუშაობას?
3. ტერმინების თარგმანის ხერხები;
4. რომელი ტერმინები წარმოადგენს ყველაზე დიდ სირთულეს თარჯიმანისათვის?
5. როგორ უნდა გადათარგმნო უწინდებულო მრავალკომპონენტიანი ტერმინები?
6. რომელი მეტყველების ნაწილებისაგან შეიძლება იყოს შედგენილი ტერმინოლოგიური შესიტყვებები?
7. რისი გათვალისწინებაა საჭიროა მოტივირებული ტერმინ-შესიტყვებების თარგმანისას?

პრაქტიკული დავალება:

1. გადათარგმნეთ შემდეგი ზედსართავი და არსებითი სახელებისაგან შედგენილი ტერმინოლოგიური შესიტყვებები

1. artificial horizon
2. remote control
3. direct current
4. parasitic antenna
5. original equation
6. straight angle
7. short circuit
8. low water

II. გადათარგმნეთ შემდეგი აწმყო დროის მიმღეობის და არსებითი სახელის შესიტყვებები ქართულ ენაზე:

1. actuating mechanism
2. actuating pressure
3. actuating cylinder
4. halving circuit
5. translating system
6. detecting element
7. adding element
8. alternating current

III. გადათარგმნეთ შემდეგი უწრინდებულო ზმნიზედის, აწმყო დროის მიმღეობის ან ზედსართავი სახელის და არსებითი სახელის შესიტყვებები ქართულ ენაზე:

1. directly fed antenna
2. continuously adjustable capacitor
3. electronically controlled filter
4. remotely controlled plant
5. periodically operated switch
6. horizontally polarized antenna
7. aerodynamically supported missile
8. continuously measuring control system

IV. გადათარგმნეთ შემდეგი უწრინდებულო არსებითი სახელის, აწმყო დროის მიმღეობის (გერუნდივის) და არსებითი სახელის შესიტყვებები ქართულ ენაზე:

1. pulse forming coil
2. error indicating circuit
3. direction-finding receiver
4. beam-forming cathode
5. electron-emitting source
6. receiver feeding battery
7. plutonium-producing reactor
8. isotope-handling equipment
9. spectrum-measuring detector
10. information destroying process
11. frequency-dividing circuit
12. voltage regulating system

V. გადათარგმნეთ შემდეგი არსებითი სახელის, წამყო დროის მიმღეობის და არსებითი სახელის ტერმინოლოგიური შესიტყვებები ქართულ ენაზე:

1. radio-controlled bomb
2. surface-cooled reactor
3. liquid-cooled engine
4. time-modulated beam
5. ground-based computer
6. engine driven pump
7. fission produced particle
8. pressure-operated switch
9. rocket-powered booster
10. cathode-loaded amplifier
11. continuous-wave laser-powered ramjet
12. surface-launched missile

VI. გადათარგმნეთ შემდეგი უწინდებულო ტერმინოლოგიური არსებითი სახელების შესიტყვებები:

1. air defence guided missile
2. gas turbine power plant
3. radio navigation land station
4. picture signal carrier wave
5. radio-frequency high-voltage power supply
6. flight-path deviation indicator
7. pulse-type radio altimeter

VII. თარგმნეთ შემდეგი self +მიმღეობა I +არსებითი სახელი, ან self + მიმღეობა II + არსებითი სახელი ტერმინოლოგიური შესიტყვებები:

1. self-aiming antiaircraft missile
2. self-focusing device
3. self-balancing phase transformer
4. self-supported mechanism
5. self-destroying film
6. self-propelled launcher
7. self-recording meter

VIII. შეასრულეთ შემდეგი სტატიის სრული თარგმანი. დაადგინეთ ტერმინების და ტერმინოლოგიური შესიტყვებების განსაზღვრის მეთოდები.




ABB Low Voltage AC (alternating current) Drives

AC Drives are used to control the speed and torque of a standard induction motor, the workhorse of the industry. ABB is a market leader in both drives and motors worldwide. AC drive technology extends the motor speed range from zero to high above the rated speed, increasing the productivity of the driven process. When a low capacity is enough, the drive reduces the machine speed and saves energy.

Often considered only with larger motors, the energy saving feature of the AC drives is valid also in the low voltage range. Not having to run the motors at full speed all the time, one can obtain benefits in energy cost savings. In the ABB Low Voltage AC Drives, the losses in the drive itself are minimal and high switching frequencies result in low losses of the motor as well. The energy saving potential of AC drives is highest in pump and fan applications, but also compressors, lifts and many more applications may benefit from AC drive control. In HVAC (Heating, Ventilation, & Air Conditioning) systems, there are numerous low voltage motors driving pumps and fans. Controlling the speed of these motors according to the actual demand of water or airflow brings considerable energy savings, because motors are the dominant consumer of electric power in these systems. Improve your HVAC system efficiency with Low Voltage AC Drives.

All the Low Voltage AC Drives benefit from the same proven technology and reliability. They offer the benefits of efficient control to virtually every type of industrial process where AC motors are used. The Low Voltage AC Drives have an excellent track record and there are already hundreds of thousands of installed units. A unique set of services is also included with these Low Voltage AC Drives to ensure that the entire process from drive selection to worldwide support and warranty is as straightforward as possible for the user.

The Low Voltage AC Drives range conforms to the European Union Electro Magnetic Compatibility directive, a requirement for CE marking. To decrease electromagnetic disturbances and harmonics, electromagnetic filters and input/output chokes are available as options. These features make the Low Voltage AC Drives well suited for both residential and industrial installations. High repeatability ensures constant product quality across a range of applications, and is one of the cornerstones in the design of the Low Voltage AC Drives. The very low variance in response time and accuracy enables control of processes within narrow tolerances whilst ensuring predictable behaviour of machinery.

Especially in material handling and packaging applications, where precise positioning of goods

is essential, the high repeatability of the drives in the Low Voltage AC Drives range is a clear advantage. In addition, the seven pre-set speeds enable easy speed changes, when switching to a different size, weight or type of material. Features including up to 180% overloadability, PTC (phase tracking circuit) interface, built-in mechanical brake control and electrical braking produce an unbeatable combination for material handling applications. With feature such as flying start, the Low Voltage AC Drives are a practical choice for many applications in automation systems such as air handling. The built-in PID (proportional integral differentiating) control keeps variables such as temperature, pressure, or humidity under control. The Low Voltage AC Drives are quiet in operation and therefore well suited for office and residential environments. LONWORKS ® adapter or embedded Johnson Controls' N2 protocol are available for integration into specific automation systems.

To make commissioning and use as easy as possible ABB offers a comprehensive range of integrated motor and drive packages. The motor and drive will then be delivered as an integrated, ready-to-use package. The motor and the drive are perfectly matched and can be used in basic applications without needing any further setting up.

3.ინტერნაციონალური სიტყვების თარგმანი. „თარჯიმანის ცრუ მეგობრები“

3.1. თვით ინტერნაციონალური სიტყვები
3.2. ცრუ ინტერნაციონალური სიტყვები და „თარჯიმანის ცრუ მეგობრები“
3.3 ცრუინტერნაციონალური სიტყვების მნიშვნელობის განსხვავების ძირითადი შემთხვევები

3.1. ინტერნაციონალური სიტყვა

ინტერნაციონალური სიტყვა არის სხვა ენიდან ნასესხები სიტყვა, მაგალითად ლათინური ან ბერძნული ენიდან, ისევე როგორც თანამედროვე ენიდან (ძირითადად: მუსიკალური იტალიურიდან, ბალეტის ფრანგულიდან, კომპიუტერული და ბიზნეს-ტერმინოლოგია -- ინგლისურიდან).ინტერნაციონალური სიტყვა შემოდის ენაში სხვა ენიდან სესხების გზით, ან იმის შედეგად, რომ ორივე ენა სესხულობს სიტყვას მესამე ენიდან. ასეთ სიტყვებს აქვს ჟღერადობის, დამწერლობის და მნიშვნელობის მსგავსება.

contrast — კონტრასტირება;

dumping — 1) დემპინგი. 2) ნარჩენების გადაყრა.

manager — 1) ხელმძღვანელი, მმართველი, 2) დირექტორი, 3) ადმინისტრატორი.

inflation — ინფლაცია (ფასების)

ინტერნაციონალურ სიტყვებს ხმარობენ მეცნიერების და ტექნიკის სხვადასხვა დარგებში:

ფიზიკაში: *atom, proton, focus;*

მათემატიკაში: *plus, integral, theorem;*

რადიოტექნიკაში: *radio, diode, detector;*

ქიმიაში: *cation, anion, amorphism, concentration;*

მედიცინაში: *influenza, virus, syndrome.*

ინტერნაციონალური ტერმინებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათ შექმნეს სამეცნიერო საერთაშორისო ტერმინოლოგიის ფონდი. ამ საერთაშორისო ფონდში შემავალი სიტყვები ამარტივებს კითხვას, გაგებას და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანს.

ვინაიდან ინტერნაციონალურ სიტყვებს აქვს ერთნაირი მნიშვნელობა, ეს სიტყვები წარმოადგენენ ეკვივალენტებს სხვადასხვა ენებში. მათი თარგმანი არ არის რთული თარგმნის დროს ვინაიდან თვით სიტყვის ფორმა საჭირო სიტყვას გვკარნახობს თარგმნის დროს.

ზოგჯერ ერთსა და იმავე მოვლენებისათვის არსებობს ორი სიტყვა, ერთი მშობლიურ ენაზე, მეორე ინტერნაციონალური. ამ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს ამ სიტყვების განსხვავებული გამოყენება. ასე ინგლისურ სიტყვას *industry* შეესაბამება ორი სიტყვა -- ინდუსტრია და მრეწველობა; მეორეს აქვს უფრო ვრცელი მნიშვნელობა, სიტყვას *ინდუსტრია* კი იყენებენ მსხვილი თანამედროვე მრეწველობისათვის; მეორეს მხრივ, ინგლისური სიტყვა *industry* შეიძლება ნიშნავდეს *ეკონომიკის დარგს,* და ასეთი შესიტყვებები, როგორც *farming industry, shipping industry, road- haulage industry* უნდა იყოს გადათარგმნილი როგორც სოფლის მეურნეობა, საზღვაო და მდინარის ტრანსპორტი, საგზაო ტრანსპორტი. ამ შემთხვევაში საერთაშორისო სიტყვების გამოყენებას არ მივყავართ შინაარსობრივ შეცდომებამდე თარგმანში, თუმცა შეიძლება მოყვებოდეს ორიგინალის სტილის ნაწილობრივი ცვლილება.

3.2. ცრუ ინტერნაციონალური სიტყვები და „თარჯიმანის ცრუ მეგობრები"

ის ინტერნაციონალური სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა მთლიანად შეესაბამება მეორე ენაში მნიშვნელობას, არ წარმოადგენს სირთულეს თარგმნის დროს. მაგრამ ზოგჯერ თარგმნის დროს შეიძლება შეგხვდეს ისეთი სიტყვა ინგლისურ ენაში, რომლის ფორმა ახლოსაა ქართული სიტყვის ფორმასთან, მაგრამ მნიშვნელობით განსხვავდება.

მაგალითად, სიტყვა *resin* ინგლისურში ნიშნავს *ფისს* და არა *რეზინს.*

მსგავს სიტყვებს აქვს „თარჯიმანის ცრუ მეგობრის" როლი, და მათ უწოდებენ ცრუინტერნაციონალურ სიტყვებს, რომელსაც აქვს ინტერნაციონალურ სიტყვებთან მიახლოებული დაწერის ფორმა. მსგავსი ფორმების არსებობა შეიძლება იყოს ენების

ურთიერთგავლენის შედეგი, ან შემთხვევითი დამთხვევა. ცრუ ინტერნაციონალური სიტყვების თარგმნა რთულია, ვინაიდან ამ სიტყვების გაგება და თარგმანი დამახინჯებულია უნებური ასოციაციებით სიტყვებთან მშობლიურ ენაზე (მაგალითად, სიტყვა *compositor* ჟღერს ისე, როგორც *კომპოზიტორი*, მაგრამ ნიშნავს *ასოთამწყობს*).

ამის გამო აუცილებელია ცრუ ინტერნაციონალური სიტყვის ყველა განსხვავების ცოდნა ინგლისურ და მშობლიურ ენებში და გააკეთო სიტყვის გამოყენების ანალიზი გარკვეულ კონტექსტში. თარჯიმანმა არ უნდა იჩქაროს და თარგმნის დროს გამოიყენოს მსგავსი ფორმის სიტყვა. საჭიროა ჯერ დარწმუნდე, რომ ორივე სიტყვას აქვს ერთნაერი მნიშვნელობა კონკრეტულ კონტექსტში.

ასევე აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ორ არსებით სახელს შეიძლება ჰქონდეს იდენტური მნიშვნელობა ინგლისურ და ქართულ ენებში, მაგრამ შესაბამისი ზედსართავი სახელები, ზმნიზედები და ზმნები კი წარმოადგენენ ცრუ ინტერნაციონალურ სიტყვებს.

მაგალითად, *revolutionary changes in tube design* ითარგმნება როგორც *მნიშვნელოვანი (რადიკალური) ცვლილება მილების კონსტრუქციაში*, და არა *რევოლუციური ცვლილება მილების კონსტრუქციაში*, *massive tube failures -- მილის მძიმე დაზიანება*, და არა *მილის მასიური დაზიანება*. ინგლისურ სიტყვებს *practice, drama* აქვს საერთო მნიშვნელობა ქართულ სიტყვებთან *პრაქტიკა , დრამა*, მაგრამ ზედსართავი სახელები *practical, dramatic* ინგლისურ ენაში და *პრაქტიკული და დრამატული* ბევრად განსხვავდებიან თავიანთი მნიშვნელობით. ინგლისურ ზედსართავ სახელებს შეიძლება ჰქონდეს *ფაქტობრივი (practical), გადამწყვეტი (dramatic)* და მთელი რიგი სხვა მნიშვნელობანი.

3.3. ცრუინტერნაციონალური სიტყვების მნიშვნელობის სხვაობის ძირითადი შემთხვევები

სიტყვების შინაარსის საგნობრივ-ლოგიკური სხვაობა

ყველაზე მნიშვნელოვან შემთხვევას ცრუინტერნაციონალური სიტყვების მნიშვნელობის სხვაობისა წარმოადგენს მათი საგნობრივ-ლოგიკური შინაარსის სხვაობა. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვყოთ სამი ტიპის სხვაობა.

1) ინგლისური სიტყვის მნიშვნელობის მოცულობა უფრო ფართოა, ვიდრე მსგავსი ფორმის ქართული სიტყვის. ქართული სიტყვა შეესაბამება ინგლისურს არა ყველა მნიშვნელობით, არამედ ერთი ან ორით. ეს ჩვეულებრივ ხდება, როცა ინგლისური სიტყვა ნასესხები იყო ქართულ ენაში მხოლოდ ზოგიერთი მნიშვნელობით. ამ ჯგუფში შედის სიტყვების დიდი რაოდენობა, და ეს სიტყვები წარმოადგენს დიდ სირთულეს თარგმნის დროს.

მაგალითად, ინგლისური ენიდან გადმოღებული სიტყვა „მიტინგი“ იხმარება მხოლოდ ერთი მნიშვნელობით, როდესაც ინგლისური სიტყვა *meeting* შეიძლება ნიშნავდეს *მიტინგი; კრება, სხდომა; შეხვედრა; დუელი; რკინიგზის ასახვევი, ასაქცევი.*

ინგლისური სიტყვა *record* რეკორდის გარდა შეიძლება ნიშნავდეს: *ჩაწერა; ჩანაწერი; ოქმი; ანგარიში; ოქმში შეტანილი; მემუარები, ჩანაწერები; მატიანე; მონაცემები, ცნობები; წარსულის ძეგლი, მოწყობა; გრამაფონის ფირფიტა; ფირფიტაზე ჩანაწერს.*

კონტექსტი, როგორც წესი, მიუთითებს თარგმნილი სიტყვის მნიშვნელობაზე, ამიტომ თარგმნის დროს საჭიროა დარწმუნდე თუ მსგავსი ფორმის სიტყვას მეორი ენაში აქვს ასეთივე მნიშვნელობა.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

authority ხელისუფლება, ძალაუფლება (უფრო იშვიათად -- ავტორიტეტი);

activity მოღვაწეობა, საქმიანობა, მოქმედება (უფრო იშვიათად -- აქტიურობა);

aggressive აქტიური, ენერგიული, საქმიანი, დაჟინებული და არა მარტო აგრესიული);

balance სასწორი; ქანქარა; საპირწონე; ნაშთი და არა მხოლოდ ბალანსი;

cabinet ავეჯის სექცია ან კაბინეტი; მინისტრთა კაბინეტი, მთავრობა;

camera ფოტოაპარატი;

character მოქმედი პირი, და არა მხოლოდ ხასიათი;

champion 1)მებრძოლი, დამმარცხებელი, 2) დამცველი, და არა მარტო ჩემპიონი;

contribution დახმარება, შემწეობა; წვლილი (ნივთიერი, მეცნიერული); შესატანი, შენატანი; შეწირულობა, შენაწირი, შესაწირი; სტატია, წერილი (გაზეთისა); თანამშრომლობა (ჟურნალში, გაზეთში); უფრო იშვიათად -- კონტრიბუცია;

control რეგულაცია; მართვა და არა მხოლოდ კონტროლი;

convention კრება; ყრილობა; და არა მარტო კონვენცია;

copy ეგზემპლარი, ცალი (წიგნი, ჟურნალი); ხელნაწერი;

correspondence შესაბამისობა; ანალოგია; მიწერ-მოწერა; წერილები; მიმოწერა, და არა მარტო კორესპონდენცია;

credit ნდობა, რწმენა; კარგი რეპუტაცია, სახელი, და არა მარტო კრედიტი;

critical გადამწყვეტი, გარდატეხის; საშიში, და არა მარტო კრიტიკული;

department განყოფილება; საამქრო; დარგი (მეცნიერებისა, ცოდნისა); უწყება; {ამერ} სამინისტრო; და არა მარტო დეპარტამენტი;

dramatic გადამწყვეტი და არა მარტო დრამატული;

element 1) ფაქტორი; 2) ჯგუფი (ადამიანების); 3) სტიქია, გაურკვეველი ძალა, ფორსმაჟორი, და არა მარტო ელემენტი;

figure 1) ციფრი, 2) ფასი, 3) მოღვაწე, 4) პერსონა, პიროვნება, და არა მხოლოდ ფიგურა;

intelligence 1) ცნობა , ამბავი ; ინფორმაცია , შეტყობინება; 2) დაზვერვის მონაცემები ; დაზვერვის მიერ მოპოვებული მასალა; 3) დაზვერვა, და არა მარტო ჯგუა , ინტელექტი ; გონებრივი შესაძლებლობები;

interest წილი; მნიშვნელობა, დიდი მნიშვნელობა; პროცენტი, და არა მარტო ინტერესი; დაინტერესებულობა;

international საერთაშორისო, და არა მარტო ინტერნაციონალური;

leader ხელმძღვანელი, ბელადი, წინამძღოლი, და არა მარტო ლიდერი;

legal იურიდიული; სამართლებრივი; კანონიერი და არა მარტო ლეგალური;

liberal გულუხვი, ხელგაშლილი; სულგრძელი და არა მარტო ლიბერალური;

mark კვალი , ლაქა და არა მხოლოდ მარკა;

minister მღვდელი, და არა მარტო მინისტრი;

nation სახელმწიფო, ქვეყანა, და არა მარტო ნაცია;

object 1)საგანი,ნივთი; 2)მიზანი; 3)შეპასუხება, სიტყვის შებრუნება, შეწინააღმდეგება, და არა მარტო ობიექტი;

officer მოხელე, ჩინოვნიკი; თანამდებობის პირი; სახელმწიფო მოსამსახურე, და არა მარტო ოფიცერი;

original 1. დედანი, 2. პირველადი, ამოსავალი, 3 ნამდვილი, და არა მარტო ორიგინალი;ორიგინალური;

panel 1) სია , ჩამონათვალი 2) პირადი შემადგენლობა , ჯგუფი 3) ექსპერტების მუშა ჯგუფი და არა მარტო პანელი;

partisan მომხრე, მიმდევარი, უფრო იშვიათად პარტიზანი;

party 1) მხარე (საქმეში , კონტრაქტში და ა.შ), 2) წვეულება და არა მხოლოდ პარტია;

position თანამდებობა და არა მხოლოდ პოზიცია, მდგომარეობა;

pretend თავის მოკატუნება დ არ მ[illegible]პრეტენზიის ქონა;

public 1) ხალხი, საზოგადოება, საზოგადოებრიობა (ხალხი საზოგადოდ), 2) ჯგუფი, აუდიტორია (ხალხის ერთობლიობა საერთო ინტერესებით; მაგ. ჟურნალის სამკითხველო აუდიტორია, გულშემატკივართა ჯგუფი და ა.შ.); 2. 1) სახალხო, საზოგადო (საზოგადოების ყველა ადამიანთან კავშირში.

rally გაერთიანება; კრება, შეკრება; {ამერ} მასობრივი მიტინგი; აღდგენა (ძალისა) და არა მარტო რალი;

realize გაგება, მიხვედრა, შეცნობა (უფრო იშვიათად რეალიზება);

record ჩაწერა; ჩანაწერი; ოქმი; ანგარიში და არა მარტო რეკორდი;

regular 1) სწორი, ნორმალური; 2) ჩვეულებრივი, ჩვეული და არა მარტო რეგულარული;

separate	1) ცალკეული, 2) განსაკუთრებული, სპეციალური, (უფრო იშვიათად სეპარატიული);
session	სხდომა; მეცადინეობა, და არა მხოლოდ საგამოცემო სესია;
solid	1) მაგარი, მყარი; 2) დამაჯერებელი, დამარწმუნებელი და არა მარტო სოლიდური;
speculation	ფიქრი, ჩაფიქრება, მოფიქრება; მოსაზრება; განხილვა, (უფრო იშვიათად სპეკულაცია);
substance	1) ნივთიერება, მატერია, 2) არსი, (უფრო იშვიათად სუბსტანცია);

2) ქართულ სიტყვას აქვს ისეთი მნიშვნელობა, რომელიც არ აქვს შესაბამის ინგლისურ სიტყვას, ანუ ქართული სიტყვის მნიშვნელობა უფრო ვრცელია, ვიდრე შესაბამისი ინგლისური სიტყვის. ეს საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა; ეს ხდება მაშინ, როცა ორივე ენაში სიტყვა ნასესხები იყო მესამე ენიდან.

მაგალითად, ინგლისურ სიტყვას *auditorium* *აუდიტორია* იყენებეს მხოლოდ დარბაზის აღსანიშნად, და არა იმ ხალხისათვის, რომელიც უსმენს რაიმე გამოსვლას და ა.შ.

ამ სახის ცრუინტერნაციონალური სიტყვების თარგმანს ჩვეულებრივ მოყვება სერიოზული დარღვევა თარგმნის დროს, მაგრამ საჭიროა დაკვირვება იმისათვის, რომ ქართული სიტყვის პოლისემია არ გახდეს

თარგმანის უზუსტობის ან არაცალსახა გაგების მიზეზი.

3) მსგავსი ფორმის ქართულ და ინგლისურ სიტყვებს აქვს აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობა. ასეთი ცრუინტერნაციონალური სიტყვის თარგმანს მოყვება სერიოზული შინაარსობრივი დარღვევა თარგმანში. ამის გამო საჭიროა ამ სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა ქართულ და ინგლისურ ენებში. მოვიყვანთ ამ სახის სიტყვების რამდენიმე მაგალითს რომლებსაც აქვს აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობა ქართულ და ინგლისურ ენაში.

accurate	ზუსტი, და არა აკურატული
actual	ნამდვილი, და არა აქტუალური
aspirant	პრეტენდენტი, და არა ასპირანტი
bullion	ოქროს ან ვერცხლის ლოდი, და არა ბულიონი
complexion	ფერი ან მდგომარეობა (სახის კანის), და არა კომპლექცია
compositor	ასოთამწყობი, და არა კომპოზიტორი
corpse	გვამი, და არა კორპუსი
decade	ათწლეული, და არა დეკადა
division	დაყოფა, და არა დივიზიონი
Dutch	ჰოლანდიური, და არა დანიური
fabric	ქსოვილი, და არა ფაბრიკა

familiar	ახლობელი, კარგად ცნობილი, და არა ფამილიალური
fraction	წილადი, და არა ფრაქცია
magazine	ჟურნალი, და არა მაღაზია
mayor	მერი, და არა მაიორი
physician	ექიმი, და არა ფიზიკოსი
principal	ძირითადი, და არა პრინციპიალური
prospect	პერსპექტივები, და არა პროსპექტი
rapport	ურთიერთგაგება, და არა რაპორტი
receipt	მიღება; მიღების ხელწერილი; ქვითარი, და არა რეცეპტი
replica	კოპიო, და არა რეპლიკა
resin	ფისი, და არა რეზინი

ასე რომ, ინტერნაციონალური და ცრუ ინტერნაციონალური სიტყვების სწორი თარგმნისათვის აუცილებელია თარგმანის ენაში ამ სიტყვების მნიშვნელობის ზუსტი ცოდნა. ინგლისურ სამეცნიერო ინტერნაციონალურ სიტყვებს ზოგჯერ აქვს თავისი სპეციფიკა სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებში. ისინი ზოგჯერ იძენენ ახალ კავშირს და ქმნიან ახალ შესიტყვებებს, რაც მოითხოვს თარგმანის ახალ მეთოდებს.

საკითხები გამეორებისათვის

1. რა არის ინტერნაციონალური სიტყვა?
2. საიდან ჩნდება მსგავსი სიტყვა სხვადასხვა ენებში?
3. რას წარმოადგენს ცრუინტერნაციონალური სიტყვა?
4. რა სირთულეები მოსალოდნელია ცრუინტერნაციონალური სიტყვების თარგმნისას?
5. რა ძირითადი სხვაობები არსებობს ცრუინტერნაციონალური სიტყვების მნიშვნელობაში? რა თანაფარდობა არსებობს საგნობრივ-ლოგიკურ შინაარსში ინგლისური და ქართული ენების ცრუინტერნაციონალურ სიტყვებს შორის?

პრაქტიკული დავალება

I. თარგმნეთ შემდეგი ინტერნაციონალური და ცრუინტერნაციონალური სიტყვები ქართულ ენაზე. დაადგინეთ სიტყვების მნიშვნელობის სხვაობა -- თარჯიმანის ცრუ მეგობრები.

Radio, genius, human, priority, demonstrate, contribution, physical. chemical, university, laboratory, problem, electromagnetic, communication, operation, apparatus, progress, transmission, music, signal, television, meeting. industry, period, centre, radar, microscope, history, orbital, date, data, rocket, test, programme, serious, practice, ballistic, satellite, station, list, astronaut, realize,

surprise, revolution.

II. დაადგინეთ ინტერნაციონალური და ცრუინტერნაციონალური სიტყვები. რაა საჭირო ცრუ თარჯიმანის მეგობრების დასადგენად?

Director, gymnasium, medal, pedagogical, master, commission, congress, professor, technological, bureau, container, nation, periodic, element, principle, organic, combination, alcohol, specific, patriot, energy, activity, industry, thesis, general, vacuum, absolute, balance, diaphragm, metal, instrument, specially, recommend, phosphor, bronze, diameter, mechanism, type, operate, control, disc, maximum, principle, thermometer, construction, temperature, condition, special, distance, indicator, application, gas, diesel, panel, figure, model, patent, guarantee, plastics, material, vibration.

III. თარგმნეთ შემდეგი ინტერნაციონალური და ცრუინტერნაციონალური სიტყვებით წინადადებები ქართულ ენაზე.

1. Before discovery of the structure of atomic nuclei, it was thought that there existed two general types of forces explaining all natural phenomena: electrical and gravitational forces.
2. The word "helium" comes from the Greek word "sun" because the element was discovered in the sun before it was discovered on earth.
3. After it became clear that some mistake had been made in the calculation, the experiment was stopped.
4. After a period of discharge the battery can be restored to its original condition by supplying energy from an outside source.
5. For days and weeks after the reactor was turned off, the radiation intensity has been so great inside that repairs there have never been attempted.
6. Before the diaphragm can move back, however, the next pulse enters the electromagnet coil and the diaphragm is pulled a little closer.
7. The problem therefore is to devise a system that will build up the signal before it reaches the detector.
8. Earlier no one ever considered interplanetary navigation to be within the compass of modern technical means.
9. The direction of the air, after it leaves a symmetrical body, is the same as before it struck the body.

IV. თარგმნეთ შემდეგი ტექსტი ქართულ ენაზე. დაადგინეთ ინტერნაციონალური სიტყვები.


Electrolysis

Electrolysis is a process by which a chemical reaction is carried out by means of the passage of an electric current. The electrical energy enters and leaves the electrolytic medium through electrodes, which ordinarily are pieces of metal. The electrode where electrons enter the solution is the cathode; the electrode where electrons leave is the anode. Negatively charged ions (anions) are attracted to

the cathode.

The process is generally used as the method of depositing metals from solution. The relation between the quantity of material underwent reaction and the quantity of electricity used in this reaction was discovered by Faraday.

V. შეასრულეთ სრული წერილობითი თარგმანი შემდეგი ტექსტის: ყურადღება მიაქციეთ ინტერნაციონალურ სიტყვებს.



Window Management

The window management functions give applications the means to create and manage a user interface. You use the window management functions to create and use windows to display output, prompt for user input, and carry out the other tasks necessary to support interaction with the user. Most applications create at least one window.

Applications define the general behavior and appearance of their windows by creating window classes and corresponding window procedures. The window class identifies default characteristics, such as whether the window processes double clicks of the mouse buttons or has a menu. The window procedure contains the code that defines the behavior of the window, carries out requested tasks, and processes user input.

Applications generate output for a window using the GDI functions. Because all windows share the display screen, applications do not receive access to the entire screen. Instead, the system manages all output so that it is aligned and clipped to fit within the corresponding window. Applications can draw in a window in response to a request from the system or while processing input messages. When the size or position of a window changes, the system typically sends a message to the application requesting that it paints any previously unexposed area of its window.

Applications receive mouse and keyboard input in the form of messages. The system translates mouse movement, mouse button clicks, and keystrokes into input messages and places these messages in the message queue for the application. The system automatically provides a queue for each application. The application uses message functions to extract messages from the queue and dispatch them to the appropriate window procedure for processing.

Applications can process the mouse and keyboard input directly or let the system translate this low-level input into command messages by using menus and keyboard accelerators. You use menus to present a list of commands to the user. The system manages all the actions required to let the user choose a command and then sends a message identifying the choice to the window procedure. Keyboard accelerators are application-defined combinations of keystrokes that the system translates into messages. Accelerators typically correspond to commands in a menu and generate the same messages.

Applications often respond to command messages by prompting the user for additional

information with dialog boxes. A dialog box is a temporary window that displays information or requests input. A dialog box typically includes controls, single-purpose windows that represent buttons and boxes through which the user makes choices or enters information. There are controls for entering text, scrolling text, selecting items from a list of items, and so on. Dialog boxes manage and process the input from these controls, making this information available to the application so that it can complete the requested command.

You can share useful data, such as bitmaps, icons, fonts, and strings, by adding this data as "resources" to the file for an application or DLL. Applications retrieve the data by using the resource functions to locate the resources and load them into memory.

Window management functions provide other features related to windows, such as carets, the clipboard, cursors, hooks, icons, and menus.

Window Controls:

The shell incorporates a number of controls that help give Windows its distinctive look and feel. Because these controls are supported by DLLs that are a part of the operating system, they are available to all applications. Using the common controls helps keep an application's user interface consistent with that of the shell and other applications. Because developing a control can be a substantial undertaking, using the common controls can also save you a significant amount of development time.

The common controls are a set of control windows that are supported by the common control library, COMCTL32.DLL. Like other controls, a common control is a child window that an application uses in conjunction with another window to perform I/ O tasks. The common control DLL includes a programming interface that applications use to create and manipulate the controls as well as to receive user input from them.

4. ნეოლოგიზმი და მისი თარგმანის საშუალება

ნეოლოგიზმების წყაროები და წარმოების საშუალებანი

4.1 .სხვა ენებიდან სესხება
4.2 .მნიშვნელობის გავრცელება ან ახლებურად გააზრება
4.3 .შესიტყვებათა ვოკაბულიზაცია
4.4 .სიტყვების „ჰიბრიდიზაცია"
4.5 .კონვერსია. სახელების ატრიბუტული გამოყენება
4.6 .წარმოებული სიტყვები
4.7 .ნეოლოგიზმების თარგმანის საშუალებანი

მეცნიერულ აღმოჩენებთან, ახალ მოვლენებთან კულტურულ და სოციალურ სფეროებში ერთად ენაში შედის ახალი სიტყვები. ნეოლოგიზმი (ბერძნულისგან ნეო - ახალი და ლოგოს - სიტყვა) -- ახალი სიტყვებია, ან სიტყვების ახალი მნიშვნელობები, ბოლო დროს დაფიქსირებული ან ჯერ არ არის რეგისტრირებული ლექსიკონებში, რომლებიც უკვე არსებობს ენაში იმ საგნებთან ან მოვლენებთან ერთად, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ.

ცხადია, ეს სიტყვები წარმოადგენს განსაკუთრებულ სირთულეს თარგმნის დროს;

ვინაიდან სიტყვა ბოლო დროს შემოვიდა ენაში, ის ხშირად ჯერ არ არის შეყვანილი ლექსიკონში, ვინაიდან ლექსიკონი ყოველთვის ჩამორჩება სიტყვიერი მარაგის განვითარებას. მეორე მხრივ, ლექსიკოგრაფები თავს არიდებენ შემთხვევითი ნეოლოგიზმების შეყვანას ლექსიკონებში, ანუ იმ ინდივიდუალური ნეოლოგიზმებისაგან, რომლებიც ცალკე ავტორის მიერ იყო გამოგონილი განსაზღვრული შემთხვევისთვის. მსგავსი სიტყვები ხშირად არ რჩება ენაში და სწრაფად გამოდის ხმარებიდან.

თითო ახალი სიტყვის თარგმანი დამოკიდებულია იმაზე, თუ იგი რა სახის სიტყვას წარმოადგენს (ტერმინი, დასახელება, არსებული სიტყვის სინონიმი და ასე შემდეგ). ზოგი ნეოლოგიზმი შედის ინტერნაციონალური სიტყვების კატეგორიაში.

ახალი სიტყვების თარგმნისას სხვადასხვა თარჯიმნები ზოგჯერ გვთავაზობენ თარგმანის განსხვავებულ ვარიანტებს. ასეთი სხვაობა დასაშვებია თავდაპირველად, როცა ახალ სიტყვას თარგმნის ერთდროულად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რამდენიმე თარჯიმანი. მაგრამ თარგმანის პრაქტიკაში დროდადრო ხდება „ბუნებრივი შერჩევა" შეთავაზებული ვარიანტების და საბოლოოდ, ენაში შედის ერთი, ყველაზე შესატყვისი ვარიანტი. შექმნილი და მიღებული ნეოლოგიზმის თარგმანის ვარიანტი იქცევა მიზნობრივი ენის მოვლენად.

ენის გამდიდრება ხდება არა მხოლოდ ახალი სიტყვების შექმნით, არამედ სიტყვების ახალი მნიშვნელობებისა და ახალი შესიტყვებების გამოჩენით. ნეოლოგიზმების თარგმნისას საჭიროა გამოიყენო ერთ-ერთი განმარტებითი ლექსიკონის ან ორენოვანი ლექსიკონის ბოლო გამოცემა და დაადგინო მათი მნიშვნელობა კონტექსტიდან, სტრუქტურული შემადგენელი ელემენტისაგან.

იმისათვის რომ სწორედ დაადგინო მნიშვნელობა და თარგმნო ნეოლოგიზმი, საჭიროა ინგლისურ ენაში ნეოლოგიზმების შექმნის ძირითადი ხერხების ცოდნა. არსებობს ნეოლოგიზმის შექმნის რამდენიმე ხერხი.

4.1. სხვა ენებიდან სესხება

იმისდა მიუხედავად, რომ სჭარბობს ინგლისური ენიდან სხვა ენებში სიტყვებისა და ტერმინების სესხება (მაგალითად, ბიზნესის და ფინანსების სფეროში: მარკეტინგი (marketing), დილერი (dealer), დისტრიბუტორი (distributor), საინფორმაციო ტექნოლოგიის სფეროში: კომპიუტერი (computer), ბრაუზერი (browser), სერვერი (server) და ა.შ.), ინგლისურ ენაში ასევე შევიდა სხვა ენებიდან სიტყვები, თუმცა გაცილებით უფრო პატარა რაოდენობით.

ბევრი სესხება დაფიქსირებულია ლექსიკონებში.

Khozraschot – economic accountability; the notion that industrial and other undertakings should be responsible for their own finances, and not depend on the state subsidies. (Longman,1989)

Khozraschot-თან ერთად ინგლისური ენის ახალ ლექსიკონებში შევიდა რუსული ენიდან ნასესხები ნეოლოგიზმები, როგორც *glasnost* და *perestroika*.

სხვა ენებიდან შემოღებული სიტყვები ინგლისურ ენაში შევიდა იმ ფორმით, რომლითაც მათ იყენებენ ორიგინალის ენაში ლათინური ანბანით; თუ სესხება ხდება სხვა ანბანის ენიდან, ის მაინც აისახება ლათინური შრიფტით, მაგალითად *judo, Toyota* იაპონური ენიდან.

ბევრი გეოგრაფიული დასახელება ამერიკის შეერთებულ შტატებში იწერება და წარმოითქმება ესპანურად; მაგალითად, ქალაქები *SanFrancisco, SanDiego, LaJolla, SanAntonio, Sacramento*, მდინარე *RioGrande*, ქუჩა *RioVista* და ასე შემდეგ. ამ სახელების გადმოცემა ქართულ ენაში ხდება ტრანსკრიფციის სახით, ქუჩა რიო ვისტა (და არა „მდინარის ხედი").

ინგლისურ ენაში (წერილობითი და ზეპირი ფორმით) იყენებენ ბევრ სიტყვას, შესიტყვებას და შემოკლებას ლათინური ენიდან.

ლათინიზმების ნაწილი შემოვიდა საერთო ლექსიკაში, მაგალითად *vice versa -- პირიქით.* ძირითადად ლათინური გამოთქმა დამახასიათებელია აკადემიური, ოფიციალური სტილის წერილობითი ფორმისათვის. ამის გამო მათი ცოდნა აუცილებელია იმათთვის, ვინც კითხულობს ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურას და ინგლისურ ენას იყენებს აკადემიური მიზნებისათვის, მაგალითად, მოხსენების დასაწერად.

ქვემოთ მოყვანილია ყველაზე გავრცელებული ლათინიზმი (ლათინიზმები-შემოკლებები განიხილება შემდეგ თავში):

alma mater – უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში, სადაც სწავლობს მოლაპარაკე;
apriori– ნაადრევად, გამოცდილებამდე;
curriculumvitae– რეზიუმე, მოკლე ბიოგრაფია;
defacto– ფაქტობრივად;
dejure– იურიდიულად;
percapita– ერთ სულ მოსახლეზე;
viceversa– პირიქით;

4.2. მნიშვნელობის გავრცელება და ახლებურად გააზრება

ნეოლოგიზმის წარმოების ერთ-ერთი საშუალებაა სიტყვის მნიშვნელობის გავრცელება იერების და ახალი მნიშვნელობების შეძენის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების შედეგად.

ენაში არსებული სიტყვების ახლებურად გააზრება ნიშნავს სიტყვების ახალი მნიშვნელობების შეძენას: მაგალითად, სიტყვამ *egg* (კვერცხი) შეიძინა ახალი მნიშვნელობა -- ავიაბომბი.

სამედიცინო ტერმინი „დომინო" ნიშნავს ისეთი ორგანოების გადანერგვის ოპერაციას, როცა „ა" პაციენტს უნერგავენ ახალ გულს და ფილტვებს ტვინში სისხლ ჩაქცეული დონორისაგან, ხოლო პაციენტს „ბ"-ს უნერგავენ „ა" პაციენტის ძველ გულს.
"There's such a shortage of organs here", says Julieta Gonzalez, spokeswoman for the university

medical center in Tucson, Arizona,where the country's fifth domino was carried out last month.

ნეოლოგიზმის კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც იყო მიღებული სიტყვის ახლებურად გააზრების შედეგად, წარმოადგენს სიტყვა *colour-blind.* თავდაპირველად ეს სიტყვა ნიშნავდა დალტონიზმით დაავადებულ ადამიანს, რომელიც ვერ ასხვავებს ფერებს, მეოცე საუკუნის ბოლოსკენ ეს სიტყვა ასევე ნიშნავდა იმ ადამიანს, რომელიც არ ასხვავებდა ხალხს რასების და ერების მიხედვით.

სიტყვამ *albatross (ალბატროსი)* შეიძინა მნიშვნელობა 1) შეფერხება, ხელის შეშლა, ტვირთი; 2) პაციენტი, რომელიც ვერ იკურნება, ან ხელახლა ავად ხდება.

I'll be happy to be rid of this albatross.
მოხარული ვიქნები, თუ მოვიცილებ ამ ალბატროსს.

სიტყვა *spin,* მაგალითად, თავისი ბირითადი მნიშვნელობის გარდა (*ტრიალი, ბრუნვა),* მოიპოვა ახალი, თუმცა მასთან დაკავშირებული მნიშვნელობები: *1)ინტერპრეტაცია, ანალიზი; 2)რეკლამა, 3) საჭირო მნიშვნელობის მიცემა, დამახინჯება.* ამ სიტყვით შესიტყვებებმა შეიძინა ახალი მნიშვნელობები, მაგალითად, *spindoctor- საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტი, პრესასთან კონტაქტების ექსპერტი,რომელიც წარმოადგენს ინფორმაციას იმ სახით, რაც აწყობს მის უკან მდგომ პოლიტიკურ სტრუქტურას.*

გამოთქმა *trickle down* (*trickle - ნაკადი, trickle down - გამოიყენება შესიტყვებებში trickle-down theory, trickle-down economy, trickle-down economics* დაკავშირებულია თეორიასთან, რომლის მიხედვით „დიდი ბიზნესისთვის" სახელმწიფო დახმარების შედეგად, შემოსავალის ნაწილი წვრილი ნაკადით მაინც მიაღწევს ღარიბ ხალხამდე.

ნეოლოგიზმი *second-source* როგორც ზმნა ნიშნავს: 1) *მეორე მიმწოდებელს, რაიმეს წარმოებას მეორე მიმწოდებლის უფლებით; 2) საერთო წარმოებას (რამდენიმე ფირმის მონაწილეობით); 3) სხვა დანადგარების ანალოგიური დანადგარების წარმოებას,* როგორც ზედსართავი სახელი *second-source(d)* მსგავსი მნიშვნელობით, მაგალითად გვხვდება შესიტყვებაში *second-source versions.*

საყურადღებოა გამოთქმა *hold the line(არ დაკიდოთ ყურმილი),* რომელიც ახალ კონტექსტში პოულობს შემდეგ მნიშვნელობას: *ინფლაციის შეჩერება, მთავრობის მიერ ჩატარებული ინფლაციის საწინააღმდეგოდ ჩატარებულ ღონისძიებებს.*

4.3.შესიტყვების ვოკაბულარიზაცია.

შესიტყვების ვოკაბულარიზაცია წარმოადგენს თავისუფალი შესიტყვების გაერთიანებას უფრო მჭიდრო ერთეულად. ამის მიზეზია რომელიმე მოვლენის უფრო ღრმა ახსნა მნიშვნელობის მეტაფორული ან მეტონიმური მნიშვნელობის გადატანის ხერხი.

გამოთქმა *dead cat bounce* ნიშნავს *სიტუაციის დროებით გაუმჯობესებას ბირჟაზე ფასების დაცემის დროს* (იგულისხმება, რომ მკვდარი კატაც წამოხტება მიწიდან, თუ

იგი ჩამოაგდეს დიდი სიმაღლიდან). გამოთქმა *extreme tourism* გამოჩნდა ამერიკელი ბიზნესმენის დენის ტიტოს კოსმოსში გაფრენის შემდეგ. გამოთქმა *data spill* (ინფორმაციის გაჟონვა) შექმნილი იყო *oil spill* (ნავთობის გაჟონვა) ანალოგიით.

გამოთქმა *one banana problem* შემოვიდა ლიტერატურაში 1997 წ. და ითარგმნება, როგორც *ადვილი ამოცანა; ადვილად გადასაწყვეტი პრობლემა.* გამოთქმა *swarm logic* გაჩნდა ლიტერატურაში სულ ცოტა ხნის წინ და ნიშნავს *ცხოვრებისეული გამოცდილების მიღებას "ბრბოს" დახმარებით, მასების ლოგიკით.* მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

Dutch bargain – (ჰოლანდიური გარიგება) -- გარიგება, რომლის შედეგად მხოლოდ ერთი მხარე სარგებლობს;

marzipan layer (მარციპანის ფენა) -- კომპანიის მმართველობის საშუალო რგოლი, რომელიც უსარგებლოდ და ზედმეტად ითვლება;

silver wheelchair (ინვალიდების ვერცხლის სავარძლები) -- მაღალი დონის კომპანიის მმართველობის წევრისთვის გამოყოფილი დიდი თანხა თანამდებობის დაკარგვის საკომპენსაციოდ;

snake in the tunnel (გველი გვირაბში) -- დადგენილი ჩარჩოს ფარგლებში სავალუტო კურსის ეკონომიკური ცვლილებები.

4.4. სიტყვების „ჰიბრიდიზაცია"

ამ მეთოდით ნეოლოგიზმის შექმნის დროს ხდება ორი სიტყვის შეერთება წინა ან ბოლო მარცვალის ამოვარდნით ორივე კომპონენტში: *cashomat*(cash+automation) საბანკო ავტომატი პირადობის მოწმობით ფულის გასაცემად საბანკო ანგარიშიდან.

იმ შემთხვევაში, როცა შეერთებულია ორი სიტყვა, რომლებიც იწყება ან მთავრდება ერთსა და იმავე ხმოვნით ან თანხმოვნით, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს ტოვებენ: *cinemactor - კინოსახიობი, cinemaddict -- კინოთეატრის მუდმივი სტუმარი* და ასე შემდეგ.

ზოგ შემთხვევაში ამოკლებენ სიტყვის ნაწილებს და ქმნიან მარცვლიან შემოკლებას. მარცვლიანი შემოკლების მაგალითებია:

Benelux – Belgium, Netherlands, Luxemburg;
Hi-Fi – High Fidelity.

ორი სიტყვისგან შემოკლებით მიღებული ნეოლოგიზმის ცნობილი მაგალითია *netiquette*(net + etiquette) *ქსელური ეტიკეტი* (წესები ინტერნეტის მომხმარებლებისათვის). სიტყვის *wordrobe* განხილვისას ცხადი გახდება, რომ ის შედგენილია სიტყვებისაგან *word* და *wardrobe* და ნიშნავს „ *სიტყვებს და გამოთქმებს, რომლებიც შეადგენენ ადამიანის სიტყვების მარაგს".*

სიტყვების შემოკლების გზით ნეოლოგიზმის კიდევ ერთი მაგალითია სიტყვა *infomercial სარეკლამო რგოლი.* ამ სიტყვაში შეერთებულია სიტყვის *information (ინფორმაცია)* პირველი ნაწილი და სიტყვის *commercial (ტელერეკლამა)* ბოლო ნაწილი.

მსგავსი მეთოდით შექმნილია ბიზნესის სფეროდან ნეოლოგიზმი *promotools,*

promotionaltool s - (სარეკლამო მიზნით გამოყენებული თვალსაჩინო მასალა).

სხვა მაგალითები:

brandalism (brand + vandalism) – *საჯარო შენობებზე მიყენებული ზარალი კორპორატიული რეკლამით, პლაკატებით და სხვა იმიჯის შექმნის რეკლამით;*

stagflation(stagnation+inflation) – *სტაგფლაცია, (ეკონომიკური) შეჩერება ინფლაციით.*

4.5. კონვერსია. სახელების ატრიბუტული გამოყენება

კონვერსია არის ერთი მეტყველების ნაწილის წარმოება მეორისაგა; მაგალითად, ზმნების წარმოებას არსებითი სახელებისაგან. ამ სიტყვების დაფიქსირება ლექსიკონში ყოველთვის არ ხდება, მაგრამ მათი მნიშვნელობის გაგება შესაძლებელია არსებითი სახელის მნიშვნელობასთან შედარებით იმ ფუნქციის მიხედვით, რომელსაც ასრულებს ამ არსებითი სახელით აღნიშნული საგანი.

წინდებული *up*, სალაპარაკო ენაში ნიშნავს *პოტენციურ მყიდველს* და შეიძლება იყოს გამოყენებული, როგორც არსებითი სახელი:

The hottest salesman always turns a looker into an up.
დაინტერესებული გამყიდველი ყოველთვის აქცევს გამვლელს პოტენციურ მყიდველად.
Programmes involved in teaching English as a foreign language mushroomed in the 60-ies in the United States.
60-ან წლებში აშშ-ში გაიზარდა ინგლისური, როგორც უცხო ენის სასწავლო პროგრამების რაოდენობა.
They had to torpedo the talks.
ისინი იძულებული იყვნენ მნიშვნელოვნად დაეჩქარებინათ მოლაპარაკებები.

თანამედროვე ინგლისურ ენაში თითქმის ნებისმიერი სიტყვა შეიძლება აღმოჩნდეს განსაზღვრების როლში, ხოლო ზოგიერთი კი -- სხვა მეტყველების ნაწილის როლში, ხშირად წინდებულთან ერთად.

Hard-money men – ფულადი მასის ბრუნვაში შესვლის შეზღუდვის მომხრეები, ანტიინფლიაციონისტები.

ზოგიერთ ნეოლოგიზმში არსებითი სახელი მხოლოდ იძენს ზედსართავი სახელის სტატუსს, და ასეთი შემთხვევები ჯერ არ არის დაფიქსირებული ლექსიკონში, თუმცა მათ უკვე იყენებენ პრესაში:

salami attack - მთელი რიგი მცირე კომპიუტერული დანაშაულების, რომლებიც შეადგენს ერთ დიდ დანაშაულს და რომლის თვალდევნა ძნელია.

IP-thief -- ადამიანი, რომელიც ხელყოფს სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას (intellectual property).

კონვერსიის გზით მიღებული ნეოლოგიზმის მაგალითებია შემდეგი შესიტყვებები:

Haves and have nots– შეძლებულები და არაშეძლებულები;

must dos – გადაუდებელი საქმეები;

don't know voter – არადარწმუნებული ამომრჩეველი.

მსგავსი ნეოლოგიზმის მნიშვნელობის დაზუსტება რთულია. თარგმანის დროს საჭიროა კონტექსტუალური ჩანაცვლება ან აღწერილობითი თარგმანი, ვინაიდან სხვა

ენებში თითქმის არ არსებობს ნეოლოგიზმის წარმოების მსგავსი ხერხები.

ზოგ ახალნაწარმოებ სიტყვაში აქტიურად იყენებენ საკუთარ სახელებს, ცნობილი კომპანიების დასახელებას; ამ შემთხვევაში ხშირია საკუთარი არსებითი სახელების ატრიბუტული გამოყენება, იმ დასახელებების, რომლებიც სახელდებულად იქცნენ:

MadisonAvenue (ნიუ-იორკის ქუჩა, სადაც განთავსებულია ძირითადი სარეკლამო სააგენტოები) -- კარგად შექმნილი, მატყუარა რეკლამა.

Mirandawarning— მირანდას საქმეზე გაფრთხილება (ადამიანს აფრთხილებენ, რომ მას აქვს დუმილის უფლება და არ თქვას არაფერი, თავისი სახელის გასატეხი). ეს გამოთქმა გაჩნდა აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს საქმესთან - „მირანდა არიზონას შტატის წინააღმდეგ“ დადგენილებასთან დაკავშირებით (მირანდა იყო დაკავებული, პიროვნების გვარი, რომელიც პოლიციელმა არ გააფრთხილა მისი დუმილის უფლების შესახებ). უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავების დროს დარღვეული იყო ეჭვმიტანილის უფლებები. ამის შემდეგ დაკავების დროს პოლიციელი ვალდებულია ეჭვმიტანილს აუხსნას მისი უფლებები — *Mirandarights.*

4.6. ნაწარმოები სიტყვა

ნაწარმოები სიტყვები შექმნილია სიტყვების წარმოების ხერხებით (სუფიქსები, პრეფიქსები, სიტყვათშეერთებით).

მაგრამ ზოგჯერ ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობა ბევრად განსხვავდება ფუძისაგან. მაგალითად, *parcelwise მნიშვნელობით „ნაწილ-ნაწილ“ (bit by bit, by parts)*, განსხვავდება არსებითი სახელის *parcel* ძირითადი მნიშვნელობისაგან და სუფიქსი *wise* ძირითადი მნიშვნელობისაგან. სიტყვისგან *line* მიღებულია ბევრი ნაწარმოები სიტყვა, მაგალითად *lineage (წარმომობა, წარმოქმნა, მოდგმა, საგვარტომო; წარმომავლობა, გვარეულობა), linear (ხაზის, სახაზო, სიგრძივი), lineal (პირდაპირი ხაზის ნათესავი)* და სხვა.

ნაყოფიერი სიტყვების წარმოების ხერხად ითვლება პრეფიქსები:

re- reforestation– ტყის მასივების აღდგენა;

in- inflow- კაპიტალის, ფინანსების მოდინება;

inlay – მოზაიკა, ინკრუსტაცია;

super-- super-radiation – ზეგამოსხივება;

superacid – მომატებული მჟავიანობა;

be- benighted – გზადშემოღამებული, უვიცი, უკულტურო;

belittle – დაცოტავება, შემცირება;

de- decarbonate – ნამწვავისგან გაწმენდა;

debus - ავტობუსიდან გადმოსხდომა;

ultra- ultra-short – ულტრა მოკლე;

ultra-modern – ზეთანამედროვე, ულტრა თანამედროვე;

К продуктивным суффиксам относятся:

პროდუქტიული სიტყვების წარმოების სუფიქსებია:

-ian - ballistician– ბალისტიკოსი (musician, physician მსგავსად);

-ation-commodification – ნივთად გარდაქმნა (simplification მსგავსად);

-ship- craftsmanship – 1) ოსტატობა, პროფესიული სამუშაო; 2) ხელობა;

showmanship– სანახაობის მოწყობის ხელოვნება;

-dom - bangdom – ორგანიზებული ბანდიტიზმი;

bogdom – ცხოვრებისეული ჩიხი;

-ize - itemize – პუნქტების მიხედვით ჩამოთვლა;

institutionalize – კანონიერი სტატუსის მინიჭება, საზოგადოებრივ ინსტიტუტად ქცევა.

პრეფიქსის *dis*-მეშვეობით შექმნილი იყო სიტყვები *disinformation*-- დეზინფორმაცია; *disintegration* -- დეზინტეგრაცია ; დაშლა; *disintermediation* -- ფულადი რესურსების გადინება საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებიდან სასესხო კაპიტალის არაორგანიზებულ ბაზარზე (პროცენტის განაკვეთების გაზრდის მიზნით).

ხმარებაში შემოსული სიტყვა *diplomaism ნიშნავს დიპლომირებულ სპეციალისტებზე ნადირობას.*

არაოფიციალურად საქმიანი საუბრის დროს, პუბლიცისტიკაში, ეკონომიკურ და ტექნიკურ ლიტერატურაში დღეს ხშირია სიტყვები წარმოებული პრეფიქსებით *down* და *up*: *downbeat -- პესიმისტური, მოღუშული, downsize -- ზედმეტის მოცილება. Downtime* -- უბრალო ტექნიკურ-საორგანიზაციო მიზეზებით გამოწვეული იძულებითი უმოქმედობა.

ხშირად გამოყენებადი სუფიქსია *-wise*. მისი მეშვეობით წარმოებულია მრავალი სიტყვა *policy-wise, talent-wise, credibility-wise*, რომლებიც ითარგმნება სიტყვებით-*თვალსაზრისით, მიხედვით.*

სიტყვების შეერთება: *know-how*-- ტექნიკური ნოუ–ჰაუ, *stay-in -- პიკეტირება, sit-in -- მჯდომარე გაფიცვა, buy-in -- მომგებიანი გარიგება, shut-down -- დაკეტვა, ლიკვიდაცია (ქარხნის).*

სიტყვების შეერთების კარგი მაგალითია სიტყვა *beeper-sitter*-- *ადამიანი, რომელიც პასუხს აგებს სხვა ადამიანის პეიჯერზე მოსული შეტყობინების აღრიცხვაზე.*

ზოგი ნეოლოგიზმი იყო ხელოვნურად შექმნილი და მოგონებული არა ინგლისურენოვანი ხალხით; მაგალითად, სიტყვა *Walkman -- პლეიერი* მოგონილი იყო იაპონური კომპანიის „სონი" -ს (Sony) მიერ.

4.7. ნეოლოგიზმების თარგმანის ხერხები

ნეოლოგიზმების თარგმანის ძირითადი სირთულეა ახალი სიტყვის მნიშვნელობის გაგება. იმ ნეოლოგიზმის თარგმანი, რომლის მნიშვნელობა გარკვეულია, სირთულეს არ წარმოადგენს, ამ შემთხვევაში იყენებენ ერთ-ერთ თარგმანის არსებულ ხერხს იმის მიხედვით, თუ რა სახის სიტყვებს მიეკუთვნება მოცემული ნეოლოგიზმი.

ნეოლოგიზმების თარგმანში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ეტაპები:

ა) ინგლისურ-ინგლისური ლექსიკონის გამოყენება.

თუ ახალი სიტყვა არ შედის ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში, უნდა სცადო მისი მოძებნა ინგლისურ-ინგლისურ ლექსიკონში. ინგლისურ-ინგლისურ ლექსიკონში ჩვეულებრივ არის სპეციალური ნაწილი „ახალი სიტყვები" (New Words Section). ყოველთვის ჯობია გამოიყენო ბოლო წლებში გამოქვეყნებული ლექსიკონი, ვინაიდან ხელახლა გამოცემის დროს ამ ნაწილში შეაქვთ ახალი ნეოლოგიზმები. მაგრამ შეიძლება ვერ ნახო ნეოლოგიზმი ლექსიკონში, ვინაიდან ვერც ერთი ლექსიკონი „ვერ ასწრებს" ენის სწრაფი განვითარების ასახვას.

ბ) ნეოლოგიზმის მნიშვნელობის გარკვევა კონტექსტიდან.

ყველაზე ხშირად ხდება ნეოლოგიზმის მნიშვნელობის დადგენა კონტექსტიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია ნეოლოგიზმების თვალდევნა ნაბეჭდ მასალებში.

გ) ნეოლოგიზმის სტრუქტურის ანალიზი, მისი მნიშვნელობის დასადგენად.

ახალი სიტყვები ენაში არ ჩნდება ცარიელ ადგილზე, მათი შექმნა ხდება უკვე არსებული სიტყვების და მორფემების ბაზაზე. ასეთი სიტყვების და მორფემების ანალიზი შეიძლება სერიოზულად დაგვეხმაროს ნეოლოგიზმის მნიშვნელობის დადგენაში.

ნეოლოგიზმის თარგმანი გულისხმობს ახალი სიტყვის გააზრებას და ასახვას სხვა ენაზე, პირდაპირ ან ახსნა-განმარტების სახით. თუ თარგმანის ენაში არ არსებობს რაიმე მოვლენის პირდაპირი ეკვივალენტი, მაშინ ეს მოვლენა შეიძლება იყოს აღწერილი, ან უნდა იყოს გადმოცემული მისი ფონეტიკური ან ორთოგრაფიული ფორმა. ნეოლოგიზმის თარგმნის ძირითადი ხერხებია:

1) ტრანსკრიბირება;

2) ტრანსლიტერაცია;

3) კალკირება;

4) აღწერითი თარგმანი

1) ტრანსკრიბირება დაფუძნებულია ფონეტიკურ პრინციპზე, ანუ ქართული ასოებით ინგლისური ბგერების გადმოცემაზე, მაგალითად:

offshore company– ოფშორული კომპანია;

blockbuster– ბლოკბასტერი;

badge – ბეჯი;

poster – პოსტერი.

მსგავსად ითარგმნება ბევრი სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინი:

joy-stick -ჯოისტიკი;

notebook-ნოუთბუქი;

design – დიზაინი;

time charter – ტაიმ-ჩარტერი;

invoice – ინვოისი.

2) ტრანსლიტერაცია დაფუძნებულია გრაფიკული ხატის გადმოცემაზე, ანუ ასოების გადმოცემაზე. ტრანსლიტერაციას იყენებენ ახალი, ბოლო დროს შექმნილი პირადი სახელების (კომპანიების სახელების, სავაჭრო მარკების) გადმოცემის დროს.

Layetana Company– კომპანია ლაიეტანა;
Coldpoint Ltd. – ქოლდ პოინტ შპს
საზოგადოებრივი ცხოვრების და მატერიალური ყოფაცხოვრების თავისებურებანი:
resume – რეზიუმე;
lobby – ლობი;
holding – ჰოლდინგი;
tender – ტენდერი;
სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინები:
multimedia – მულტიმედია;
adapter – ადაპტერი;
modem – მოდემი;
detonator – დეტონატორი;
smart card – სმარტ-ბარათი;

3) ნეოლოგიზმის გადმოსაცემად ხშირად იყენებენ კალკირებას, ანუ ახალი სიტყვის, შესიტყვების ან რთული სიტყვის შექმნას შესაბამისი საგნის დასახელებისათვის იმ ელემენტების და მორფოლოგიური შეფარდებების მიხედვით, რომლებიც რეალურად არსებობს ენაში:

მაგალითად:

globalvillage– გლობალური სოფელი;
cold boot – ცივი გადატვირთვა (ღილაკი Reset დაჭერით);
certificate of origin – წარმოშობის სერტიფიკატი;
container vessel – კონტეინერების მზიდველი;
linkage editor – კავშირების რედაქტორი.

4) აღწერილობითი თარგმანი. არ არსებობს ენაში ისეთი სიტყვა, რომლის გადათარგმნა მეორე ენაზე შეუძლებელია აღწერილობითი ფორმით.

ზოგი სიტყვა და ტერმინი, რომელიც საყოველთაო ხმარებაშია, შეიძლება იყოს გადათარგმნილი მხოლოდ მისი აღწერით.

autokerning – ნიშანთა შორისი ინტერვალის ავტომატური დაყენება;
stylus – წერის ელემენტი;
monorail –მონორელსური რკინიგზა;

ავიღოთ შემდეგი ფრაზა "Computer Crime. Criminal Justice Resource Manual", სადაც მოყვანილია კომპიუტერული დანაშაულების ზოგიერთი დასახელება:

The final subsection explains12 technical method susedtoperpetrate computer- related crime, includingdata-diddling (მონაცემების არასანქციონირებული შეცვლა კომპიუტერში

შეყვანის დროს), *Trojanhorses (სხვის პროგრამაში ფარულად იმ ბრძანებების შეყვანა, რომლეთა გამო ის შეასრულებს მისი მფლობელით არადაგეგმილ ფუნქციებს, დაგეგმილ ფუნქციებთან ერთად), salamitechniques*(კომპიუტერის დახმარებით პატარა თანხების, ან სხვა ფასეულობების მოპარვა მრავალი სხვა ანგარიშიდან ფასეულობების გადატანით განსაზღვრულ ანგარიშზე ისე, რომ მოპარული ფასეულობა მნიშვნელოვნად არ მცირდება), *logicbombs* (კომპიუტერულ პროგრამაში ფარულად ისეთი ბრძანებების შეყვანა, რომლებიც ამოქმედდებიან განსაზღვრულ პირობებში, განსაზღვრულ დროს სხვადასხვა დანაშაულების ჩასადენად), *piggybacking* (კომპიუტერულ დარბაზში ან სხვის კომპიუტერში ფარულად შესვლა დანაშაულებრივი მიზნით), *dataleakage (კომპიუტერიდან ჩუმად საჭირო მონაცემების ამოღება), superzapping* (პროგრამის "იუტილიტები"-ს არასანქციონირებული გამოყენება მონაცემების მოდიფიკაციის, განადგურების ან ამოღების მიზნით).

ცხადია, აღწერილობითი თარგმანი მოუხერხებელი იქნებოდა თარჯიმანისთვის, ვინაიდან მას მოუხდებოდა თარგმანი-ახსნის მინიმუმამდე შემცირება და აღწერის ნაწილის მოყვანა. მსგავსი ტერმინების გადმოსაცემად უფრო გამართლებულია ტრანსკრიბირების (ტრანსლიტერაციის ელემენტებით) და კალკირების გამოყენება:

ბოლო ქვენაწილში აღწერილია კომპიუტერული დანაშაულის ჩადენის 12 ტექნიკური მეთოდი, მათ შორის დიდლინგის მეთოდი, ტროას ცხენის, სალიამის, სუპერზეპინგის, ლოგიკური ბომბების, მონაცემების გაყონვისა და პიგიბეკინგის მეთოდები.

ნასესხები ტერმინები დიდლინგ, სუპერზეპინგ და პიგიბეკინგ შეიძლება იყოს ჩაწერილი უკვე არსებული ქართული ენის მოდელში (ბრიფინგი, პრესინგი, კრეკინგი და ა.შ.); საჭიროების შემთხვევაში მათი ახსნა შეიძლება იყოს მოყვანილი ჩამოტანილ შენიშვნებიან კომენტარებში. გამონათქვამები „ტროას ცხენი", „მონაცემების გაჟონვა", „სალამი" უკვე შევიდა ხმარებაში, და გამონათქვამი „ლოგიკური ბომბი" არ ეწინააღმდეგება ქართული ენის ნორმებს („ნეიტრონული ბომბი" და ა.შ.). ამ შემთხვევაში ეს ნასესხები შესიტყვებები (შესაძლოა ჩამოტანილ შენიშვნებში) იქნება უფრო მისაღები, ვიდრე გრძელი აღწერილობითი თარგმანი, ვინაიდან უკვე შეესაბამებიან არსებული სიტყვების წარმოების სისტემას.

საკითხები განმეორებისათვის

1)მოიყვანეთ ნეოლოგიზმების შექმნის მიზეზები და წარმოების ძირითადი მეთოდები.

2) მოიყვანეთ ნასესხები ნეოლოგიზმების მაგალითები ინგლისურ და მშობლიურ ენაში.

3) რამდენად ნაყოფიერია ნეოლოგიზმების წარმოების მეთოდი „სიტყვების ჰიბრიდიზაცია"?

4) წარმოადგენს თუ არა კონვერსია ნეოლოგიზმის შექმნის აქტიურ ხერხს ინგლისურ ენაში?

5) რას წარმოადგენს შესიტყვების ვოკაბულიზაციის ხერხი?

6) დაახასიათეთ სიტყვის მნიშვნელობის გავრცელება, როგორც ნეოლოგიზმების წარმოების ხერხი.

7) როგორ აწარმოებენ ნაწარმოებ სიტყვებს? რას წარმოადგენს ეს ხერხი?

8) რას წარმოადგენს სიტყვის ახალი მნიშვნელობის გაგების ძირითადი ხერხები?

9) როგორ გვეხმარება ჩვენ ახალი სიტყვის სტრუქტურის ანალიზი მისი თარგმნის დროს?

10) ძირითადი ხერხები ნეოლოგიზმის თარგმნისას.

11) რა წარმოადგენს ძირითად სირთულეს ნეოლოგიზმების თარგმნის დროს?

პრაქტიკული დავალება

I. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ნეოლოგიზმებით და დაადგინეთ მათი შექმნის ძირითადი მეთოდები. თარგმნისას გამოიყენეთ ინგლისური ენის ახალი სიტყვების ლექსიკონი (ბოლო გამოცემა).

1. Enterprise networks are proliferating; laptops, notebooks and palmtops are available.
2. Security in a computer can be improved by using a password, which is a random mixture of numbers and letters, or by using a smart card to access the computer.
3. Thecriticalflawidentified inthelatestversionsofWindowsoperating system can leave computers vulnerable to hackers.
4. Onmanycampusesregisteringforclasses,declaringmajors,checking grades and obtaining class handouts are all done online.
5. There are plenty of downsides to the conveniences that come as colleges migrate to theWeb.
6. Such high-tech heavies as Berkley or Stanford foundYahoo's criteria so questionable (one measure is the prevalence of cybercafes) that they boycotted the survey.
7. The main reason for shifting money offshore is to avoid taxation and regulation.
8. Near-to-eye display technologies can use microdisplay technology for portable PCs as well asWeb-enabled cell phones.
9. Wi-fi ("wireless fidelity") is the term for a high-frequency wireless local area network.
10. Although there are sophisticated multimedia devices on the market, which have more processing power than many computers, there are still technological barriers that prevent their widespread take-up.
11. All the advisory, legal and clerical work involved in international financial transactions has to be done somewhere on terra firma.
12. Traffic build-ups at theexits from and entrances to large cities have long been a feature of super-highways.
13. Slowly and unevenly a'can-do'attitude is beginning to replace the inertia employees 'attitude to work.

14.Capital flight is now becoming less accessible from foreign creditors.

15.If the merger boom is now near in ga close,will it be followed by a demerger boom?

16.E-commerce has become wide spread all over the world.

II. მოცემული ნეოლოგიზმისა და მათი განსაზღვრების საფუძველზე ინგლისურ ენაზე დაადგინეთ რომელი ნეოლოგიზმის შექმნის მეთოდი იყო გამოყენებული; თარგმნეთ ნეოლოგიზმები იზოლირებულად და წინადადებებში.

1. DENGLISH - speech or text that uses a mixture of German and English words (from Deutsch and English).

Many billboards have slogans in Denglish - a mix of English and German. Ad posters for sleeveless jumpers call them'tanktops'. And Berlin's road sweepers are promoted under the slogan 'WeKehrForYou'-kehr means to sweep."(M.Lea."Germans throw into welands tarttalking English" The Sun,April 7, 2000).

2. NEWATER-exceptionally pure water recycled from wastewater generated by showers, sinks, and toilets (also: NEWater).

"...As part of the campaign to win public acceptance, the government [of Malaysia] has begun calling the recycled waste "newater" and has handled out more than 650,000 bottles. (S.Mydans, TheNewYorkTimes, September 26, 2002).

3.WARMEDY –a comedy that features wann-hearted, family-oriented content.

4. WEBLISH(n)-a form of English peculiar to some online documents and communication, the characteristics of which include the use of all lowercase letters, errors in spelling and grammar, and informal tone.

"The popularity of e-mail is destroying the normal rules of spelling and grammar leading to'weblish',a lower case global language littered with mistakes..." (The DailyTelegraph, April 24, 2000).

5. WEARABLE(n)-a computer designed to be worn as an item of clothing or as a wardrobe accessory.

6. CAMOUFLANGUAGE – language that uses jargon, euphemisms and other things to hide the true meaning of what is being said.

7. BEEPER-SITTER-a person who assumes responsibility for recording another person's

beeper (= pager) messages.

8. CYBERPUNK–fast-paced sciencefiction involving futuristic computer- based

societies (became popular after film"Matrix").

9. TRAILER – a short filmed advertisement for a movie; a preview.

10.BLOCKBUSTER–a film or book, that sustains widespread popularity and achieves

enormous sales.

III. შეასრულეთ შემდეგი ტექსტის სრული წერილობითი თარგმანი. ყურადღება მიაქციეთ ნეოლოგიზმების გამოყენებას და დაადგინეთ მათი თარგმანის ხერხები.

Internet-accessible Mobile Phones
Put a Desktop inYourPocket

The latest and greatest mobile phones are far more than handy devices for on- the-go conversations.The new generation of mobile phones are also InformationAge tools for keeping track of e-mail and news on the Web and for storing, transferring and accessing data anywhere.

Accessing the Internet allows everything from mobile banking to brokerage and billpaying.Industries that rely on field reps can keep track of their personnel, while medical-care providers are finding that pocket PCs and WAP-enabled mobile phones can bring diagnostics to remote areas and facilitate the transfer of time-sensitive information from doctor to lab.

In fact, mobile phones have quickly come to seem indispensible to nearly everyone. Angelbeat, a New York based research, strategy and software- development firm focused on the mobile Internet,
estimates that more than one billion handsets will be in use by the end of 2003. In Europe alone, the market for business conducted over mobile phones and other handheld devices is expected to generate revenues approaching $28 billion by 2002. "Accessing the Internet from these devices, at any time, any place and anywhere, will soon be as commonplace as using the PC," predicts Angelbeat CEO Ron Gerber.

Some industry observers expect that half of the billion-plush and sets in use by
2003 will be capable of receiving information from the Internet –surpassing the number of Internet-connected personal computers .Already, Mercedes-Benz personnel on showroom floors throughout Germany have supplemented their PCs with Nokia Communicators, a hybrid mobile phone-computer that comes with a full keyboard. "When customers come to look at a car, the salesperson can check the price, check to see if that particular model is in stock and calculate the monthly fee and lease options, all from the Communicator, "says Ilkka Raukinen, vice-president, Mobile Applications and Services, Nokia Mobile Phones.

Nokia is also taking steps to make this information easier to manage. InSeptember, fusion One, a developer of Internet synchronization technology, demonstrated how a host of wireless devices—including PCs, handheld devices, mobilephones—can be instantly synchronized. Explains Paul Chapple, director of produc tmarketing for Nokia Wireless Software Solutions, "They will store all of the records you keep
— from calendars to e-mail to phone-book entries — in a secure environment, and make sure that when you need to access it, the data is up-to-date, no matter where it was stored."

One of the bottlenecks faced by mobile phone users is that until higher band width connection speeds become commonplace, transferring large amounts of data can be time-consuming. One creative solution is a Xerox/Nokia collaboration called MobileDoc that enables mobile users to receive a representation of their PChard drive on their wireless-phonescreen. They can scroll through document titles and then forward different documents to a PC or a faxmachine, or have them sent to a Xerox document center to be printed out automatically.

Mobile banking and online investing are rapidly making inroads in Europe, particularly in Scandinavia. Of Sweden's overall population of nine million, nearly five million own shares or mutual funds—and even more own mobile phones."Wireless banking for this population is a natural, "says Thomas Thard, global manager for the bank and finance segment of Ericsson's Mobile Internet Applications and Solutions division in Stockholm.

Already, HQ.SE. an online brokerage company in Sweden, allows customers to read news, access their portfolios online and trade stocks and mutual funds on the Stockholm StockExchange via their Ericsson R380WAP-enabled mobile phones. Like the Nokia Communicator, the R380 offers the features of a mobile phone, an organizer and a personal digital assistant in one handheld terminal.

Since more than 25 percent of all SEB Bank customers in Sweden currently use Internet banking, the venerable Swedish bank predicts that several thousand customers will be using R380

terminals to conduct online bank in transactions by the end of this year. "Research suggests that at least 50 percent of all banking customers will be using a mobile channel within three years," says Thard. "Both the banks and the carriers are putting a major emphasis on mobile banking here, and it will happen sooner than you think." But will they still give away toasters for opening a new account?

5. შემოკლება და მისი თარგმანის მეთოდები

5.1. ნასესხები შემოკლება
5.2. „წაკვეთილი" სიტყვები
5.3.შემოკლებები
ა) აბრევიატურა
ბ) აკრონიმი

5.1.ნასესხები შემოკლება

ინგლისურ ენაში იყენებენ მთელ რიგ შემოკლებას ლათინური ენიდან. ლათინიზმის ნაწილი შევიდა საერთო ლექსიკაში, მაგალითად *at 5AM- დილის 5 საათზე.* ლათინური შემოკლება ხშირად გვხდება სამეცნიერო და ტექნიკურ ლიტერატურაში. ქვემოთ მოყვანილია ყველაზე გავრცელებული ლათინიზმი:

AM = ani = antemeridiem -შუადღემდე
etc. = et cetera - და ასე შემდეგ
e.g. = exempli gratia - მაგალითად
i.e. = id est - ესე იგი
N.B. = nota bene - მიაქციეთ ყურადღება
PM = pni == post meridiem - შუადღის შემდეგ
P.S. = post scriptum - დაწერილის შემდეგ
vs = versus - წინააღმდეგ
viz. = videlicet - სწორედ

მსგავს შემოკლებებს უკვე აქვს ზუსტი ეკვივალენტი ქართულ ენაში, ამის გამო თარგმნის დროს ხდება საჭირო ვარიანტის შერჩევა.

5.2. „წაკვეთილი" სიტყვები

ინგლისურ ენაში გავრცელებულია „წაკვეთილი", მოკლე და შემოკლებული სიტყვების გამოყენება, უკვე ცნობილი შემოკლების სახეობით *doc-doctor; exam examination, flu– influenza,prof, profi– professional.*

ბევრი „წაკვეთილი" სიტყვა არ არის გამჭვირვალე. მაგალითად, ძნელია თავიდანვე მიხვდე, რომ *promo* მიღებულია *promotional -იდან.*

სხვა მაგალითები:

Ad – advertisement - რეკლამა;

lab – laboratory – ლაბორატორია;

memo – memorandum – მოხსენებითი ბარათი;

demo – demonstration - ჩვენება, დემონსტრაცია;

temp – temporary – დროებითი მუშა;

comp – შეიძლება იყოს შემდეგი სიტყვების შემოკლება:

1. accompaniment - მუსიკალური აკომპანიმენტი;

2. complimentary - მოსაწვევი, მოსაპატიჟებელი (ბილეთი);

3. competition - შეჯიბრი; შეჯიბრება, მატჩი;

4. computer – კომპიუტერი;

op – შეიძლება იყოს შემდეგი სიტყვების შემოკლება:

1. operation - ოპერაცია (სამედიცინო ან სამხედრო),

2. operative - 1) მუშა (ფაბრიკაში, ქარხანაში, მაღაროში), 2) სამეწარმეო პერსონალი, 3) მაძებარი,

3. operator – მანქანაზე ან დაზგაზე მომუშავე მუშა; ოპერატორი; ტელეგრაფისტი; რადისტი;

4. optical - (*op art*). 1) თვალის, მხედველობითი 2) ოპტიკური.

„შეკვეთები" გვიჩვენებს ლექსიკური შემადგენლობის განვითარებისა და გამდიდრების კანონზომიერებას ენის ლექსიკური სისტემის შიდა რესურსების ხარჯზე. შეკვეთილი სიტყვა არის არა მხოლოდ „ეკონომიის საშუალება", არამედ ცნობილი ცნებების უფრო ემოციური ასახვა.

5.3. შემოკლებები (აბრევიატურები და აკრონიმები)

აბრევიატურა არის შემოკლება, რომელიც იკითხება ცალკე ასოებად: *PC–personal computer* (პერსონალური კომპიუტერი).

აბრევიატურის საყოველთაოდ გამოყენებული მაგალითებია:

ქვეყნები:

CIS - ს ნ გ ,

EU (European Union) - EC.

საერთაშორისო ორგანიზაციები:

UN ან *UNO*–გაერთიანებული ერების ორგანიზაცია,

UNSC- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო, *WHO* - - (World Health Organization) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია,

IMF- International Monetary Fund - საერთაშორისო სავალუტო ფონდი,

WTO– World Trade Organization - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია,

UNESCO --United Nations Educational, Scientific and Cultural Organization იუნესკო (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია).

ეკონომიკა

VAT(value-addedtax) -- გადასახადი დამატებით ღირებულებაზე,

***GNP* (gross national product)** – ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი,

USD *-- აშშ დოლარი,*

Eu *-- ევრო,*

მედიცინა

HIV (human immunodeficiency virus) ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი,

AIDS (AcquiredImmuno-DeficiencySyndrome) - შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი, შიდსი .

სამხედრო სფერო

POW (prisoner-of-war) -- სამხედრო ტყვე;

HQ (Headquarters) -- შტაბი; მთავარი სამმართველო, ცენტრი;

MP (Military Police) -- სამხედრო პოლიცია.

მსხვილი ფირმები

GM (General Motors),

IBM (International Business Machines),

BBC (BritishBroadcasting Corporation), ***CNN***(CableNews Network) და ასე შემდეგ.

ისტორიული მოვლენები:

WWI (პირველი მსოფლიო ომი),

WWII (მეორე მსოფლიო ომი),

CW (ცივი ომი).

აბრევიატურის გამოცნობა და თარგმანი ადვილია, თუ შემოკლებულ სიტყვაში შედის სიტყვების მხოლოდ პირველი ასოები.

CEO (Chief Executive Officer)- მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი ;

COO (ChiefOperatingOfficer) - კორპორაციის მთავარი საოპერაციო დირექტორი ;

CFO (ChiefFinancialOfficer)– 1) კორპორაციის ვიცე–პრეზიდენტი ფინანსურ საკითხებში; 2) ფინანსური დირექტორი.

შემოკლების დროს ხშირად იყენებენ თანხმოვნებს (პირველი და ბოლო, ან პირველი, შუა და ბოლო) სიტყვების მოკლედ ჩასაწერად: ***ctr*** (***centre***); ***fwd*** (***forward***); ***ppd*** (***prepaid***).

განსაკუთრებულად ხშირად შემოკლებას იყენებენ საქმიანი მიმოწერისას, სადაც მათ აქვთ ფიქსირებული, ცალსახა მნიშვნელობა.

c.c. (carbon copy) – ასლი;

p.p. (per pro) – მინდობილობით (ხელმოწერა ვინმეს ნაცვლად);

enc/encl (enclosed) – თანდართული;

Ltd (limited liability) – შეზღუდული პასუხისმგებლობით;

Inc. (Incorporated) - სააქციო კომპანია;

Co (company) – კომპანია;

JV (joint venture) – ერთობლივი საწარმო, შერეული საწარმო;

C.O.D. (cash on delivery) – ანაზღაურება მოწოდებისას;

CIF (cost, insurance, freight) – ღირებულება, ფრახტი და დაზღვევა;

D/P (documents against payment) - საბუთები გადახდის წინააღმდეგ (გადახდის საწინააღმდეგო საბუთები);

I/c (letter of credit) - აკრედიტივი;

B/L (bill of lading) - სატრანსპორტო ზედნადები, ტვირთბარათი.

აკრონიმი -- შემოკლება, რომლის ფონეტიკური სტრუქტურა ემთხვევა იმ სიტყვების სტრუქტურას, რომლებიც საზოგადო ხმარებაშია. სიტყვების და შესიტყვებებისაგან შემოკლების გზით მიღებული ნეოლოგიზმი მუდმივად ჩნდება ინგლისურ ენაში, ამავე დროს ახალი სიტყვა (ხშირად ტერმინი), თუმცა აკრონიმია, არ აღიქმება როგორც შემოკლება.

მაგალითად, *scuba*– აკვალანგი, სასუნთქი აპარატი წყალქვეშა ცურვისთვის, შემოკლებულია *self-contained underwater breathing apparatus-გან.*

რადიო ლოკაციური დანადგარის სახელი *radar (რადარი)* -- შემოკლებულია *radio detecting and ranging - გან.*

ხშირი სიტყვა *laser* (ლაზერი)– შემოკლებულია *light amplification by stimulated emission of radiation - გან.*

აკრონიმების მაგალითებს წარმოადგენს ალგორითმული ენები:

ALGOL (Algorithmic Language)-- ალგოლო;

LISP (List Processing) – ლისპი;

FORTRAN (Formula Translation) – . ფორტრანი.

საბანკო სფეროში ხშირი ტერმინი *S.W.I.F.T.* – შემოკლებულია*the Society for Worldwide Inter-bank Financial Telecommunications -გან.*

ზოგჯერ ენის განვითარების შედეგად აბრევიატურა შეიძლება გადაიქცეს აკრონიმად:

PR (public relations) - პიარი

არსებობს შერეული შემოკლება, შედგენილი ასოებისაგან, მარცვლებისაგან, ციფრებისა და სიტყვებისაგან:

X-rays – რენტგენის სხივები

H-bomb (hydrogenbomb) – წყალბადის ბომბი

T-shirt – მაისური

U-turn – მობრუნება 180 გრადუსით

Y-intersection– *ასო Y* ფორმის სახიფათო გზაჯვარედინი

X-ing (crossing) -გადასასვლელი

B2B (business to business) – ფირმა ბიზნეს-შუამავალი (ელექტრონულ საქმიანი) ფირმა,

რომლის პროდუქცია კომპანიებს შორის ურთიერთობების მხარდაჭერაზეა ორიენტირებული

***B4U** (before you) – თქვენს წინ'*

***U1** (you won)* – შენ მოიგე.

საკითხვები განმეორებისათვის

1. მოიყვანეთ ნასესხების მაგალითები ინგლისურ ენაში.

2. პროდუქტიულია თუ არა „შეკვეთების" ხერხი ახალი სიტყვების შექმნისას? რა არის ამ მეთოდის ნაკლი?

3. რითი განსხვავდება აბრევიატურა აკრონიმისაგან? რომელი სტილისათვისაა ყველაზე დამახასიათებელი მუდმივი მნიშვნელობის შემოკლების ხშირი გამოყენება? რომელი კომპონენტებისაგან შედგება შერეული შემოკლება? გაიხსენეთ მათი თარგმანის ხერხები.

პრაქტიკული დავალება

***I.** თარგმნეთ შემდეგი წინადადებები შემოკლებებით, შემოკლება-ნეოლოგიზმებით კონტექსტში და იზოლირებულად*

1. Unlike more familiar LCD displays, the screen can be read at almost any angle and in bright sunlight as it uses tiny charged beads to form letters and images.

2.GOOMBY –a person who hopes for the removal of some dangerous or unpleasant feature from his or her neighborhood (based on the phrase Get Out of My BackYard). GOOMBY-ism - the attitude of such a person.

The city is trying to raise taxes...The appellate judge coined a new phrase to describe what council members are doing: GOOMBY-ism. He refers to NIMBYism-the Notin MyBackYard sentiment that drives many political decisions. "The present case... may be described as GOOMBYism for "get out of my backyard,'or at least "if you stay here, you're going to pay for it," ("H.B.Tax scam."The Orange County Register, February 18, 2002).

3. LULU - a real estate development or other construction to which the local residents are opposed (based on the phrase "locally unwanted land use").

***II.** ქვემოთ მოყვანილი შერეული შემოკლებებისა და მათი ინგლისურ ენაზე ახსნის საფუძველზე გააკეთეთ თარგმანი.*

1. P2P –(1)person to person (describes a payment service that enables one individual to pay another for an online transaction - such as an auction sale); (2) path to profitability (the strategy a company plans to implement to become profitable); (3)peer-to-peer (describes an Internet system that enables users to trade files directly without requiring a central database or server).

2. W2K – shortened form of Windows 2000, an operating system from

Microsoft.

3. AOS–fromAllOptionsStink–asituationinwhichthereisnooptimumor ideal course of action.

4. C2C–consumer-to-consumer–describesatransactioninwhichaconsumer sells a service or product directly to another consumer.

5. DVD–digitalversatiledisk–ahigh-densitycompactdiskforstoringlarge amounts of data, especially high-resolution audio-visual material.

III. თარგმნეთ სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ქვემოთ მოყვანილი შემოკლებები.

ICQ	Al	Rad
E-mail	Zn	sq. Foot
EXW	Li	cu. Litre
FOB	kg	PC
DDU	m	GAT
DDP	C (Centigrade)	GATT
VIP	F (Fahrenheit)	WWW
HTTP	CGI	

IV. შეასრულეთ შემდეგი ტექსტის სრული წერილობითი თარგმანი. მიაქციეთ ყურადღება შემოკლების თარგმანს.

NFS

NFS, or the Network File System, was originally developed by Sun Microsystems in the 1980s as a way to create a file system on diskless clients. NFS provides remote access to shared file systems across networks. This means that a file system may actually be sitting on machine A, but machine B can mount that file system and it will look to the users on machine B like the file system resides on the local machine. In this way NFS is transparent to the user. NFS was also designed to be machine, operating system, network architecture, and transport protocol independent.

The primary functions of NFS are to export or mount directories to other machines, either on or off a local network. These directories can be accessed as though they were local. NFS uses a client/server architecture and consists of a client program, a server program, and a protocol used to communicate between the two.

The server program makes file systems available for access by other machines via a process called exporting. File systems that are available for access across the network are often referred to as shared file systems.

NFS clients access shared file systems mounting them from an NFS server machine.When a file system is mounted, it is integrated into the directory tree. An advanced form of this service is the automounter, which automatically mounts and unmounts file systems.

The NFS mountprotocol facilitates the functions that allow NFS clients to attach remote directory trees to a mountpoint in the local file system. A mountpoint is an empty directory or

subdirectory, created as place to attach a remote file system. In order to mount a file system from an NFS server, a user needs an account on the machine where the file system resides. The NFS client passes the UID and GID of the process requesting the mount to the NFS server. The server then validates the request. Mount protocol also allows the server to grant remote access privileges to a restricted set of clients via export control.

Introduction toTCP/IP

Summary: TCP andIP were developed by a Department of Defense (DOD) research project to connect a number of different networks designed by different vendors into a network of networks (the "Internet"). It was initially successful because it delivered a few basic services that everyone needs (file transfer, electronic mail, remote logon) across a very large number of client and server systems. Several computers in a small department can use TCP/IP (along with other protocols) on a single LAN. The IP component provides routing from the department to the enterprise network, then to regional networks, and finally to the global Internet. On the battlefield a communications network will sustain damage, so the DOD designed TCP/IP to be robust and automatically recover from any node or phone line failure. This design allows the construction of very large networks with less central management. However, because of the automatic recovery, network problems can go undiagnosed and uncorrected for long periods of time.

As with all other communications protocol,TCP/IPis composed of layers:

•IP-isresponsible for moving packet of data from node to node. IP forwards each packet based on a four byte destination address (the IP number).The Internet authorities assign ranges of numbers to different organizations.The organizations assign groups of their numbers to departments. IP operates on gateway machines that move data from department to organization to region and then around the world.

•TCP-isresponsible for verifying the correct delivery of data from client to server. Data can be lost in the intermediate network. TCP adds support to detect errors or lost data and to trigger retransmission until the data is correctly and completely received.

• Sockets - is a name given to the package of subroutines that provide access toTCP/IPon most systems.

აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ხშირი შემოკლების სია

შემოკლება	სრული აღნიშვნა	თარგმანი
abr.	abridgment	მოკლე შინაარსი
a. h. a.	ampere-hour	ამპერი საათში
m.	ante meridiem	შუადღემდე
amp	ampere	ამპერი
at. wt.	atomic weight	ატომური წონა

b. p.	boiling point	დუღილის წერტილი
Br. P.	British Patent	ბრიტანეთის პატენტი
b. s.	both sides	ორმხრივი
C.	Centigrade	ასგრადუსიანი ტემპერატურის სკალა
c.	cent	ცენტი
cal	calorie	კალორია
cap	capacitance	ტევადობა
c. c.	cubic centimetre	კუბური სანტიმეტრი
c. c. w.	counterclockwise	საათის ისრის საწინააღმდეგოდ
cf.	confer	შეადარე!
cfm	cubic feet per minute	კუბური ფუტი წუთში
cg	center of gravity	მიზიდულობის ცენტრი
Ch.	chapter	წიგნის თავი
C. R. O.	cathode-ray oscilloscope	ელექტრო - სხივური ოსცილოსკოპი
cu.	cubic	კუბური
cw	clockwise	საათის ისრის მიხედვით
d.	density	სიმჭიდროვე
db	decibel	დეციბელი
d. c.	direct current	მუდმივი დენი
deg.	degree	1. ხარისხი; 2.გრადუსი
doz.	dozen	თორმეტი ცალი
dwg	drawing	ნახატი, ნახაზი
e. g.	exempli gratia	მაგალითად
E. M. F.	electromotive force	ელექტროამძრავი ძალა
etc.	et cetera	და ასე შემდეგ
F	Fahrenheit	ფარენგეიტის თერმომეტრის სკალა
f.	1. feet, 2. foot	1. ფუტები; 2. ფუტი
fig	figure	ნახატი, ნახაზი
FM	frequency modulated	სიხშირის მოდულაცია
f. p. m.	feet per minute	ფუტი წუთში
f/s	factor of safety	უსაფრთხოების კოეფიციენტი
GAT	GreenwichApparent Time	დრო გრინვიჩის მერიდიანის მიხედვით
gr	gramme	გრამი
hf. h.	half-hard	საშუალო სიმტკიცის
Hi-Fi, hi-fi	high-fidelity	აღქმის მაღალი სიზუსტე
h. p.	horse power	სიმძლავრე
i. e.	id est	ესე იგი

I. E. C.	International Electrotechnical Commission	საერთაშორისო ელექტრო-ტექნიკური კომისია
kg.	kilogram	კილოგრამი
km.	kilometre	კილომეტრი
kvar.	kilovolt-ampere (kilo-var)	(რამდენიმე) რეაქტიული კილოვოლტ-ამპერი
kw.	kilowatt	კილოვატი
kwhr.	kilowatt-hour	კილოვატი საათში
l.	litre	ლიტრი
lb.	libra (pound)	გირვანქა (=453,6 გრამი)
LH	left-hand	მარცხნივსვლიანი
m.	metre	მეტრი
mi	mile	მილი
mm	millimetre	მილიმეტრი
mol. wt.	molecular weight	მოლეკულური წონა
m. p.	melting point	დნობის წერტილი
m. p. h.	miles per hour	მილი საათში
N	normal	ნორმალური
NBS	National Bureau of Standards	ეროვნული სტადარტების ბიურო
No.	number	ნომერი
o. d.	outer diametre	გარე დიამეტრი
oz	ounce	უნცია (=28,3 გრამს)
P.	power	ძალა, ენერგია, სიმძლავრე
p.	page	წიგნის გვერდი
p. m.	post meridiem	შუადღის შემდეგ
p. s.	per second	წამში
psi	pounds per square inch	ფუნტიკვადრატულ დუიმზე
R. f.	radio frequency	რადიოსიხშირე
R. H.	relative humidity	შედარებითი ტენიანობა
r. p. m.	revolutions per minute	ბრუნთა რიცხვი წუთში
sec.	second	წამი
s/n	signal to noise	შეფარდება «სიგნალ-ხმაური»
SOS	save our souls	რადიოცნობა უბედურების შესახებ
sp. gr.	Specific gravity	კუთვნილი მასა
sq.	square	კვადრატული
sq. ft.	square foot	კვადრატული ფუტი
Tee	T-type	თ-გვარიკონტური
tn	ton	ტონა
TV	television	ტელევიზია

6. შესიტყვების თარგმანი

თავისუფალი შესიტყვება

6.1. ატრიბუტული შესიტყვების სტრუქტურულ-სემანტიკური თვისება ინგლისურ ენაში.
6.2. ინგლისური ატრიბუტული შესიტყვების თარგმანის ძირითადი ხერხები.

თავისუფალი შესიტყვების თარგმნისას დიდ როლს ასრულებს მისი კომპონენტების, ანუ შესიტყვების ცალკე სიტყვების თარგმანი. თავისუფალ შესიტყვებაში სიტყვები ბევრად ინარჩუნებს თავის დამოუკიდებელ მნიშვნელობას; ამის გამო საჭიროა თითო სიტყვის თარგმნის დროს გადაწყვიტო მთელი რიგი საკითხი. ამასთან ერთად, არ შეიძლება დაიყვანო თავისუფალი შესიტყვების თარგმანი მისი შემადგენელი ცალკე სიტყვების თარგმნამდე. პირველ რიგში, ამ სიტყვების თარგმანი დამოკიდებულია სხვა სიტყვებთან ურთიერთკავშირზე შესიტყვებაში. მეორე მხრივ კი, თვით შესიტყვების სახეობას შეიძლება ჰქონდეს სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც გავლენას ახდენს მისი კომპონენტების თარგმანზე.

ატრიბუტული შესიტყვება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ თავისუფალი შესიტყვების სახეობას ინგლისურ ენაში. ატრიბუტული შესიტყვების სწორი გაგებისა და თარგმნისათვის აუცილებელია ატრიბუტული შესიტყვების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურების ცოდნა მათ შეფარდებაში ქართულ შესიტყვებასთან.

6.1. ატრიბუტული შესიტყვების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი ინგლისურ ენაში

6.1.1. შესიტყვების წევრებს შორისი კავშირი
ინგლისური ენის ატრიბუტული შესიტყვების სტრუქტურა:

1) *ზედსართავი სახელი/ზმნიზედა + არსებითი სახელი (incorrect insulation, moving plunger);*
2) *არსებითი სახელი + არსებითი სახელი (energy consumption).*

ინგლისური ატრიბუტული ჯგუფების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურების შესწავლისას ნათელი ხდება უფრო ფართო სემანტიკური კავშირი მათ წევრებს შორის. თუ ქართულ ენაში ზედსართავი სახელი-განსაზღვრება უშუალოდ ახასიათებს მის შემდეგ მდგომ არსებით სახელს, მისი ერთი თვისების დახასიათებით, ინგლისურ ენაში შესატყვის ზედსართავ სახელს შეუძლია მის

შემდგომი არსებითი სახელის ირიბი დახასიათება. ყველაზე მკაფიოდ ინგლისური ატრიბუტული ჯგუფების ეს თვისება გამოიხატება *stone wall* სახის შესიტყვებაში. სემანტიკური კავშირები განსაზღვრების და განმსაზღვრელს შორის ასეთ შესიტყვებაში მრავალფეროვანია. ზოგჯერ პირველ არსებით სახელს არსებითი სახელი + არსებითი სახელი შესიტყვებისას აქვს გარემოების ან დამატების ფუნქცია.

weekend rally - მიტინგი კვირის ბოლოს;
seashore bike-ride - ზღვის პირას ველოსიპედით გასეირნება;
space programme - კოსმოსური გამოკვლევის პროგრამა.

როგორც ჩანს ამ მაგალითებიდან, ყველა ინგლისური ატრიბუტული ჯგუფი შეუძლებელია გადათარგმნო ქართულ ენაზე შესიტყვებით „ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი“.

განსაზღვრება შეიძლება ასრულებდეს ადგილის, დროის, მიზეზის გარემოების ან ირიბი დამატების როლს.

first-ever jet wedding – პირველად მსოფლიოში ქორწილი რეაქტიულ ლაინერზე (ლოგიკურად განსაზღვრება jet ასრულებს ადგილის გარემოების როლს).

6.1.2. მრავალწევრიანი ატრიბუტული ჯგუფების გავრცელება

ინგლისური ატრიბუტული ჯგუფების მეორე მნიშვნელოვანი თვისებაა მრავალწევრიანი ატრიბუტული შესიტყვების გავრცელება. ამაში იგულისხმება შემთხვევები არა პარალელური კავშირების რამდენიმე განსაზღვრების ერთსა და იმავე განმსაზღვრელთან (მაგალითად, *Nowadays applications are versatile, powerful, sometimes overwhelming.*), და ასევე ის მრავალი ატრიბუტული ჯგუფი, სადაც განსაზღვრულ არსებით სახელთან კავშირის გარდა, ცალკე განსაზღვრებას შორის არსებობს თავისი, ზოგჯერ საკმაოდ რთული სემანტიკური კავშირები. ყველაზე ფართო სემანტიკური კავშირები აქვს ორ და მეტი არსებითი სახელისგან შექმნილ შესიტყვებას (*stone wall*), ან იმ არსებით სახელებს, რომელთა წინ არის მრავალწევრიანი შეერთება განსაზღვრების ფუნქციით. ასეთ შესიტყვებისას მთავარ როლს ასრულებს ბოლო არსებითი სახელი, ყველა მის წინ მდგომი სიტყვა კი ასრულებს მისი განსაზღვრების როლს:

primary distribution circuits – პირველრლადი განაწილების სქემები;
free space wave propagation – ტალღების გავრცელება თავისუფალ სივრცეში.

მრავალწევრიანი შესიტყვების თარგმნისას საჭიროა შემავალი კომპონენტების სემანტიკური კავშირების დადგენა იმის გათვალისწინებით, რომ საყრდენ კომპონენტს წარმოადგენს ბოლო სიტყვა.

მრავალწევრიანი ატრიბუტული ჯგუფის თარგმნისას მიზანშეწონილია დაცული იყოს შემდეგი თანამიმდევრობა:

1) თარგმნეთ ჯგუფის საყრდენი სიტყვა, ანუ განსაზღვრული არსებითი სახელი.

2) გააკეთეთ სემანტიკურ შესიტყვებაში შემავალი წევრების კავშირების ანალიზი, დაადგინეთ სემანტიკური ჯგუფები. ამ შემთხვევაში ანალიზს იწყებენ მარცხნიდან, ანუ შესიტყვების პირველი სიტყვიდან.

3) დაადგინეთ ცალკე სემანტიკური ჯგუფების კავშირები და თარგმნეთ სრული შესიტყვება. დაიწყეთ თარგმანი საყრდენი სიტყვით და თანმიმდევრულად თარგმნეთ თითო სემანტიკური ჯგუფი მარჯვნიდან მარცხნივ.

განვიხილოთ ეს თანამიმდევრობა კონკრეტულ მაგალითზე:
Overcurrent protection microprocessor controlled relay

ამ შესიტყვების საყრდენი სიტყვაა ***relay***, ანუ საუბარია რაღაც რელეზე. მუშაობის შემდეგი ეტაპია -- შესიტყვებაში სემანტიკური ჯგუფების დადგენა. ვიწყებთ სიტყვების მარცხენა ჯგუფით, ვპოულობთ ამ კავშირებს ჯგუფის მნიშვნელობით.

1) overcurrent protection – დაცვა ჭარბი დინებისაგან;

2) microprocessor controlled – მიკროპროცესორით მართული.

ახლა ვთარგმნოთ სრული შესიტყვება: ***overcurrent protection microprocessor controlled relay.*** მიკროპროცესორით მართული რელე ჭარბი დინებისაგან დასაცავად.

6.1.3. მრავალწევრიანი ატრიბუტული ჯგუფები შიდა პრედიკაციით

ინგლისური ატრიბუტული ჯგუფების ბოლო აღსანიშნავი თავისებურებაა პრედიკატული კავშირის არსებობა ამ ჯგუფის წევრებს შორის. ასეთი ატრიბუტული ჯგუფები ხშირია პუბლიცისტურ სტილში:

"ex-president is dead" claim – განცხადება იმის შესახებ, რომ ექსპრეზიდენტი გარდაიცვალა (ან განცხადება ექსპრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ);

massive we-won't-pay-more-rent march – დიდი საპროტესტო მარში ბინის ქირის გაზრდის წინააღმდეგ (ან დიდი საპროტესტო მარში იმის წინააღმდეგ, რომ გაიზარდოს ბინის ქირა).

როგორც ჩანს მოცემული მაგალითებიდან, სტილისტური გამოყენება ატრიბუტული ჯგუფების შიდა პრედიკაციით მოითხოვს განსაზღვრების გამოყოფას ცალკე წინადადებად და ინგლისური შესიტყვების გაყოფას.

6.2. ინგლისური ატრიბუტული შესიტყვების თარგმანის ძირითადი ხერხები

თარგმანის ბოლო ხერხის არჩევანი დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ატრიბუტული ჯგუფის ლექსიკურ შემადგენლობაზე და მთელი კონტექსტის მნიშვნელობაზე. შესაძლებელია გამოვყოთ ინგლისური ატრიბუტული შესიტყვების თარგმანის შემდეგი ძირითადი ხერხები:

6.2.1. თარგმანი მსგავსი პრეპოზიციული ატრიბუტული ჯგუფით ქართულ ენაში

მაგალითად: *a protective device* — დამცავი მოწყობილობა.

ეს არის ისეთი მარტივი შემთხვევა, რომელსაც ახსნა არ სჭირდება.

მაგრამ ყველაზე მარტივ ატრიბუტულ ჯგუფსაც, ანუ იმ ჯგუფს, რომელიც თავისი სტრუქტურით ემთხვევა ქართულ შესიტყვებას „ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი," შეიძლება მოყვეს სირთულე თარგმნის პროცესში, ვინაიდან ერთსა და იმავე ინგლისურ სიტყვას (ზედსართავი სახელი განსაზღვრების ფუნქციაში) შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მნიშვნელობა, მის შემდეგ მდგომი განსაზღვრული არსებითი სახელის მნიშვნელობიდან გამომდინარე:

direct adaptation - უშუალო ადაფტაცია;
direct current - მუდმივი დენი;
direct heating - პირდაპირი გაცხელება.

ზოგჯერ თარგმნის დროს იყენებენ კალკირების ხერხს, რომლის დროს მთლიანად, ცვლილების გარეშე, ასახავენ შესიტყვების ყველა ნაწილს.

passive solar systems – პასიური მზის სისტემები;
free economic zone - თავისუფალი ეკონომიკური ზონა.

6.2.2. თანდებულების დახმარებით ატრიბუტული შესიტყვების „ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი" ტიპის თარგმანი

tape drive - ყაითანზე დამაგროვებელი;
data processing equipment - მონაცემთა დამუშავებისათვის მოწყობილობა;
natural rubber bearing - საყრდენი ბუნებრივი რეზინისაგან;
stateless citizen - მოქალაქე მოქალაქეობის გარეშე;
terrorist trial - ტერორისტების გასამართლება.

ამასთან ერთად ყურადღების მისაქცევია ის ფაქტი, რომ შესაძლებელია ზოგჯერ თითქოს სიტყვა-სიტყვით გადათარგმნო მსგავსი შესიტყვებები. ადვილი დასანახია, რომ ამას მოყვება შინაარსის უხეში დამახინჯება ინგლისური ატრიბუტული ჯგუფის ფართო შიდა კავშირების გამო (შეადარეთ: *terrorist trial* ტერორისტული გასამართლება).

6.2.3. ზმნა-ზმნიზედა ჯგუფის მეშვეობით თარგმანი

ზოგჯერ თარგმნის დროს მოსახერხებელია გადმოვცეთ ინგლისური ატრიბუტული შესიტყვების მნიშვნელობა ზმნა-ზმნიზედა შესიტყვებით, ვინაიდან მოცემული სტრუქტურა არ არსებობს ქართულ ენაში, ან სტილისტური მიზნების გამო.

I am a rapid packer/light sleeper/early riser.
მე სწრაფად ვლაგდები/ ფხიზლად მძინარე ადამიანი ვარ/ დილით ადრე მეღვიძება და ადრე ვდგები.

6.2.4. ატრიბუტული შესიტყვების ერთი წევრის თარგმანი სიტყვათა ჯგუფის ან აღწერილობითი თარგმანის მეშვეობით

გასათვალისწინებელია, რომ ორწევრიანი ატრიბუტული შესიტყვების გადმოცემა

ყოველთვის შეუძლებელია ორწევრიანი ჯგუფით ქართულ ენაზე. ზოგჯერ ერთი წევრის გადათარგმნა საჭიროა ორი ან რამდენიმე სიტყვით.

acceptance sampling - არჩევითი კონტროლი მიღებისას;

bistable device - დანადგარი ორი მყარი მდგომარეობით;

oven film პარკი საჭმლის შესახვევად და მოსამზადებლად ღუმელში მაღალ ტემპერატურაზე.

6.2.5. თარგმანი შესიტყვების ან წინადადების სტრუქტურის სრული შეცვლით

ბოლოს უნდა ავღნიშნოთ, რომ ზოგჯერ ატრიბუტული ჯგუფის თარგმანი მოითხოვს მთელი შესიტყვების ან წინადადების სტრუქტურის შეცვლას კონტექსტის შინაარსიდან გამომდინარე:

raw material production countries – ქვეყნები, რომლებიც ნედლეულს აწარმოებენ;
a six-point control plan – 6 პუნქტისგან შედგენილი საკონტროლო გეგმა.

შესიტყვების ან წინადადების თარგმანი სტრუქტურის სრული ცვლილებით დამახასიათებელია ინგლისური წინადადებისათვის განსაზღვრებით, გამოხატავს დასრულებულ აზრს და შედგება სიტყვათა ჯგუფისაგან:

Take-it-or-leave-it draft resolution – ულტიმატური ხასიათის პროექტის რეზოლუცია;
The professor's face wore his own I-knew-they-would-fail-the-experiment-all- along expression. პროფესორის სახეზე გაჩნდა მისთვის დამახასიათებელი გამომეტყველება: "მე ყოველთვის ვიცოდი რომ ისინი ჩაგდებდნენ ექსპერიმენტს".

ატრიბუტული ჯგუფის თარგმნის მაგალითზე ნათლად ჩანს როგორი თავისუფალი შესიტყვების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურება მოქმედებს მისი კომპონენტების თარგმანის ვარიანტისა და შესიტყვების შერჩევაზე ქართულ ენაში.

შეკითხვები გამეორებისათვის

1. რა სახის შესიტყვება წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ თავისუფალი შესიტყვების სახეობას ინგლისურ ენაში?

2. რა სტრუქტურულ-სემანტიკური თვისებურება აქვს ატრიბუტულ შესიტყვებებს ინგლისურ ენაში?

3.რა თანამიმდევრობით უნდა იყოს გადათარგმნილი მრავალწევრიანი ატრიბუტული ჯგუფი?

4. როგორ უნდა იყოს გადათარგმნილი მრავალწევრიანი ატრიბუტული ჯგუფი, შიდა პრედიკაციით?

5. ინგლისური ატრიბუტული შესიტყვების თარგმნის ძირითადი ხერხები.

პრაქტიკული დავალება

I. თარგმნეთ შემდეგი შესიტყვება ქართულ ენაზე.
დაადგინეთ თარგმანის ხერხები.

1. picture tube
2. antenna gain
3. wind tunnel
4. peak energy
5. production growth
6. range finder
7. fire adjustment
8. water space
9. load capacity
10. superspeed computer

II. თარგმნეთ შემდეგი ატრიბუტული შესიტყვება ქართულ ენაზე. დაადგინეთ ინგლისური ატრიბუტული შესიტყვების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი და მათი თარგმანის ხერხები.

1. space communication
2. space communication system
3. long-range space communication system
4. communication channels
5. long-range communication channels
6. long-range communication channels improvement
7. radio station network
8. outer-space relays
9. outer-space relays application
10. outer-space relays improvement
11. radio engineering purposes
12. high voltage transmission lines

III. თარგმნეთ შემდეგი ატრიბუტული შესიტყვებები. დაადგინეთ ატრიბუტული შესიტყვისების თარგმანის ხერხები.

1. communication establishment
2. communication establishment possibilities
3. long-distance communication establishment possibilities
4. low temperature physics
5. low temperature physics investigations
6. a transmission line
7. transmission line efficiency
8. artificial radio-activity properties
9. artificial radio-activity properties investigations
10. a great energy source
11. electric power consumption
12. semiconductor quantum generators

13. light wave energy
14. radio frequency quantum generators

IV. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ატრიბუტული შესიტყვებით. დაადგინეთ ატრიბუტული შესიტყვების თარგმანის ხერხები.

1. The coal mining industry is one of leading branches of the national economy in the country.
2. Underground hydraulic mining is used at some mines.
3. The conventional longwall method is applicable to the seams of all inclinations.
4. Longwall advancing and longwall retreating workings are the two main mining methods employed at our coal mine.
5. Room-and-pillar working is greatly favoured in the USA.
6. Accepted air conditioning practice is expressed in terms of the amount of water vapor per pound of dry air.
7. An automatic batching and mixing plant was used at the site.
8. Where local aggregates are poor, a great deal of preliminary test-cube making may be necessary before a final choice of mixture is made.
9. The design of combined waste-water disposal systems was allied to the growth of capital cities.

V. შეასრულეთ შემდეგი ტექსტის სრული წერილობითი თარგმანი. მიაქციეთ ყურადღება ატრიბუტული შესიტყვების გამოყენებას და დაადგინეთ მათი თარგმანის ხერხები.


General features of operating systems



An operating system is a master control program which controls the functions of the computer system as a whole and the running of application programs. All computers do not use the same operating systems. It is therefore important to assess the operating system used on a particular model before initial commitment because some software is only designed to run under the control of specific operating system. Some operating systems are adopted as 'industry standards' and there are the ones which should be evaluated because they normally have a good software base. The reason for this is that software houses are willing to expand resources on the development of the application packages for machines functioning under the control of an operating system which is widely used. The cost of software is likely to be lower in such circumstances as the development costs are spread over a greater number of users, both actual and potential.

Mainframe computers usually process several application programs concurrently. switching from one to the others, for the purpose of increasing processing productivity. This is known as multiprogramming (multi-tasking in the context of microcomputers), which requires a powerful operating system incorporating work scheduling facilities to control the switching between programs. This entails reading in data for one program while the processor is performing computations on another and printing out results on yet another.

In multi-user environments an operating system is required to control terminal operations of shared access basis as only one user can access the system at any moment of time. The operating system allocates control to each terminal in turn. Such systems also require a system for record locking and unlocking, to prevent one user attempting to read a record whilst another user is updating it, for instance. The first user is allocated control to write to a record (or file in some instance) and other users are denied access until the record updated and unlocked.



Some environments operate in concurrent batch and real time mode. This means that a 'background' job deals with batch processing whilst the 'foreground' job deals with real time operations such as airline seat reservations, on-line booking of hotel accommodation, or control of warehouse stocks, etc. The real time operation has priority, and the operating system interrupts batch processing operations to deal real time inquiries of file updates. After the real time operation has been dealt with, the interrupted program is transferred back to internal memory from backing storage, and processing recommences from a 'restart' point. The operating system also copies to disk backing storage the state of the real time system every few minutes (periodic check points) to provide a means of 'recovering' the system in the event of malfunction.

An operating system is stored on disk and has to be booted into the internal memory (RAM) where it must reside throughout processing so that commands are instantly available. The operating system commands may exceed the internal memory capacity of the computer in which case only that portion of the OS which is frequently used is retained internally, other modules being read in from disk as required. Many microcomputers function under the control of disk operating system known as DOS.

7. ტრანსფორმაციები თარგმანის დროს. კონტექსტუალური ჩანაცვლებები

7.1 .გადაადგილება
7.2 .დამატება
7.3 .გამოტოვება
7.4 .ჩანაცვლება
7.5 .სერთო სახის ჩანაცვლება
7.6 .კონკრეტიზაცია
7.7 .გენერალიზაცია
7.8 .ანტონიმიური თარგმანი
7.9 .შინაარსობრივი განვითარება
7.10 .კომპენსაცია
7.11 .სრული, ახლებურად გააზრება

ცნობილია, რომ ადეკვატური თარგმანის წინაპირობაა ორიგინალური ტექსტის

სწორი გაგება. როგორც წესი, საჭიროა თარგმანის ენაში მოძებნო სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც ასახავს იმავე ცნებას, რომელსაც მოცემულ კონტექსტში გამოხატავს სათარგმნი სიტყვა. მაგრამ, ზოგ შემთხვევაში შეუძლებელია ასეთი სიტყვის ან შესიტყვების გამოყენება თარგმნის დროს. ამავე დროს ხშირად შესაძლებელია საკმაოდ ზუსტად გადმოსცე ორიგინალის შინაარსი სხვა ცნებების ან თარგმანისთვის დამახასიათებელი გარდაქმნის (ტრანსფორმაციის) მეშვეობით. ეკვივალენტობისა და ადეკვატურობის დონის მისაღწევად თარგმნის დროს იყენებენ თარგმანის გარდაქმნის შემდეგ ხერხებს: 1)გადაადგილება, 2)დამატება, 3) გამოტოვება, 4) კონტექსტური ჩანაცვლება. როგორც პრაკტიკა გვიჩვენებს, სხვადასხვა სახის ტრანსფორმაცია ხშირად შეიძლება იყოს ერთდროულად გამოყენებული.

7.1. გადაადგილება

გადაადგილება, როგორც თარგმანის ტრანსფორმაციის სახეობა, შედგება ტექსტში ენობრივი ელემენტების თანამიმდევრობის ცვლილებით, ორიგინალურ ტექსტთან შედარებით. ცალკე სიტყვები, შესიტყვებები და რთული წინადადების ნაწილები ექვემდებარება გადაადგილებას. გადაადგილების აუცილებლობა განპირობებულია ენების განსხვავებით ლექსიკურ, გრამატიკულ და სტილისტიკურ დონეებზე.

ცნობილია, რომ ინგლისური ენისთვის დამახასიათებელია სიტყვების ფიქსირებული თანამიმდევრობა, მაშინ როდესაც ქართულ ენაში დაშვებულია სიტყვების თანამიმდევრობის შედარებითი თავისუფლება. ამ მიზეზით განპირობებულია გადაადგილების საჭიროება თარგმნის დროს.

There is no independent control for each lamp in a typical office, usually a manual switch is used, what leads to energy loss.

არ არსებობს დამოუკიდებელი თითო ლამპის კონტროლი ტიპურ ოფისში; ამისათვის, როგორც წესი, იყენებენ ხელის გადამრთველს, რასაც მოჰყვება ელექტროენერგიის დაკარგვა.

A composite experiment was carried out in laboratory conditions yesterday.

გუშინ ლაბორატორიის პირობებში ჩატარებული იყო რთული ექსპერიმენტი.

ბოლო მაგალითში კომპონენტების თანამიმდევრობა ქართულ წინადადებაში ინგლისური წინადადების კომპონენტების თანამიმდევრობის საპირისპიროა. ინგლისურ წინადადებაში ქვემდებარე ჩვეულებრივ შემასმენლის წინ დგას, ვითარებები კი დაწყობილია წინადადების ბოლოში.

ქართულ წინადადებაში, როცა ქვემდებარე გამოხატავს ახალ ინფორმაციას, იგი შეიძლება იდგეს წინადადების ბოლოში; წინადადების დამხმარე წევრები კი შეიძლება იყოს წინადადების თავში, თუ ისინი თვითონ არ ატარებენ ახალ ინფორმაციას.

Because transport costs are eliminated and immediate payment for purchases is called for, cash-and-carry warehouses are able to reduce their prices.

საწყობებს, რომლებშიც ყიდიან საქონელს ნაღდ ანგარიშზე, შეუძლია დააკლონ ფასები, ვინაიდან მათ არ აქვთ სატრანსპორტო ხარჯები და გადაუდებელი შემოსავალი სჭირდებათ გაყიდული პროდუქციიდან.

7.2.დამატება

ეს ხერხი გულისხმობს ლექსიკური ერთეულების ჩამატებას თარგმანის ენის ნორმების შესაბამისად.

The domestic water consumption amounts to half of total in the average city.
წყალის მოხმარება სახლებში შეადგენს მთლიანი მოხმარების ნახევარს საშუალო სტატისტიკურ ქალაქში.
Rainforests are capable of absorbing environmentally toxic gases.
ტროპიკულ ტყეებს შეუძლიათ გარემოსთვის ტოქსიკური გაზების შთანთქმა.
Professionally, this engineer can be relied on.
ამ ინჟინერს შეიძლება ენდო პროფესიონალური თვალსაზრისით.

ამ სახის თარგმანის გარდაქმნისას უკავიათ განსაკუთრებული ადგილი საკუთარი სახელების, გეოგრაფიული დასახელების თარგმანს; მაგალითად, ასეთი გეოგრაფიული დასახელებისას, როგორც *Massachusetts, Oklahoma, Middlesex, Surrey ა ნ Alberta, Manitoba თარგმნისას, უნდა დაამატო შტატი მასაჩუსეტსი, ოკლაჰომა, საგრაფო მიდლსექსი, სარეი, პროვინცია ალბერტა, მანიტობა.* კომპანიების და ფირმების სახელებთან იყენებენ სახეობის ცნებებს: *Paramount Pictures-- კინოკომპანია პარამაუნტ პიქჩერს,* ვინაიდან ქართველი მკითხველისთვის უმეტეს შემთხვევაში გაუგებარია ამ დასახელების მნიშვნელობა. ნებისმიერი ქართველი მკითხველისთვის ცნობილია, რომ *მტკვარი* -- მდინარის სახელია, მაგრამ ეს ფაქტი შეიძლება უცხო იყოს ინგლისელი მკითხველისათვის; ამის გამო, ინგლისურ ენაზე თარგმანის დროს აუცილებელია თარგმნის ტექსტში შეიყვანო დამატებითი სიტყვა- *მდინარე.*

7.3. გამოტოვება

თარგმნის დროს ჩვეულებრივ ტოვებენ სემანტიკურად ჭარბ სიტყვებს, ამ სიტყვების გამოყენებას მოყვებოდა ენის ნორმების დარღვევა.

The experimenter leaned forward to take the volumetric flask.
ექსპერიმენტატორი მოიხარა საზომი კოლბის ასაღებად.

ცხადია, ის წინ მოიხარა, ამის გამო ამ სიტყვას ტოვებენ თარგმნის დროს.
ზოგჯერ თარგმნის დროს გამოტოვება განპირობებულია ინგლისური და ქართული წინადადების სტრუქტურული სხვაობით.

The policy of "total quality" involves everyone in the firm in offering the best possible quality at every stage of production, including even such things as how employees answer the phone.

„საერთო ხარისხის" პოლიტიკაში ჩართულია ფირმის ყველა თანამშრომელი საუკეთესო ხარისხის წარმოების ყველა ეტაპზე მოწოდებაში იმის ჩათვლით, თუ როგორ პასუხობს ტელეფონს თანამშრომელი.

ზოგჯერ თარგმანის დროს ტოვებენ კუთვნილებით ნაცვალსახელებს, თუ მათი თარგმანი ქართულ ენაზე ჭარბია.

Long ago people learnt to make fire to cook their food and to warm themselves and used 25000 kilojoules of energy a day.

დიდი ხნის წინ ხალხმა ისწავლა ცეცხლის დანთება საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად, რისთვისაც იყენებდნენ ენერგიის 25000 კილო ჯოულს დღეში.

სიჭარბის ნათელი მაგალითია ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი სინონიმების წყვილის გამოყენება -- ერთნაირი ან ახლო მნიშვნელობის სიტყვების პარალელური გამოყენება. ინგლისური ენისგან განსხვავებით, ეს მოვლენა არ არის დამახასიათებელი ქართული ენისათვის, ამის გამო თარგმანის დროს ხდება გამოტოვება.

Air pollution results in acid rain which ruins buildings by corroding metal and dissolving stone.
ჰაერის დაბინძურება იწვევს მავნე ქიმიური ნივთიერების შემცველ წვიმას, რომელიც ანგრევს შენობებს, ჟანგავს რკინას და შლის ქვებს.

Service drops and loops direct energy to customers by means of distribution transformers in residential and commercial areas.
აბონენტების განშტოებები აწოდებს ელექტროენერგიას მომხმარებლებს განაწილების ტრანსფორმატორების დახმარებით საცხოვრებელ და კომერციულ რაიონებში.

ამ ხერხის გამოყენების ერთ-ერთი მიზეზია ინგლისურ ენაში ტენდენცია გამოიყენონ აღწერის დროს რიცხვითი სახელები, საზომები, აწონვის დ შეფასების ერთეულები.

Every inch of his face expressed amazement.

მისი სახე გამობატავდა გაოცებას.

გამოტოვების ხერხი თარჯიმანისგან მოითხოვს დიდ დისციპლინას. საჭიროა გვახსოვდეს, რომ ეს არ არის გადასათარგმნად რთული ადგილების გამოტოვების ხერხი.

7.4. ჩანაცვლება

კონტექსტური ჩანაცვლება თარგმნის დროს აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა კონტექსტი არ გვაძლევს საშუალებას თარგმნის დროს გამოვიყენოთ ლექსიკური შესაბამისობა. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ თარგმანის ენაში არ არსებობს სათანადო ლექსიკური შესატყვისი, ან როცა სხვადასხვა მიზეზების გამო თარგმნის დროს შეუძლებელია გამოიყენო ორიგინალში მოცემული მნიშვნელობა, რასაც მოყვება სრული კონტექსტის შეცვლა.

7.4.1. საერთო ტიპის ჩანაცვლება

ზოგჯერ ქართულ ენაში სიტყვების შეთავსების თავისებურება არ გვაძლევს სიტყვა-

სიტყვითი თარგმანის საშუალებას. შეუძლებელია ყოველთვის ინგლისური არსებითი სახელი არსებითი სახელით, ზედსართავი სახელი -- ზედსართავი სახელით თარგმნო. ამ შემთხვევაში საჭიროა მეტყველების ნაწილის შეცვლა.

This new design of multifuel boiler allows for immediate changeover from solid fuel to either gas or oil.
ამ ახალი მრავალსაწვავიანი სადუღარის კონსტრუქციის მეშვეობით შესაძლებელია მაგარი საწვავის პირდაპირი გარდაქმნა ეთერის გაზად ან ზეთად.
He is an early riser. – ის ადრე დგება.

არსებითი სახელი *riser* შექმნილია ზმნისგან to rise, er სუფიქსის დახმარებით, მაგრამ ქართულ ენაში ანალოგიური არსებითი სახელი არ არსებობს, ამის გამო შესიტყვება *an early riser* უნდა იყოს გადათარგმნილი ზმნის საკუთარი ფორმით ზმნიზედით (*ადრე დგება).*

ზოგჯერ შესატყვისი არსებითი სახელი ქართულ ენაში არსებობს, მაგრამ მისი გამოყენება ინგლისური და ქართული სიტყვების შინაარსობრივი მოცულობის სხვაობის გამო შეუძლებელია მოცემულ კონტექსტში; ამიტომ საჭირო ხდება მეტყველების ნაწილების შეცვლა.

Drowning is the biggest killer of children and young people in 21 countries, according to World Health Report published in Geneva yesterday.
სტატისტიკიდან გამომდინარე, უბედური შემთხვევისას ლეტალური შედეგით 21 ქვეყანაში გაცილებით უფრო მეტი ბავშვი და მოზარდი დაიხრჩო, ვიდრე დაიღუპა სხვა უბედური შემთხვევის დროს (ჟენევაში გამოქვეყნებული „მსოფლიო ჯანდაცვის მდგომარეობის ანგარიშის“ მიხედვით).

7.4.2. კონკრეტიზაცია

კონკრეტიზაცია არის თარგმანის ცვლილების ისეთი სახეობა, როცა ხდება საწყისი ენის უფრო ფართო მნიშვნელობის სიტყვებისა და შესიტყვებათა ჩანაცვლება თარგმანის ენაზე უფრო ვიწრო, კონკრეტული მნიშვნელობის სიტყვებით და შესიტყვებებით.

დაკონკრეტება შეიძლება იყოს ენობრივი ან კონტექსტური. ენობრივი დაკონკრეტებისას უფრო ფართო მნიშვნელობის სიტყვების ჩანაცვლება უფრო ვიწრო მნიშვნელობის სიტყვებით განპირობებულია ორი ენის სისტემის სხვაობით ან იმ ფაქტით, რომ თარგმანის ენაში არ არსებობს შესაბამისი ლექსიკური ერთეული ასეთივე ფართო მნიშვნელობით, ან განსხვავებული სტილისტური დამახასიათებლებით, ან გრამატიკული წყობის მოთხოვნით.

მაგალითად, ინგლისურ ენაში საიტყვა *thing* შეიძლება ნიშნავდეს ნებისმიერ უსულო საგანს. ქართულ ენაზე მისი თარგმანი ხდება კონკრეტიზაციის გზით: *საგანი, ნივთი, საქმე, ფაქტი, შემთხვევა.*

ინგლისურ ნაცვალსახელს *you შეესაბამება ორი ნაცვალსახელი -- შენ და თქვენ. ამის გამო, თარგმნის დროს ყოველთვის ხდება კონკრეტიზაცია.*

ინგლისური სიტყვა *meal* სხვადასხვა სტილში შეიძლება იყოს გადათარგმნილი, როგორც *საკვების მიღება , ჭამა,* ასევე როგორც *საუზმე, სადილი, ვახშამი.*

At 7 o'clock an excellent meal was served in the dinning room.

7 საათზე სასადილო ოთახში გაშალეს შესანიშნავი ვახშამი.

აქ მითითებული დრო საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ საუბარია ვახშამზე და ადვილია შევარჩიოთ თარგმანის საჭირო ვარიანტი.

კონტექსტური დაკონკრეტება ყოველთვის განპირობებულია მოცემული კონტექსტის ფაქტორებით, ყველაზე ხშირად სტილისტური მოსაზრებებით.

Their company obtained a word processor with a facility for checking.

მათმა კომპანიამ შეიძინა სატექსტო პროცესორი, წერის შემოწმების დამატებითი ფუნქციით.

In a conventional building facilities are located in a central core.

ტრადიციულ შენობაში კეთილმოწყობა განლაგებულია ცენტრალურ კორპუსში.

7.4.3.

გენერალიზაცია

გენერალიზაციის დროს საწყისი ენის უფრო ვიწრო მნიშვნელობის ერთეული ჩაენაცვლება თარგმანის ენაში უფრო ფართო მნიშვნელობის ერთეულებით. შექმნილი შესაბამისობა გამოხატავს სახეობას, რომელიც მოიცავს ქვესახეობის ცნებას.

Yesterday the company received a paper stating that a computer system will monitor the building constantly.

გუშინ კომპანიამ მიიღო საბუთი, სადაც ნათქვამია, რომ კომპიუტერული სისტემა მუდამ გააკონტროლებს შენობას.

ზოგჯერ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძლება უფრო მისაღები იყოს სტილისტური მიზეზების გამო, კონკრეტული დასახელება კი ნეიტრალურად გამოხატული იყოს სახეობის ცნებით.

Each branch of engineering uses particular standards and units of measurement.
მანქანათმშენებლობის ყოველი დარგი იყენებს განსაზღვრულ სტანდარტებს და გაზომვის ერთეულებს.

Jane used to drive to market with her mother in their La Salle Convertible
ჯეინი ჩვეულებრივ ბაზარში დადიოდა დედამისთან ერთად თავისი მანქანით.

7.4.4. ანტონიმური თარგმანი

ანტონიმური თარგმანი შედგება თარგმანში საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვის ან შესიტყვების გამოყენებით, ვიდრე შესაბამისი სიტყვის ან შესიტყვების მნიშვნელობა ინგლისურ ორიგინალში. ასეთ სიტყვას ან შესიტყვებას თარგმანში უწოდებენ ანტონომურ შესაბამისობას. მაგალითად, შესიტყვების *to keep one's hat on* и *to stay up* თარგმნისას იყენებენ შესაბამისობებს *ქუდის არმოხდას* და *გვიანობამდე არდაწოლას,* ანუ ანტონიმურ თარგმანს.

Hang on, please! არ დაკიდოთ ყურმილი!
Authorised personnel only..უცხო პირებისათვის შესვლა აკრძალულია.

ანტონიმური ხერხის გამოყენების ძირითადი მაჩვენებელია წინადადების ფორმის შეცვლა, ანუ მტკიცებითი ფორმის უარყოფითით და პირიქით.

Remember to send this waybill to our haulier.
არ დაგავიწყდეს ამ სატრანსპორტო ზედნადების გაგზავნა ჩვენი გადამზიდველი ფირმისთვის.

ანტონიმური თარგმანის გამოყენება შეიძლება იყოს განპირობებული ან თვით ენობრივი მიზეზებით, ან კონკრეტული კონტექსტის თავისებურებით.
The position of such collectors may be adjusted on a seasonal basis and they remain fixed over a day's time.

მსგავსი კოლექტორების პოზიცია შეიძლება იყოს დამაგრებული სეზონურ საფუძველზე და უმოძრაო მდგომარეობაში რჩება დღის განმავლობაში.

ხშირად ანტონიმური თარგმანის გამოყენება განპირობებულია იმით, რომ ინგლისურ ენაში ანტონიმების წარმოებისას ხშირად იყენებენ უარყოფით პრეფიქსებს, რომლებიც მკაფიოდ განსხვავდება *not* უარყოფითი ნაწილაკისაგან. ამავე დროს, ამ პრეფიქსებით სიტყვები თავისუფლად თავსდება ამ უარყოფით ნაწილაკთან *not*, როგორც ყველა დანარჩენი სიტყვა. როცა ინგლისურ წინადადებაში არის სიტყვა უარყოფითი პრეფიქსით და უარყოფითი ნაცილაკი not, საჭიროა ანტონიმური თარგმანი.

It's not uncommon for primary distribution circuits to operate line-to-line.
ჩვეულებრივ, პირველადი განაწილების სქემები მუშაობს ხაზოვნად.

7.4.5. შინაარსობრივი განვითარება

შინაარსობრივი განვითარება თარგმნის დროს მდგომარეობს იმაში, რომ თარგმანში იყენებენ სიტყვას, რომლის მნიშვნელობა წარმოადგენს თარგმნილი სიტყვის მნიშვნელობის ლოგიკურ განვითარებას.

ხშირად მსგავსი სიტყვების მნიშვნელობა ორიგინალში და თარგმანში დაკავშირებულია მიზეზ-შედეგობრივი მიმართებით. ამავე დროს მოვლენის მიზეზის მისი შედეგით ჩანაცვლებისას (ან შედეგის მიზეზით) არ მოქმედებს თარგმანის სიზუსტეზე, პირიქით, წარმოადგენს საუკეთესო და ხშირად, ერთადერთ ხერხს წყაროს შინაარსის ადეკვატური გადმოცემის საშუალებას.

Liquid crystal technology can scale a microdisplay device to almost any size.

scale ზმნას აქვს მნიშვნელობები: *მასშტაბით გაკეთება; მასშტაბით გაზომვა; დარეგულირება. მაგრამ თარგმანი თხევადი კრისტალების ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მასშტაბი (ან პროპორციები)თითქმის ნებისმიერი ზომის მიკროდისპლეების* იქნებოდა არა საუკეთესო. მოცემულ კონტექსტში ზმნას აქვს მნიშვნელობა-„შექმნა", შესაბამისად თარგმნის შედეგად მივიღებთ წინადადებას:
მონიტორების თხევადკრისტალური ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს შევქმნათ თითქმის ნებისმიერი ზომის მიკროდისპლეები.

შინაარსობრივი განვითარების ხერხი გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ადეკვატური

თარგმანი დაკავშირებულია შემოქმედებით თარგმანთან.

7.4.6. კომპენსაცია

ამ ხერხს ჩვეულებრივ იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა წყაროს ენის ზოგ ელემენტს სხვადასხვა მიზეზების გამო არა აქვს ეკვივალენტები თარგმანის ენაში და არ შეიძლება იყოს გადათარგმნილი მისი ხერხებით. ამ შემთხვევაში დანაკარგის საკომპენსაციოდ, თარგმანის დროს საჭიროა გამოტოვებული ინფორმაცია გადმოსცე ტექსტის სხვა ადგილზე და სხვა ხერხებით.

დანაკარგები და მათი კომპენსაციის საჭიროება თარგმანის დროს შეიძლება იყოს გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით. ყველაზე ხშირად ეს ხდება სიტყვების შეთავსების ნორმების შეუსაბამისობის გამო სხვადასხვა ენებში, ორიგინალის ენობრივი ან სტილისტური თვისებების გამო: დიალექტის ან სიტყვების თამაშის გამოყენებით. სიტყვების თამაშის გადმოცემა თარგმანში ყოველთვის ითვლებოდა ყველაზე რთულ ამოცანად. ზოგი სახის სიტყვების თამაში შედარებით ადვილად ითარგმნება, მაგრამ რთულ შემთხვევაში ჯობია საერთოდ უარის თქმა სიტყვების თამაშის გადმოცემაზე.
"Sally", - said Mr. Bentley in a voice almost as low as his intentions, "lets go out to the kitchen".
„სელი", -- თქვა მისტერ ბენტლიმ ისეთივე დაბალი ხმით, როგორც მისი განზრახვები, „მოდი წავიდეთ სამზარეულოში."

თარჯიმანისთვის რთული ამოცანაა ერთი და იმავე ზმნის შეკავშირება რამდენიმე წინდებულიან გარემოებასთან ან წინდებულებთან. ამ შემთხვევაში დანაკარგი თარგმნის დროს გარდაუვალია.
I saw a cop on the corner. The cops take kids up, women across. and men in.
მე დავინახე პოლიციელი კუთხეში. პოლიციელები ბავშვებს იყვანენ ხელში, ქალებს ხელმკლავით, და მამაკაცებს ქუჩაში.

მაგრამ სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურაში მსგავსი შემთხვევები იშვიათია.

7.4.7. სრული ახლებურად გააზრება

თარგმანის ეს ხერხი შედგება მყარი შესიტყვების (ფრაზეოლოგიზმის) გაგებით და მის გადმოცემაში თარგმანის ენაზე აბსოლუტურად სხვა სიტყვებით. ამ შემთხვევაში, შინაარსობრივი ჯგუფის თარგმანი შეუძლებელია ცალკე სიტყვებით ან შესიტყვებით, საჭიროა მთლიანი მნიშვნელობის გაგება და მისი განსხვავებულად ასახვა თარგმანის ენაზე სიტყვებით, რომლებიც ზოგჯერ ძალიან განსხვავდება ორიგინალის ენისაგან.

Help yourself! --მიირთვით!

ქართულად ჩვეულებრივ ამბობენ ან წერენ: „ყურადღება. შეღებილია!" არასწორი იქნებოდა ამ ფრაზის ინგლისურ ენაზე თარგმნა: Attention! *It's painted here.* თუმცა, გრამატიკულად ყველაფერი სწორია, ინგლისურ ენაზე ადეკვატურ ფრაზად იქნება: *Caution! Wet paint!*

საკითხები გამეორებისათვის

1. რითაა განპირობებული ტრანსფორმაცია, როგორც თარგმანის ერთ-ერთი ხერხი?
2. რატომაა საჭირო გადაადგილება თარგმნის დროს?
3. რითაა განპირობებული დამატების ხერხი თარგმნის დროს?
4. წარმოადგენს თუ არა გამოტოვება გამოსავალს, რთული ადგილების თარგმნის დროს?
5. რა სახის კონტექსტურ ჩანაცვლებებს იყენებენ ხშირად?
6. რითაა განპირობებული ცნების კონკრეტიზაციის ხერხი თარგმნის დროს?
7. რითაა განპირობებული გენერალიზაციის გამოყენება?
8. რას წარმოადგენს შინაარსის განვითარება თარგმნის დროს?
9. რა მიზნებითაა განპირობებული სრული ახლებურად გააზრება და კომპენსაცია თარგმნის დროს?
10. რას უწოდებენ ანტონიმურ შესატყვისობას?
11. რა შემთხვევებში იყენებენ ანტონიმურ თარგმანს?

პრაქტიკული დავალებები

I. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ქართულად. გამოიყენეთ გადაადგილება, როგორც თარგმანის დროს საჭირო ტრანსფორმაციის ხერხი.

1. Nowadays new electric power plants with larger capacity are under construction.
2. Economical methods have not been developed yet for directly converting solar radiation into work on a large scale.
3. Because of a high pressure, combustion is initiated spontaneously in the diesel engine.
4. Gas burners heat water in conventional boilers.
5. A new method of energy conservation was developed in the research lab yesterday.
6. Plastics as well as metals are widely used nowadays in various branches of industry.
7. Some attempts have been made to classify the elementary particles for the last several years.
8. The application of quantum generators in this branch of industry is now being investigated.

II. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ქართულ ენაზე, გამოიყენეთ დამატება, როგორც თარგმნის დროს აუცილებელი ტრანსფორმაციის ხერხი. დაადგინეთ რა და რა სახის დამატებაა საჭირო თარგმნის დროს.

1. According to the energy specialist, the plant can reduce energy consumption with considerable savings in costs.
2. The tracking collectors are controlled to follow the sun throughout the day.

3. Flat-plate collectors may be used for water heating and most space-heating applications.
4. The total capacity of the electricity generating plants remains constant.
5. With the rate of inflation that year, many users took steps to reduce their electricity consumption.
6. The most extensively used fuels are coal, natural gas and heavy fuel oil.
7. The use of additional generating facilities is justified.
8. Gas turbine and diesel generators offer extremely flexible generation, though are used only to provide a small amount of energy.

III. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ქართულ ენაზე, გამოიყენეთ გამოტოვება, როგორც თარგმანის დროს საჭირო ტრანსფორმაციის სახეობა. დაადგინეთ რა და რის გამო შეიძლება იყოს გამოტოვებული თარგმნის დროს.

1. On the advice of our consultant my company is looking for suitable replacements to our existing boilers.
2. I particularly would like to draw your attention to our Duolyt range of boilers.
3. Solar energy system collects solar radiation and converts it into useful thermal energy.
4. The collector intercepts the sun's energy. A part of this energy is lost as it is absorbed by the cover glass or reflected back into the sky.
5. Additional generating facilities can convert surplus power into prime power during peak demand intervals.
6. During the exhaust stroke, the piston pushes out the combustion gases remaining in the cylinder.
7. Each physical quantity has only one particular unit for its measurement.
8. If the number employed with a basic unit is very small or very large, then a prefix can be used.
9. Conversion tables are necessary, because some countries still retain measurement systems different from those used by the rest of the world.
10. The cause and amount of water loss and waste are approximately known.

IV. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ქართულ ენაზე, გამოიყენეთ ჩანაცვლება, როგორც თარგმნის დროს საჭირო ტრანსფორმაციის ხერხი. დაადგინეთ ჩანაცვლების სახეობები და დაასაბუთეთ მათი გამოყენების აუცილებლობა თარგმნის დროს.

1. The introduction of automatic controls will make it possible to control the output of lighting systems and reach the level of light required in the office.
2. We are looking for preliminary information only and would like you to send us details of your range.
3. Can I be of any assistance to you?
4. I'd much appreciate the opportunity to call on you in person and discuss your further requirements with you and with your consultant if he/she is available.
5. Protective relays are coordinated to isolate equipment near the part, experiencing abnormal voltages or currents.

6. The fuel-air mixture is burned and the products of combustion are rejected to the surroundings.

7. After being pumped through a diverter or priority valve, water circulates around.

8. Large portable generators can provide emergency power to hospitals and factories.

9. An experimental power station in the open sea will harvest not only large waves, but also waves from any direction.

10. Quality of input materials and process of production must be maintained at desired levels to achieve specified output quality.

11. To improve worker involvement, management uses different methods: in- stalls "ideas boxes", in which employees can insert their ideas written on pieces of paper; sets up "quality circles"; informs workers of all important decisions in a monthly newsletter.

12. The experiment was not carried out until the precisely required conditions had been created in the lab.

V. შეასრულეთ შემდეგი ტექსტის სრული წერილობითი თარგმანი. ყურადღება მიაქციეთ ტრანსფორმაციას და კონტექსტურ ჩანაცვლებას თარგმნის დროს. დაადგინეთ გამოყენებული ჩანაცვლების სახეობანი.

Comparing Python to Other Languages

Python is often compared to other interpreted languages such as Java, JavaScript, Perl, Tcl, or Smalltalk. Comparisons to C++, Common Lisp and Scheme can also be enlightening. In this section I will briefly compare Python to each of these languages. These comparisons concentrate on language issues only. In practice, the choice of a programming language is often dictated by other real-world constraints such as cost, availability, training, and prior investment, or even emotional attachment. Since these aspects are highly variable, it seems a waste of time to consider them much for this comparison.



Java

Python programs are generally expected to run slower than Java programs, but they also take much less time to develop. Python programs are typically 3-5 times shorter than equivalent Java programs. This difference can be attributed to Python's built-in high-level data types and its dynamic typing. For example, a Python programmer wastes no time declaring the types of arguments or variables, and Python's powerful polymorphic list and dictionary types, for which rich syntactic support is built straight into the language, find a use in almost every Python program. Because of the run-time typing, Python's run time must work harder than Java's. For example, when evaluating the expression a+b, it must first inspect the objects a and b to find out their type, which is not known at compile time. It then invokes the appropriate addition operation, which may be an

overloaded user-defined method. Java, on the other hand, can perform an efficient integer or floating point addition, but requires variable declarations for a and b, and does not allow overloading of the + operator for instances of user-defined classes.

For these reasons, Python is much better suited as a "glue" language, while Java is better characterized as a low-level implementation language. In fact, the two together make an excellent combination. Components can be developed in Java and combined to form applications in Python. To support this type of development, a Python implementation written in Java is under development, which allows calling Python code from Java and vice versa. In this implementation, Python source code is translated to Java bytecode (with help from a run-time library to support Python's dynamic semantics).

C++

Almost everything said for Java also applies for C++, just more so: where Python code is typically 3-5 times shorter than equivalent Java code, it is often 5-10 times shorter than equivalent C++ code! Anecdotal evidence suggests that one Python programmer can finish in two months what two C++ programmers can't complete in a year. Python shines as a glue language, used to combine components written in C++.

Perl

Python and Perl come from a similar background (UNIX scripting, which both have long outgrown), and spot many similar features, but have a different philosophy. Perl emphasizes support for common application-oriented tasks, e.g. by having built-in regular expressions, file scanning and report generating features. Python emphasizes support for common programming methodologies such as data structure design and object-oriented programming, and encourages programmers to write readable code by providing an elegant but not overly cryptic notation. As a consequence, Python comes close to Perl but rarely beats it in its original application domain; however Python has applicability well beyond Perl's niche.

JavaScript

Python's "object-based" subset is roughly equivalent to JavaScript. Like JavaScript (and unlike Java), Python supports a programming style that uses simple functions and variables without engaging in class definitions. However, for JavaScript, that's all there is. Python, on the other hand, supports writing much larger programs and better code reuse through a true object-oriented programming style, where classes and inheritance play an important role.

III ნაწილი

თარგმანის გრამატიკული ასპექტები

8.არტიკლის, ვნებით გვარში ზმნების და ემფატური კონსტრუქციების თარგმანი

8.1 . არტიკლის თარგმანი
8.2 . ვნებით გვარში ზმნების თარგმანი
8.3 ემფატური კონსტრუქციების თარგმანი

8.1. არტიკლის თარგმანი

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში არ არსებობს არტიკლი, ამის გამო თარგმნის დროს მას, უმეტეს შემთხვევაში უბრალოდ ტოვებენ.

An experimental power station in the open sea will harvest not only large waves, but also waves from any direction.

ექსპერიმენტული ელექტროსადგური ღია ზღვაში შეაგროვებს არა მხოლოდ დიდ ტალღებს, არამედ ტალღებს ყველა მიმართულებიდან.

არტიკლი (განუსაზღვრელი და განსაზღვრული) არის არსებითი სახელის განმსაზღვრელი, ამის გამო ზოგი არტიკლის მნიშვნელობა ინგლისურ ენაში მოითხოვს თარგმანს.

1) იმ არტიკლის გადმოცემა, რომელიც გამოყოფს გამონათქვამის შინაარსობრივ ცენტრს.

ამ შემთხვევაში განუსაზღვრელი არტიკლი a/an (განსაკუთრებით ქვემდებარეს წინ) მიგვითითებს ახალ ინფორმაციაზე, ანუ ქართულ ენაზე თარგმანის დროს ქვემდებარე იქნება წინადადების ბოლოში.

A gas burner heats water in conventional boilers.

ტრადიციული წყლის ასადუღებელ ბაკში წყალი ცხელდება გაზის სანთურზე.

2) არტიკლს იყენებენ განუსაზღვრელი ნაცვალსახელის ფუნქციით, *a* ინგლისურ ენაში შეიძლება ნიშნავდეს *ერთი, რომელიღაც, რომელიმე, ნებისმიერი :*

They could not take the readings of an instrument at the instrument panel.

მათ ვერ აიღეს მონაცემები ვერც ერთი მოწყობილობიდან მოწყობილობების პანელზე.

3) არტიკლის გამოყენება ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციაში (უფრო ხშირად, განსაზღვრული არტიკლი) ქართულ ენაზე არტიკლის ეს ფუნქცია შეიძლება იყოს გადმოცემული სიტყვებით: *ეს, ის ასეთი, ისეთი.*

The device is known as an oscillating water column.

ეს დანადგარი ცნობილია როგორც მოქანავე წყლის სვეტი.

This is the pipe in the radiator, which provides the hot water input from the boiler.
ეს არის ის მილი რადიატორში, რომელიც უზრუნველყოფს ცხელი წყლის მოწოდებას წყლის ასადუღებელი ბაკიდან.

4) იმ არტიკლების გადმოცემა, რომლებსაც იყენებენ საკუთარ სახელებთან.

განსაზღვრული არტიკლი შეიძლება იყოს გამოყენებული პირად არსებით სახელთან ცნობილი პიროვნების აღსანიშნავად, ამ შემთხვევაში ის შეიძლება იყოს გადათარგმნილი სიტყვებით *ის, ეს.*

"My name", he said, "is Hercule Poirot".
"Not", the commissary stammered, "not the Hercule Poirot?" "The same", said Mr. Poirot.
„მე მქვია", -- მან თქვა, „ერკულ პუარო".
„არა", კომისარს ენა დაება, „არა ის ერკულ პუაროა?"
„ზუსტად ის", თქვა ერკულ პუაროა.

განსაზღვრულ არტიკლს იყენებენ საკუთარ სახელებთან მუდმივი დახასიათების, მოცემული ობიექტის განსაზღვრული თვისებების აღსანიშნავად.

England is grey industrial cities – Leeds and Bradford, Newcastle and Birmingham – that's the England that counts.
ინგლისი -- ეს სამრეწველო ნაცრისფერი ქალაქებია -- ლიდსი, ბრედფორდი, ნიუკასლი და ბირმინგემი -- ეს არის ის ინგლისი, რომელსაც აქვს მნიშვნელობა.

განუსაზღვრელ არტიკლს იყენებენ საკუთარ სახელებთან ოჯახის ერთი წევრის აღსანიშნავად.

She is a Rothschild.

ის როტშილდებისაგანაა.

განუსაზღვრელ არტიკლს იყენებენ საკუთარ არსებით სახელებთან უცხო პირის აღსანიშნავად, ამ შემთხვევაში განუსაზღვრელი არტიკლი ითარგმნება განუსაზღვრელი ნაცვალსახელით - *ვიღაც.*

- Who is this talented young engineer? - He is a Mr. Harrison.
- ვინ არის ეს ახალგაზრდა ნიჭიერი ინჟინერი? -- ეს არის ვიღაც ბატონი ჰარისონი.

განუსაზღვრელ არტიკლს იყენებენ საკუთარ სახელებთან როცა ვინმეს ადარებენ ცნობილ პიროვნებას, ან იმის საჩვენებლად, რომ რაღაცა ეკუთვნის ცნობილ პიროვნებას.

განუსაზღვრელი არტიკლი ემფატური ფუნქციით გადმოიცემა ნაცვალსახელით- *თვით, თვითონ* და ზედსართავი სახელებით-*ახალი, სხვა, მეორე.*

They say this young scientist is a new Einstein.
ამბობენ, რომ ეს ახალგაზრდა მეცნიერი -- მეორე აინშტაინია.
Even a Mendeleev could not carry out the experiment better.
თვით მენდელეევიც კი ვერ ჩაატარებდა ამ ექსპერიმენტს უკეთესად.

8.2. ვნებით გვარში ზმნების თარგმანი

ვნებით გვარში ზმნების თარგმანი ხშირად მოითხოვს წინადადების გრამატიკული

სტრუქტურის შეცვლას. ინგლისურ ენაში ვნებით გვარს იყენებენ გაცილებით ხშირად, ვიდრე ქართულში.

Two complete cycles of suction and two delivery cycles are performed during one revolution of the rotor.

როტორის ერთი ბრუნვის დროს ხდება შეწოვის ორი სრული ციკლი და გაშვების ორი ციკლი.

ინგლისურ პასიურ კონსტრუქციებს ხშირად ანაცვლებენ ქართული აქტიური კონსტრუქციებით, როცა ინგლისურ ქვემდებარეს ქართულ წინადადებაში შეესაბამება დამატება, რომელიც დგას წინადადების თავში; ქართულ წინადადებაში ქვემდებარეს როლს ასრულებს ინგლისური წინადადების დამატება წინდებულით *by (ზოგ შემთხვევაში თარგმნის დროს შეიძლება იყოს გამოყენებული განუსაზღვრელი პირის კონსტრუქცია)* ; ინგლისური ზმნის ვნებითი ფორმა შეინაცვლება ქართული ენის ზმნის მოქმედებითი ფორმით.

Changes in voltages and currents on a power system are sensed by protective relays.

ენერგოსისტემაში ცვლილებებს დენის ძაბვასა და დენში ადგენს დამცავი რელე.

არსებობს ვნებითი გვარის გადმოცემის შემდეგი ძირითადი ხერხები:

1)ინგლისურ ზმნას ვნებით გვარში შეესაბამება ქართული არაგარდამავალი ზმნა.

თარგმნის დროს არსებობს საშუალება ჩაანაცვლო ვნებითი გვარი მოქმედებითით, ან მოძებნო ისეთი გარდამავალი ზმნა, რომელიც გადმოსცემს ორიგინალის ფორმას. მაგრამ, ზოგ გარდამავალ ზმნას ინგლისურ ენაში არ აქვს შესატყვისი გარდამავალი ზმნა ქართულ ენაში: *to follow* – გარდამავალი ზმნაა ინგლისურ ენაში, მაგრამ იმავე თვისებით მისი გადმოცემა ქართულ ენაზე ზოგჯერ შეუძლებელია, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში ზმნა-*მიდევნა, მიყოლა* მოითხოვს წინდებულიანი დამატების გამოყენებას (*to need smth* – ესაჭიროება რაღაცა, *to refuse smth* – რაღაცაზე უარის თქმა).

He was followed by the whole detachment.

მას მოყვებოდა მთელი რაზმი.

2)ინგლისურ ზმნას ვნებით გვარში შეესაბამება გარდამავალი ზმნა ქართულში.

In a typical four-stroke engine, a mixture of air and petrol is sucked in through a carburettor.

ტიპიურ ოთხტაქტიან ძრავაში ჰაერის და ბენზინის ნარევი იწოვება კარბურატორით.

მთელი რიგი ინგლისური ზმნის წინდებულებით (*bring about – რამემდე მიყვანა , comment on - კომენტირება, კომენტარის გაკეთება, deal with - ვინმესთან საქმის ქონა, რამის განხილვა, listen to - მოსმენა, subject to - პირობისას , touch on - შეხება (საკითხის)*) ითარგმნება ქართული გარდამავალი ზმნებით, თანდებულის გარეშე:

How is this phenomenon accounted for?

როგორ შეიძლება აიხსნას ეს მოვლენა?

ინგლისურ ენაში ვნებით გვარს ხშირად იყენებენ მოქმედების ობიექტზე, და არა სუბიექტზე ლოგიკური მახვილის გასაკეთებლად, ანუ იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს შეტყობინებაში სემანტიკური ცენტრის გამოყოფისას (რაც სასურველია შენარჩუნებულ იქნეს თარგმანის დროს).

A part of the consumed electric power is supplied by waterpower.

მოხმარებული ელექტროენერგიის ნაწილს აწვდიან ჰიდროენერგიის სადგურები.

3) ქართულ ენაში სიტყვა *"თვითონ"* გადმოსცემს ინგლისური ზმნის მნიშვნელობას ვნებით გვარში:

The oxidizing agent is contained in the rocket engine.

რეაქტიულ ძრავაში შედის თვითდამყავების ნივთიერება.

System of heat transfer by water flowing through pipes is used in most gas central heating.

გაზზე მოქმედ ცენტრალურ გამათბობლებში უმეტესწილად იყენებენ სითბო ცვლის სისტემას მილებში დინებადი წყლის მეშვეობით.

4) ინგლისური ზმნა ვნებით გვარში შეიძლება იყოს გადათარგმნილი უპირო წინადადებით.

Protective devices are applied to detect abnormal conditions and to initiate appropriate action to correct them.

დამცავ დანადგარებს იყენებენ პირობების დარღვევის დასადგენად და მათ გამოსასწორებლად, სათანადო ზომების მისაღებად.

მსგავსი ჩანაცვლება ხშირია გაზეთების საინფორმაციო ტექსტებში, სადაც შეტყობინების შესავალი ზმნა (*to report, to believe, to say*) ხშირად დგას ვნებით გვარში. ამ შემთხვევაში, ინგლისური ვნებითი გვარი ხშირად გადმოცემულია უპირო კონსტრუქციით.

The treaty is reported to have been signed by all participants.

მაუწყებლობენ, რომ ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა ყველა მხარემ.

The danger of flooding is believed to be over.

ვარაუდობენ, რომ წყალდიდობის საფრთხე აღარ არსებობს.

ინგლისური ზმნის ვნებით გვარში შემდეგ მდგომი წინდებული ხდება იმ სიტყვის თანდებული, რომელიც ინგლისურ წინადადებაში ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას.

The rate of chemical reaction is influenced by many factors.

ბევრი ფაქტორი მოქმედებს ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე.

This new invention in the sphere of telecommunications is much spoken about.

ბევრს ლაპარაკობენ ამ ახალ გამოგონებაზე ტელეკომუნიკაციის სფეროში.

This work was referred to in many scientific reports.

ამ ნაშრომს იხსენიებენ ბევრ სამეცნიერო მოხსენებაში.

5) ინგლისურ ზმნას ვნებით გვარში თარგმნიან ზმნის „ყოფნა" შეთავსებით მიმღეობასთან ვნებით გვარში (ნამყო ან მომავალ დროში):

The heat exchanger was made of corrosion resistant tubes of cast iron and copper.

თბოცვლითი აპარატი გაკეთებული იყო ანტიკოროზიული თუჯის და სპილენძის მილებისგან.

At procurement stage, during the conversion process and at the finished items stage, goods will be inspected and sampled for quality.

მომარაგების ეტაპზე, გადამუშავების პროცესში და მზა პროდუქციის სტადიაზე, საქონელი იქნება შემოწმებული ხარისხზე ცალკე მაგალითებით.

8.3. ემფატიკური კონსტრუქციების თარგმანი

ემფატიკურ კონსტრუქციებს ერთ-ერთი წინადადების წევრის გამოსაყოფად იყენებენ შემდეგი ხერხებით:

ა)გამაძლიერებელი სიტყვების ან შესიტყვების მეშვეობით;

ბ) ინვერსიით (სიტყვების უკუთანამიმდევრობით);

გ) ორმაგი უარყოფით.

8.3.1. გამაძლიერებელი სიტყვები, შესიტყვებები და კონსტრუქციები

Do

ქართულ ენაზე გაძლიერება გამოიხატება სიტყვებით-*ნამდვილად, რა თქმა უნდა, მაინც, მართლა, ხომ.*

Tracking collectors do follow the sun throughout the day.

სამონიტორინგო კოლექტორები ნამდვილად თვალს მიადევნებენ მზეს მთელი დღის განმავლობაში.

A diffuser does increase air pressure in the jet engine.

დიფუზორი მართლა ზრდის ჰაერის წნევას რეაქტიულ ძრავაში.

As much as, As early as

ქართულ ენაზე ეს გაძლიერება ითარგმნება როგორც *მთელი, უკვე.*

According to our estimation the cost of heat loss through the roof is as much as 6,680 pounds per heating season.

ჩვენი გამოთვლით, სახურავიდან სითბოს დაკარგვის ღირებულება შეადგენს მთელ 6,680 ფუნტ სტერლინგს გათბობის სეზონის დროს.

As early as in the end of WW II they started using antibiotics.

უკვე მეორე მსოფლიო ომის ბოლოს დაიწყეს ანტიბიოტიკების გამოყენება.

It is ... that (who, which)

ქართულ ენაზე ეს კონსტრუქცია ითარგმნება გამაძლიერებელი სიტყვით- *ზუსტად.*

It is radiators that provide room heating.

ზუსტად რადიატორები უზრუნველყოფენ ოთახის გათბობას (ზუსტად რადიატორები ათბობენ ოთახს).

It is these characteristics that are important to us.

ზუსტად ამ მახასიათებლებს აქვს მნიშვნელობა ჩვენთვის.

8.3.2. ინვერსია

ინვერსია წარმოადგენს ჩვეულებრივი წინადადების სიტყვების თანამიმდევრობის შეცვლას წალკე წინადადების წევრის გამოსაყოფად ლოგიკური ან სტილისტური მიზნების გამო. ამ შემთხვევაში წინადადების თავში შეიძლება აღმოჩნდეს შემასმენლის მეორე ნაწილი, არსებითი სახელი წინდებულით ან ზედსართავი სახელი, და მერე შემასმენლის პირველი ნაწილი და შემდეგ კი ქვემდებარე. მიზანშეწონილია თარგმნონ ჯერ შემასმენელი, მერე ქვემდებარე, ზოგჯერ წინადადების დასაკავშირებლად იყენებენ სიტყვებს-*ამავე დროს, აქვე.*

The fundamental principles of alternating current are presented in this chapter. Included are the basic principles of some alternating current machines.

ამ თავში მოყვანილია ცვალებადი დენის ძირითადი პრინციპები. აქვე მოყვანილია ზოგი ცვალებადი დენის ძრავის მოქმედების მთავარი პრინციპები.

სიტყვების უკუთანამიმდევრობას იყენებენ შემდეგი ზმნიზედების და კავშირების შემდეგ:

hardly when	ძლივს
no sooner … than	როგორც კი
not only … but	არა მხოლოდ, მაგრამ აგრეთვე
only	მხოლოდ
never	არასდროს
nowhere	არსად
neither	არც
nor	არც
so	ასევე, და

Nowhere can this phenomenon be observed better than in a chain reaction.

ვერსად ვერ დაუკვირდები ამ მოვლენას უკეთესად, ვიდრე ჯაჭვურ რეაქციაში.

Carbon dioxide does not burn, nor does it support combustion.

ნახშირორჟანგი არც იწვის, და არც ხელს უწყობს წვის პროცესს.

8.3.3. ორმაგი უარყოფა

ქართულ ენაზე ორმაგი უარყოფა ითარგმნება ანტონიმებით და შემდეგი სიტყვებით: როგორც *მხოლოდ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც.*

If is not uncommon now to install catalytic converters on engines.

ახლა საკმაოდ ხშირად ძრავებზე აყენებენ კატალიზურ გარდამქმნელებს.

The fuel-air mixture is not compressed until all valves are closed.

საწვავისა და ჰაერის ნარევი არ იკუმშება, სანამ არ დაიკეტება ყველა სარქველი.

საკითხები გასამეორებლად

1. რა შემთხვევებში გადმოიცემა ინგლისური არტიკლი თარგმნის დროს?
2. რა ხერხებით შეიძლება იყოს გადმოცემული ინგლისური არტიკლი თარგმნის დროს?
3. მოითხოვს თუ არა ვნებითი გვარის თარგმანი წინადადების გრამატიკული სტრუქტურის შეცვლას?
4. რომელ ენაში იყენებენ ვნებით გვარს უფრო ხშირად? რომელი სტილისათვისაა უფრო დამახასიათებელი ვნებითი გვარის ხშირი გამოყენება?
5. რა ძირითადი ხერხები არსებობს ვნებითი გვარის გადმოსაცემად?
6. როგორ შეიძლება თარგმნო ინგლისური ზმნები შემდგომი წინდებულებით ვნებით გვარში?
7. რა ემფატიკური კონსტრუქციებია ცნობილი თქვენთვის? როგორ შეიძლება შეინარჩუნო გაძლიერება თარგმანში?

პრაქტიკული დავალება

I. ჩასვით არტიკლები სადაც საჭიროა. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ქართულად. დაადგინეთ რა შემთხვევაში უნდა იყოს არტიკლი გადმოცემული თარგმანის დროს.

In 1911 in Wayne County, Michigan, ... automobile driver saw ... collision on ... narrow bridge between horse and buggy and ... automobile going into opposite directions. Each of drivers was sure that he was on his own side of ... road. Edward Hines was ... observer, ... governor of ... county. Mr. Hines immediately decided that it must be possible for drivers to determine with certainty where their side of ... road was. He ordered ... white line painted on ... centre of every bridge and every curve within his county. Subsequently he had his idea extended to all ... highways of county. centre line and various pavement marking have unquestionably saved many lives. They are now one of ... most effective means of controlling traffic.

II. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ზმნა-შემასმენლით ვნებით გვარში.

1. The operation of a receiving station is influenced by a number of factors.
2. Magnetron is a vacuum tube, its current is affected by magnetic field.
3. Valve radio sets were followed by transistor radio sets.
4. This system lifetime was greatly increased due to the application of semiconductors.
5. This equipment stability has been greatly improved by means of new efficient parts.
6. The network of mobile communication is being built in this region.
7. Quantum computers' application in this field is being investigated.
8. Readings of every indicating instrument are obtained very fast.
9. The material's nature determines the ease with which electrons are allowed to pass.

III. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ზმნა-შემასმენლით ვნებით გვარში. გაიხსენეთ წინდებულიანი ზმნების ვნებით გვარში თარგმნის წესები.

1. The properties of these systems were much spoken about.
2. New electronic devices are dealt with in this article.
3. This research was given particular attention to because of its prime importance.
4. The means of improving semiconductors' properties have been paid much attention to.
5. The space surrounding a charged body, in which another charged body is acted upon by a force tending to move it, constitutes an electric field.
6. Some instruments' readings cannot be fully relied upon.
7. An electric field may be thought of as consisting of a number of lines of force representing the directions in which an electric force acts.
8. An electromotive force induced in a stationary electric circuit by the charge in the number of magnetic lines, linking with it, is referred to as a "statically induced" electromotive force.
9. A number of lines of magnetic intensity are spoken of collectively as "magnetic flux" and the number per square centimeter of cross section as the "flux density".

IV. შეარჩიეთ საჭირო ზმნა და ჩასვით სათანადო დროსა და ფორმაში. თარგმნეთ წინადადებები ქართულად.

to house; to make: to fill; to pay (attention); to work out; to use

1. It should be noted that the first house of glass and plastics (было разработано) by engineers of several institutes. 2. Its construction (было уделено) great attention to.
3. Everything in it (сделано) of glass and plastics. 4. The vacuum between inner and outer walls (заполняется) with excellent thermal and soundproof materials. 5. All the equipment (содержится) in the technical chamber. 6. It can be said that soon plastics (будут использоваться) in all branches of industry.

V. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ქართულ ენაზე. დაადგინეთ ვნებითი გვარის თარგმნის ხერხი.

1. The oxidizing agent is contained in the rocket engine.
2. Air from either a balanced flue, or from inside the house is supplied to the burners to complete combustion.
3. Petrol is fed from the fuel tank to the carburettor by a fuel pump.
4. The fuel-air mixture is burned and the products of combustion are rejected to the surroundings.
5. Economical methods have not been developed yet for directly converting solar radiation into work on a large scale.
6. Energy is not restricted to kinetic energy.
7. During the last several years some attempts have been made to classify elementary particles.
8. In recent years much of our interest have been centered round the problem of evolution of comets.
9. It has been estimated that some 8,000 millions of meteors enter our atmosphere each day.
10. In Class A amplifiers the plate current flows at all times, even though no signal is being amplified.

11. The voltage change is brought about by the difference in the number of turns in the two coils.

12. This heat transmission by motion of the fluid against the solid is referred to as convection transfer.

13. When rays enter the lens they are bent towards the normal, and when rays leave the lens, they are bent away from the normal.

14. Radioactive isotopes are used successfully for food conservation, for prevention of sprouting in potatoes and so on.

VI. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ემფატიკური კონსტრუქციებით. სცადეთ შეინარჩუნოთ გაძლიერება თარგმნისას.

1. Some people can hear sounds as high as 20,000 cycles.

2. In the chemical reaction the temperature of gases may be as high as $3,500^0$ Centigrade.

3. The possibility of discharge large amounts of energy was demonstrated as early as in 1919 by Rutherford.

4. It is the programme that ensures the execution of all operations assigned to the computer.

5. It is the programmer who is the connecting link between the computer and the problem it has to solve.

6. It was not until the 20^{th} century that electronic computers were constructed and put into operation.

7. If only a few of the insulator's molecules do release one electron each, the insulator at once completely breaks down and becomes a conductor.

8. Emission or evaporation of electrons does take place at lower temperatures.

VII. თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ინვერსიით ქართულ ენაზე.

1. Discussed in this chapter are some of the general characteristics inherent to semiconductors.

2. Included in this section is a description of a typical airborne liquid oxygen system.

3. Described in this book are all the rockets space-probing craft including sputniks.

4. Associated with each electron is a wave, which is propagated in the direction of the electron motion.

5. Were it necessary to increase the speed of this particular engine, it could be achieved by using a special device.

6. Had the oil supply stopped for a moment, serious damage might have resulted.

7. Were the air within the cylinder motionless, only a small proportion of the fuel would find enough oxygen.

8. The development stage would have taken less time, had the scientists used new methods.

VIII. შეასრულეთ შემდეგი ტექსტების სრული წერილობითი თარგმანი. დაადგინეთ ზმნების ვნებით გვარში თარგმნის ხერხები. მოძებნეთ ემფატიკური კონსტრუქციები და შეინარჩუნეთ გაძლიერება თარგმანში. მოძებნეთ არტიკლის თარგმანის შემთხვევები.

Computer crime



Computer crime is a way to commit crime, not a type of crime. By the mid-1980s computers were in use in nearly every kind of commercial, financial and industrial enterprise. As record-keeping devices, computers are unsurpassed in the amount of information that can be kept on a readily available file. Credit card companies, banks, savings and loan associations, insurance companies, credit bureaus and many other institutions keep computerized customer files. This information is for the private and confidential use of the customer and the institution.

Access to such confidential information, as well as or more complex computer systems operated by government agencies, has been gained by computer experts, often with the intent to defraud or embezzle. Someone working within a bank or other financial organization may easily gain access to the company's computers to transfer funds to his own or a friend's account or to another bank.

Owners of personal home computers, too, have found ways to break into company computer systems. To accomplish a break-in of this kind, a computer operator needs a modem, a device that will connect his computer by telephone to another computer system. He also needs to know how to access another system through its code. For the average person, this would be a very difficult task; but for someone well-versed in computer logic, it has proved relatively easy. Billions of dollars are being lost through computer theft each year.

Videoconferencing Takes Centre Stage

With the downturn in business travel after September 11th, one of the technologies predicted to boom is videoconferencing. Corporate bans on flying in the aftermath of the terror attacks throw a new light on the benefits of meeting by video. According to IT market research company Frost & Sullivan, videoconferencing, web-casting and other electronic alternatives to face-to-face meetings in distant locations have experienced renewed interest following the attacks and subsequent concern over travel.

Long-predicted as a technology due to take-off, videoconferencing has failed to deliver for a variety of reasons. However, market and technological changes have presented videoconferencing vendors with the opportunity to make videoconferencing as much a part of everyday office life as the PC, fax or photocopier. The CeBIT fair will see the latest videoconferencing systems on display, including low-cost, PC-based solutions.

Today the main demand for videoconferencing comes from larger organisations where systems are predominantly used by senior staff members. This should change over the next few years as penetration into a larger number of small- to medium-sized businesses intensifies and corporate usage is used for everyday meetings.

As with most other sectors of the IT industry, videoconferencing is being driven by the Internet. Previously, videoconferencing systems were proprietary and used slow telecommunications transmission technology. Today, the market is moving to Internet Protocol (IP) technology – whereby data is sent over the Internet in a stream of information packets.

The use of IP technology will mean cost-savings for end-users, as manufacturers use standardized equipment and components. Broadband will also mean an improvement in the quality of sound and pictures.

While it may still be several years before videoconferencing over IP networks takes off, there is consensus in the industry that IP will hold the key to future success. Frost & Sullivan predicts that 2004 will be a watershed year for the videoconferencing market in Europe. The impact of videoconferencing over IP will take the technology into the mainstream.

9. ინფინიტივი და ინფინიტივის კონსტრუქცია, მიმღეობა და მიმღეობური კონსტრუქცია, გერუნდივი და გერუნდიული კონსტრუქცია

9.1. ინფინიტივის და ინფინიტივის კონსტრუქციების თარგმანი

9.2. მიმღეობის და მიმღეობური კონსტრუქციების თარგმანი

9.3. გერუნდივის და გერუნდიული კონსტრუქციების თარგმანი

9.1. ინფინიტივის და ინფინიტივის კონსტრუქციების თარგმანი

ინგლისური ინფინიტივი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართულისაგან თავისი ფორმით, ფუნქციებით და კონსტრუქციებით. ინგლისური ინფინიტივის არაპერფექტული ფორმები განსხვავდება პერფექტული ფორმებისაგან თავისი აწმყო ან მომავალი დროის მიკუთვნებით.

Protective devices are installed on a power system to limit damage to equipment.
დამცავ აპარატებს ენერგოსისტემებზე აყენებენ მოწყობილობის ზიანის შესამცირებლად.
The installed protective devices are known to have limited damage to the equipment.
ცნობილია, რომ დაყენებული დამცავი აპარატებმა შეამცირა მოწყობილობების დაზიანება.

არსებობს შემდეგი ინფინიტივის სხვადასხვა ფუნქციაში თარგმნის ძირითადი ხერხი:

1) ინფინიტივი ქვემდებარის ფუნქციაში ითარგმნება არსებითი სახელით:

To reduce energy loss is very important for the enterprise.

ენერგიის დაკარგვის შემცირება ძალიან მნიშვნელოვანია საწარმოსთვის.

2) ინფინიტივი რთული შემასმენლის ნაწილის ფუნქციაში:

ა) კონსტრუქცია "be + ინფინიტივი" (მათ შორის მოდალური მნიშვნელობით) ითარგმნება არსებითი სახელით:

The next stage will be to publish the results of the research.

შემდეგი ეტაპი იქნება კვლევის შედეგების გამოქვეყნება.

It is to be noted that quality assurance and quality control are two interrelated aspects of quality management.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის გარანტია და ხარისხის კონტროლი წარმოადგენს ხარისხის მართვის ორ, ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს.

ბ) მოდალური ზმნების შემდეგ ითარგმნება ზმნით, ან არსებითი სახელით:

